



ააიპ საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტი

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

ევროპის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მთავარი
ინდიკატორების ეფექტი საშუალოვადიან პერსპექტივაში

ავტორი: პაატა მეძველია

სპეციალობა: ეკონომიკა

ხელმძღვანელი: პროფესორი ნიკოლოზ აბუაშვილი

დაცვის თარიღი: 24 ივნისი

თბილისი, 2021 წელი

აბსტრაქტი.....	1
1. შესავალი.....	2
1.1 პრობლემის იდენტიფიცირება	3
1.2 კვლევის მიზნები.....	4
1.5 კვლევის მნიშვნელოვნება და მეცნიერული სიახლე.....	5
1.6 კვლევის სფერო.....	7
1.7 ანალიტიკური კვლევის განხორციელების სტრუქტურა.....	8
2. ლიტერატურის მიმოხილვა	9
2.1 ეკონომიკური აზროვნების ისტორია	10
2.1.1 კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა	10
2.1.2 მარქსისტული ეკონომიკური მიმდინარეობა	11
2.1.3 ნეო-კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა	11
2.1.4 კეინზიური ეკონომიკური მიმდინარეობა.....	12
2.2 ეკონომიკური ზრდა და მსოფლიო კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა	13
2.2.1 ეკონომიკური ზრდის თეორია	14
2.2.1.1 ახალი ეკონომიკური კონსენსუსი	15
2.3 სახელმწიფო დანახარჯები და ეკონომიკური ზრდა.....	16
2.3.1 შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის არსი	23
2.4 სავაჭრო კომპონენტები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.....	29
2.5 არა-ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები.....	32
3. კვლევის ფილოსოფია, მეთოდოლოგია და მეთოდი	34
3.1 კვლევის ფილოსოფია.....	34
3.1.1 ემპირიულობა როგორც პოზიტივიზმის საფუძველი	34
3.2 კვლევის მეთოდოლოგია	36
3.2.1 პოზიტივიზმი და ლოგიკური პოზიტივიზმი	36
3.2.2 ინსტრუმენტალიზმი როგორც რეალიზმის სუსტი ფორმა.....	37
3.3 კვლევის მეთოდები	39
3.3.1 ცვლადები და მათი გაზომვა.....	39

3.3.2 ფიქსირებული ეფექტის რეგრესიული მოდელი.....	41
3.3.3 ჰაუსმანის სპეციფიკური ტესტი.....	42
3.3.4 კვლევის მთავარი ცვლადები.....	43
3.4 კვლევის მთავარი კითხვები.....	49
3.5 კვლევის მთავარი ჰიპოთეზა.....	50
4. მიღებული შედეგების ანალიზი.....	51
4.1 კვლევაში მონაწილე ქვეყნების ცვლადების დეტალური ანალიზი.....	51
4.1.1 შედარებით მაღალ შემოსავლიანი ევროპული ქვეყნების დეტალური ანალიზი.....	52
4.1.1.1 ავსტრია.....	58
4.1.1.2 ბელგია.....	65
4.1.1.3 გაერთიანებული სამეფო.....	71
4.1.1.4 გერმანია.....	77
4.1.1.5 დანია.....	83
4.1.1.6 ესპანეთი.....	90
4.1.1.7 ირლანდია.....	96
4.1.1.8 იტალია.....	102
4.1.1.9 ნიდერლანდები.....	108
4.1.1.10 ნორვეგია.....	114
4.1.1.11 საფრანგეთი.....	120
4.1.1.12 ფინეთი.....	126
4.1.1.13 შვედეთი.....	132
4.1.1.14 შვეიცარია.....	138
4.1.2 შედარებით დაბალ შემოსავლიანი ევროპული ქვეყნების დეტალური ანალიზი.....	144
4.1.2.1 ბულგარეთი.....	151
4.1.2.2 ესტონეთი.....	157
4.1.2.3 კვიპროსი.....	163
4.1.2.4 ლატვია.....	169

4.1.2.5 ლიტვა.....	175
4.1.2.6 მალტა	180
4.1.2.7 პოლონეთი.....	186
4.1.2.8 პორტუგალია.....	192
4.1.2.9 რუმინეთი	197
4.1.2.10 საბერძნეთი.....	203
4.1.2.11 სლოვაკეთის რესპუბლიკა.....	209
4.1.2.12 სლოვენია	215
4.1.2.13 უნგრეთი	221
4.1.2.14 ჩეხეთის რესპუბლიკა	227
4.1.2.15 ხორვატია	232
4.1.3 კვლევის პირველი და მეორე ჯგუფების შედარებითი ანალიტიკური ანალიზი.....	238
4.2 მონაცემთა ეკონომეტრიკული ანალიზი	244
4.2.1 პირველი ჯგუფის ეკონომეტრიკული ანალიზი	245
4.2.2 პირველი ჯგუფის ეკონომეტრიკული მოდელი.....	248
4.2.3 მეორე ჯგუფის ეკონომეტრიკული ანალიზი.....	250
4.2.4 მეორე ჯგუფის ეკონომეტრიკული მოდელი	253
4.2.5 კვლევის პირველი და მეორე ჯგუფების მოდელების შედარებითი ანალიზი	256
5. დასკვნა და მთავარი მიგნებები.....	260
6. რეკომენდაციები.....	268
ბიბლიოგრაფია.....	272
დანართი 1 (შედარებით მაღალ შემოსავლიანი ქვეყნების ჰაუსმანის ტესტი).....	278
დანართი 2 (შედარებით დაბალ შემოსავლიანი ქვეყნების ჰაუსმანის ტესტი).....	279
დანართი 3 (შერჩევითი ეფექტის რეგრესიული მოდელი)	280
დანართი 4 (კვლევის პირველი ჯგუფის მონაცემები)	281
დანართი 5 (კვლევის მეორე ჯგუფის მონაცემები)	309

აბსტრაქტი

მიუხედავად მრავალი ემპირიული ნაშრომებისა, რომლებიც ფართოდ განიხილავენ როგორც ფისკალურ ასევე მონეტარულ ეფექტებს ეკონომიკურ ზრდაზე, მოცემული კვლევა ინოვაციურია და მნიშვნელოვანია ვინაიდან იგი ევროპის წამყვანი 29 ქვეყნის მაგალითზე, 16 წლიან პერიოდში, დეტალურად ინდივიდების დონეზე განსაზღვრავს მთავარ მაკროეკონომიკურ და საბიუჯეტო დანახარჯებში შემავალ კომპონენტებს ეკონომეტრიკული მოდელირების გამოყენებით, (ათი საბიუჯეტო დანახარჯების დეტალურად ჩაშლით) საშუალოვადიან (ხუთ წლიან) პერიოდში.

კერძოდ, კვლევა ეყრდნობა შერჩევითი ცვლადის ტიპს და სკალარულ გაზომვადობის სისტემას, რომლებიც მთლიანობაში რაოდენობრივი ცვლადის დამახასიათებლებია. დამატებით, გამომდინარე კვლევის კომპლექსური დიზაინიდან, რაც კროს-სექციურ და დროითი მწკრივების ერთობლიობაში გამოიხატება, ნაშრომი იყენებს კვლევის გამჭოლ ანუ პანელურ მონაცემთა დიზაინს და ოპტიმალური რეგრესიული მოდელის დადგენისას ახდენს ფიქსირებული ეფექტის რეგრესიული მოდელის გამოყენებას. დამატებით, მონაწილე 29 ქვეყანა სტრატეგიცირებული იქნა ორ ჯგუფად მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე (ევროში), სადაც შერჩეული ქვეყნების დაყოფა მოხდა შედარებით დაბალ და მაღალ შემოსავლიან ქვეყნებად, კვლევის ბოლო ხუთი წლის მონაცემების გეომეტრიული საშუალოზე დაყრდნობით და შემდგომში მედიანის ნიშნულის გამოყვანით.

კვლევამ დადგინა, რომ კვლევაში მონაწილე ოცი ევზოგენური ცვლადიდან, ჯგუფებს შორის სამ უარყოფით და რვა დადებითი ეფექტის მქონე ცვლადებს შორის მოხდა დამთხვევა. ხოლო, დანარჩენი ერთმანეთისგან განსხვავებული ცხრა დამოუკიდებელი ცვლადი დამატებით დეტალურ სამომავლო შესწავლას საჭიროებენ, რათა გაზიარებულ და ადაპტირებულ იქნეს საუკეთესო ოპტიმალური პრაქტიკა.

1. შესავალი

არსებული ეკონომიკის ზრდის თეორიები და მოდელები, ანუ თუ რა ეფექტი აქვს მიმდინარე ეკონომიკურ აქტივობებს სამომავლო მდგრად განვითარებაზე, მრავალ მიმდინარეობებს მოიცავენ და შეუძლიათ იდენტიფიცირება მოახდინონ ეკონომიკის ის მთავარი მამოძრავებელი ინდიკატორების გავლენები, რომლებიც აუცილებელია მუდმივად მზარდი ეკონომიკური განვითარებისთვის. ზოგადად მკვლევარები და ეკონომისტები თანხმდებიან, რომ უმეტესად სწორედ ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების და ცივილური ევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას.

უფრო მეტიც, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ინდუსტრიალიზაციამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ გარკვეული წყვეტა წარმოშვა განვითარებულ და ღარიბ ქვეყნებს შორის, სწორედ მილიარდობით ადამიანისთვის ეკონომიკური ზრდა წარმოგვიდგება, როგორც კეთილდღეობის ზრდის და მატერიალური სიდუხჭირისგან თავის დაღწევის ერთერთ მთავარ ფაქტორებად.

დამატებით, მთავრობები, მათ შორის ევროპული ქვეყნების, დიდი დილემის წინაშე დგანან რათა გააუმჯობესონ ეკონომიკის ზრდის ერთერთი მთავარი შემადგენელი საჯარო სექტორის საქმიანობა და მასთან გაწეული ასიგნებები, რომ იმავე დროს შენარჩუნებული იქნეს საბიუჯეტო დანახარჯების ზრდის დონე. მიუხედავად არსებული რიგი გამოწვევებისა, როგორცაა მოხუცებული პოპულაციის ზრდა, რაც ავტომატურად ჯანდაცვაზე და საპენსიო უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების ზრდის პროპორციულია, დამატებით საბიუჯეტო წნეხად წარმოგვიდგება და მოქალაქეების მოთხოვნაც, რომ გადასახადის გადამხდელების თანხები ქვეყნის მთავრობების მიერ უფრო ანგარიშვალდებულად და ქვეყნის გამოწვევებზე ორიენტირებულად იყოს განკარგული, ლოგიკურია.

სწორედ წინამდებარე კვლევა დეტალურად მიმოიხილავს ევროპის წამყვანი 29 ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მთავარი პარამეტრების ჩართულობას (საბიუჯეტო დანახარჯების დეტალურად ჩაშლით) საშუალოვადიან (ხუთ წლიან) პერიოდზე.

1.1 პრობლემის იდენტიფიცირება

მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები თანხმდებიან, რომ ეკონომიკის განვითარების მთავარ წინაპირობას ქვეყანაში არსებული მაღალი ეკონომიკური ზრდა და ქვეყნებს შორის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება წარმოადგენს. შესაბამისად, სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეუძლებელია თუ სახელმწიფო პოლიტიკა არ იქნება ორიენტირებული თავისუფალი ბაზრის პრინციპზე.

უფრო მეტიც, როგორც აღინიშნა სწორედ ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს იმ მთავარ იმპულსს რომელიც შემდგომში დასაბამს აძლევს მოსახლეობის როგორც მატერიალური, ასევე კულტურული და სულიერ თავისუფალი განვითარების საწინდარს. თუმცა, მუდმივად მზარდი ეკონომიკური განვითარების შენარჩუნება მუდმივ გამოწვევებთან ასოცირდება და მრავალი ფაქტორი არსებობს, როგორც ეკონომიკური ასევე არა-ეკონომიკური, რომელთა სწორი გათვლა და დაგეგმარება უცილობლად ამარტივებს ამ რთულ ამოცანას.

საგულისხმოა, რომ ერთერთ მთავარ მოსაზრებას და გამოწვევას ქვეყნებისთვის სწორედ სახელმწიფო ფინანსების მიზნობრივი ხარჯვა და შემოსავლების მობილიზება წარმოადგენს, რომელიც მუდმივად წარმართული და დაგეგმილი უნდა იყოს ქვეყნის ფუნდამენტური ინდიკატორების განვითარების გათვალისწინებით.

მსგავსად, ეკონომიკის ზრდაზე მოქმედი გადასახადის გადამხდელების თანხების და სხვა მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორების განკარგვა, მისი ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე ეფექტური და ოპტიმალური მიმართულებით, წარმოადგენს უდიდეს გამოწვევას მსოფლიოს ყველა ქვეყნის გადაწყვეტილების მიმღებთათვის. სწორედ აღნიშნული პრობლემის შერბილებას და გამარტივებას ემსახურება მოცემული ნაშრომი, რაც ქვეყნისთვის შეზღუდული მთავარი მაკროეკონომიკური რესურსების გადანაწილების ყველაზე ეფექტური მოდელის იდენტიფიცირებას მოიცავს.

მაშასადამე, აღნიშნული კვლევა მოგვცემს საშუალებას იდენტიფიცირება მოხდეს წამყვანი ევროპის სახელმწიფოების ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ინდიკატორების (მათ შორის სახელმწიფო დანახარჯების ინდივიდუალური ათი ფუნქციონალური კოდით ჩაშლილი) ეფექტის დადგენაში სპეციფიკური ეკონომეტრიკული მოდელის დახმარებით, სადაც თითოეული შემავალი დამოუკიდებელი ცვლადის გავლენის ზემოქმედება იქნება საგულდაგულოდ შესწავლილი და გაანალიზებული.

1.2 კვლევის მიზნები

ამგვარად, მოცემული კვლევის მთავარი მიზანია, 29 ევროპის წამყვანი ქვეყნის მაგალითზე, ეკონომიკის ზრდის მთავარი პარამეტრების და მათი ჩართულობის დეტალური განსაზღვრა (საბიუჯეტო დანახარჯების დეტალურად ჩაშლით) საშუალოვადიან (ხუთ წლიან) პერიოდზე.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია, რომ კვლევა მოიცავს ისეთ სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების თითოეული შემავალი ხარჯვით კომპონენტების და ეგზოგენურ ცვლადების მიზნობრიობას, როგორცაა: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება, ეკონომიკური საქმიანობა, გარემოს დაცვა, საბინაო კომუნალური

მეურნეობა, ჯამრთელობის დაცვა, დასვენება-კულტურა-რელიგია, განათლება, სოციალური დაცვა, წარმოება (მანუფაქტურა), ექსპორტი, იმპორტი, საოჯახო მეურნეობების დანახარჯები, მთლიანი კაპიტალის ფორმირება (Gross Capital Formation), დასაქმებულთა რაოდენობა, მთლიანი შიდა დანაზოგი, საგადასახადო შემოსავლები, მთლიანი რეზერვები (ოქროს ჩათვლით) და ინფლაცია.

აღნიშნულის განხილვა განხორციელდება ინდივიდუალურ ასპექტში და მოახდენს იმ საერთო მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, რაც მოცემულ დანახარჯებს ახასიათებთ 16 წლიან პერიოდში (2002-2017 წლებში) ქვეყნისთვის სტრატეგიულ მთლიან შიდა პროდუქტის ზრდასთან მიმართებით, საშუალოვადიან (ხუთ წლიან) პერიოდში.

1.5 კვლევის მნიშვნელოვნება და მეცნიერული სიახლე

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მრავალი ემპირიული ნაშრომებისა, რომლებიც ფართოდ განიხილავენ როგორც ფისკალურ ასევე მონეტარულ ეფექტებს ეკონომიკურ ზრდაზე, მოცემული კვლევა ინოვაციურია და მნიშვნელოვანია ვინაიდან იგი დეტალურად მიმოიხილავს მთავარ მაკროეკონომიკურ და საბიუჯეტო დანახარჯებში შემავალ კომპონენტებს ინდივიდუალურად, ეკონომეტრიკული მოდელირების გამოყენებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ არსებული მრავალი კვლევა სახელმწიფო დანახარჯებს განიხილავს როგორც ერთიან ცვლადს და შესაბამისად მის ეფექტს ეკონომიკაზე. თუმცა წარმოდგენილი კვლევის მეცნიერული სიახლე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნაშრომი დეტალურად შეისწავლის სახელმწიფოს ჩართულობას არა როგორც ერთიანი, არამედ საერთაშორისო მონეტარული ფონდის მიერ განსაზღვრული უნივერსალური დანახარჯების ათი ფუნქციონალური კოდის მიხედვით.

როგორც აღინიშნა, კვლევა წარმოგვიდგენს ოპტიმალურ ეკონომეტრიკული მოდელს, რომელიც მკაფიოდ აყალიბებს ცალკეული ინდიკატორების რაოდენობრივ ეფექტს და გავლენას. აღნიშნული მოდელი უცილობლად ხელს უწყობს და ამარტივებს, კვლევაში მონაწილე ქვეყნების როგორც ბიუჯეტის ასიგნებების სამომავლო დაგეგმარებას და მის მიზნობრიობის განსაზღვრას, ასევე ცალკეული შემადგენელი პარამეტრების და მაკროეკონომიკური ცვლადების ყველაზე ოპტიმალური ცვლილების იდენტიფიკაციას და მათ მიმართვას ქვეყნების ჯანსაღი ეკონომიკური და კონკურენტული გარემოს შექმნის და განვითარებისთვის.

შესაბამისად, კვლევის მიგნებები საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისთვის, როგორცაა: ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოები, ინდივიდუალური სახელმწიფო ორგანოები და მათთან დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები, ფინანსთა სამინისტროები, ევროპის ცენტრალური და ეროვნული ბანკები, ზოგადად ყველა ტიპის ინვესტორი და კვლევაში მონაწილე ქვეყნის ყველა დაინტერესებული მოქალაქე.

უფრო მეტიც, გამომდინარე საქართველოს ისტორიული მისწრაფებიდან ერთიანი ევროპული ოჯახისკენ, რაც მოიცავს რიგი საკანონმდებლო ნორმების და ინსტიტუციური მოწყობის დაახლოებას ევროპულ ანალოგებთან, აღნიშნული კვლევის დეტალური ანალიზი და ეკონომეტრიკული მოდელი საშუალებას მოგვცემს, განსაკუთრებით კვლევის ის ასპექტი სადაც ევროპის რიგი ქვეყნების სტრატეგიცირება ხდება მაღალ და დაბალ შემოსავლიან ქვეყნებად, გათვალისწინებულ იქნეს საქართველოსთან მიმართებით. რაც სამომავლოდ, კვლევაში მონაწილე ეკონომიკური ზრდის პარამეტრების და საბიუჯეტო რესურსების უკვე აპრობირებული ევროპული გამოცდილებების ანალოგების გათვალისწინებით დაგეგმვას და ეფექტურ განკარგვას შეუწყოს ხელს.

1.6 კვლევის სფერო

დამატებით, რაც შეეხება კვლევისთვის საჭირო მრავალრიცხოვანი რაოდენობრივი მონაცემების მოძიებას და გამოყენებას, იგი მოიცავს ევროპის 29 წამყვანი ქვეყნის 2002-2017 წლიურ პერიოდს. აქვე აღსანიშნავია, რომ როგორც საჭირო ენდოგენური ცვლადები (დათვლილი წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 5 წლიანი მცოცავი საშუალოს მიხედვით) და მონაწილე ეგზოგენური ცვლადები (საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება, ეკონომიკური საქმიანობა, გარემოს დაცვა, საბინაო კომუნალური მეურნეობა, ჯამრთელობის დაცვა, დასვენება-კულტურა-რელიგია, განათლება, სოციალური დაცვა, წარმოება (მანუფაქტურა), ექსპორტი, იმპორტი, საოჯახო მეურნეობების დანახარჯები, მთლიანი კაპიტალის ფორმირება (Gross Capital Formation), დასაქმებულთა რაოდენობა, მთლიანი შიდა დანაზოგი, საგადასახადო შემოსავლები, მთლიანი რეზერვები (ოქროს ჩათვლით) და ინფლაცია მოპოვებული იქნება ისეთი პრესტიჟული ორგანიზაციის მონაცემთა ბაზებიდან, როგორცაა: მსოფლიო ბანკი, ევროსტატი, ევროპის ცენტრალური ბანკი და მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი.

კვლევაში მონაწილე ქვეყნების განსაზღვრისას დიდი როლი ითამაშა საქართველოს ფაქტორმაც, ვინაიდან საქართველო როგორც ისტორიულად ერთიანი ევროპული ოჯახის წარმომადგენელი, მუდმივად მისწრაფის ამ ოჯახში ინტეგრაციისკენ და სწორედ მოცემული ნაშრომი გვევლინება იმ საჭირობორტო მიდგომების და მიმართულების შთაგონებად, თუ რა კუთხით უნდა განვითარდეს ქვეყანა, რათა დაჩქარდეს საბოლოო მიზნის მიღწევა. აქვე აღსანიშნავი, რომ ევროპული ქვეყნების შერჩევისას არ იქნა გათვალისწინებული 2017 წლის მონაცემებით არსებული კანდიდატი, პოტენციური კანდიდატი და ჯუჯა სახელმწიფოები, ვინაიდან თავიდან იქნა

აცდენილი მონაცემთა შესაძლო აღრევა ეგრეთ წოდებული „აუთლაიერების“ ეფექტი. თუმცა სამომავლოდ, კვლევაში არ მონაწილე ქვეყნების ცალკე ანალიზი და მიდგომების იდენტიფიცირებაც, შესაძლოა მეტედ მნიშვნელოვანი იყოს საქართველოსთვის, განსაკუთრებით კი კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების. კვლევაში მონაწილე ქვეყნების ჩამონათვალი კი შემდეგია: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ხორვატია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ფინეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, ნორვეგია, შვეიცარია.

1.7 ანალიტიკური კვლევის განხორციელების სტრუქტურა

კვლევა იყოფა ხუთ მთავარ კომპონენტად.

პირველი ნაწილი მოიცავს შესავალს, რომელიც თავდაპირველად მიმოიხილავს კვლევის ძირითად საკითხებს და შემდეგ განზოგადდება დამატებით ქვეთავებად: პრობლემის იდენტიფიცირება, კვლევის მიზნები, კვლევის მნიშვნელოვნება-ნოვაცია და კვლევის სფერო.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა ლიტერატურის მიმოხილვას. ხოლო, მესამე ნაწილი განიხილავს კვლევის მეთოდოლოგიას, სადაც ცალკე თავად არის ჩაშლილი კვლევის მეთოდები, კვლევის მთავარი კითხვები და კვლევის მთავარი ჰიპოთეზები.

მეოთხე ნაწილი ეთმობა კვლევაში მონაწილე ქვეყნების ინდივიდუალურ კომპლექსურ ანალიზს, მონაცემთა ეკონომეტრიკულ ანალიზს და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციას. ხოლო, დასკვნითი მეხუთე ნაწილი კი შინაარსობრივად აჯამებს მთლიან ნაშრომს და გაცემს რიგ რეკომენდაციებს.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი ეკონომისტები აპელირებენ, რომ ეკონომიკურ ზრდაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, კერძოდ ადამიანური რესურსები (აქტიური პოპულაციის ზრდა, ადამიანურ რესურსებში ინვესტირება), ბუნებრივი რესურსები (მიწა, მიწისქვეშა რესურსები), გამოყენებული კაპიტალის ზრდა ან ტექნოლოგიური მიღწევები. ეკონომიკურ ზრდაზე ასევე შესაძლოა გავლენა ქონდეს სხვა ფაქტორებსაც, როგორცაა ინსტიტუტები (ფინანსური ინსტიტუტები, კერძო ფონდები და სხვა), მთლიანი მოთხოვნის სიდიდე, განაკვეთები როგორც ინვესტიციებზე ასევე შემნახველ ანაბრებზე, ფინანსური სისტემის ეფექტიანობა, საბიუჯეტო და ფისკალური პოლიტიკა, სამუშაო ძალის და კაპიტალის ქვეყნიდან გადინება და ქვეყნების მთავრობათა ეფექტურობა.

დამატებით აღსანიშნავია რომ, მიუხედავად ეკონომიკის ზრდის ოთხი მთავარი დეტერმინანტისა (ადამიანური რესურსი, ბუნებრივი რესურსი, კაპიტალის ფორმირება და ტექნოლოგია), კვლევის წარმოებისას ცნობილი ეკონომისტების მიერ ჩამოთვლილი თითოეული კომპონენტისთვის მინიჭებული მნიშვნელობა განსხვავდება.

მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკურ ზრდაზე ასევე შესაძლოა გავლენა იქონიოს სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებმა და შემთხვევებმა. დამატებით, პრაქტიკაში არსებობს განსხვავებები ეკონომიკურ და არა-ეკონომიკურ განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის. ეკონომიკურ ფაქტორებში ძირითადად მოიაზრებიან კაპიტალის აკუმულირება, ტექნოლოგიური პროგრესი, სამუშაო ძალა და სხვა. ხოლო არა-ეკონომიკური დეტერმინანტები კი მოიცავენ ფაქტორებს, როგორცაა: მთავრობათა ეფექტურობა, ინსტიტუციები, პოლიტიკური და ადმინისტრაციული სისტემები, კულტურა და სოციალური ფაქტორები, გეოგრაფია და დემოგრაფია (Acemoglu, D. 2009).

2.1 ეკონომიკური აზროვნების ისტორია

გამომდინარე ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების ისტორიიდან, ეკონომიკური იდეები ოთხი ძირითად ანალიტიკურ მიმდევრობით გამოირჩევა, კერძოდ: კლასიკური, მარქსისტული, ნეო-კლასიკური და კეინზიანური. აღნიშნულნი მიმდინარეობები დამატებით სხვადასხვა კითხვების კრებულის გარშემო ერთიანდებიან და ძირითადად იმ დროისთვის არსებულ შესაბამის მოვლენათა კონტექსტიდან გამომდინარეობენ.

აღსანიშნავია, რომ ბევრი ცენტრალური საკითხი რომელიც განხილულ და წამოჭრილი იქნა აღნიშნული ფილოსოფიური მიდგომების ფუძემდებლების მიერ, შემდგომში თავიდან იქნა განხილული და კრიტიკულად გაანალიზებული. თუმცა სწორედ აღნიშნული განხილვა და ფორმულირებაა მთავარი რათა მოხდეს ამ სისტემების ნაკლოვანებების უკეთ შესწავლა, მათი მომავალი გამოწვევებისადმი უკეთ აღჭურვისთვის.

2.1.1 კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა

კითხვები ეკონომიკური პროცესების თვისობრიობის შესახებ მე-18 საუკუნემდეც არსებობდა და აქტუალური იყო, მაგრამ შოტლანდიელი ეკონომისტის და ფილოსოფოსის ადამ სმიტის 1776 წლის პუბლიკაციამ „*Wealth of Nations*“ დასაბამი მისცა ეკონომიკური მიმდინარეობის კლასიკურ ტრადიციას. აღსანიშნავია, რომ სმიტი აღნიშნულ ნაშრომში პირველად განიხილავს შრომის ბაზრის დანაწილებას და საბაზრო ეკონომიკის ცნებებს თავდაპირველი ინტერპრეტაციებით. სადაც, ავტორი მიუთითებდა რა თავისუფალი ბაზრის უპირატესობებს, ასვე ყურადღებას ამახვილებდა მის ნაკლოვანებებზეც. სწორედ აღნიშნულ კლასიკურ მიმდინარეობის მიდგომამ შთაბერა სული ახალ ეკონომიკურ დისკუსიების დასაბამს.

ადამ სმიტის ლიბერალურმა ნაშრომმა „უხილავი ხელმა“ უნდა ითქვას გადატრიალება მოახდინა და საფუძველი ჩაუყარა მიკროეკონომიკის

განშტობას, რომელიც თავისუფალი საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით კონკურენციას მიიჩნევდა რესურსების ეფექტურ გამანაწილებლად.

2.1.2 მარქსისტული ეკონომიკური მიმდინარეობა

აღნიშნული მიმდინარეობის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მსოფლიოს ინდუსტრიულმა განვითარებამ, განსაკუთრებით მრეწველობის წარმოების წილის ზრდამ მთლიან გამოშვებაში. ქარხნების წარმადობის მაჩვენებელმა მართლაც გასაოცარ ნიშნულს მიაღწია იმ პერიოდისთვის და პირველი ინდუსტრიალიზაციის ტალღის შეფასება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მისი მთლიანი წარმადობის საერთაშორისო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობის და წარმოების საშუალებების მობილიზების ზრდით, მართლაც რომ გასაოცარი შედეგი გვექნებოდა.

თუმცა აღნიშნული ცვლილებების მიერ მიღებულ სიკეთეებს მთლიანი მოსახლეობების კეთილდღეობების გაუმჯობესებაში ძალიან მცირე წვლილი ეკავა და სწორედ ეს გახდა მარქსისტული ეკონომიკის მიმდინარეობის ძირითადი მამოძრავებელი. გერმანელი ფილოსოფოსი კარლ მარქსის მიერ 1867 წელს გამოცემული ნაშრომის „Capital“, წარმოადგენს მარქსისტული ეკონომიკის საფუძვლებს და ორიენტირებულია გრძელვადიანი კაპიტალის აკუმულირებასა და კაპიტალისტურ სისტემაში განვითარებულ კრიზისებზე.

2.1.3 ნეო-კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა

ნეო-კლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობის მთავარ ფოკუსს წარმოადგენს საბაზრო სისტემის მიერ ეკონომიკის რესურსების განაწილების პროცესების შესწავლა.

ნეო-კლასიკური მიმდინარეობის ერთერთ მთავარ ფუძემდებლად მოიხსენება ინგლისელი ეკონომისტი ალფრედ მარშალი და მისი 1890 წლის

ნაშრომი „Principles of Economics“. მისი თვისებებიდან გამომდინარე მარშალი ეკონომიკური პრინციპებზე დაყრდნობით დაინტერესებული იყო სიღარიბის გამომწვევ ფენომენის შესწავლით. იგი წინააღმდეგი იყო სოციალისტური პროგრამების და მიაჩნდა რომ კოლექტიური მფლობელობა კაცობრიობის პროგრესის და ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ასპექტს წარმოადგენდა.

მარშალი ასევე აღიარებდა სახელმწიფოს ჩართულობის დადებით მხარეებს, განსაკუთრებით გადასახადებით და სუფსიდიებით რესურსების ეფექტური და მიზნობრივი გადანაწილების თვალსაზრისით. თუმცა იქვე აღნიშნავდა რომ სუბსიდირებული სექტორის განვითარებიდან გამოწვეული სარგებელი არ უნდა ყოფილიყო გადაფარული სხვა სექტორის მაღალი დაბეგვრით რეჟიმიდან გამომდინარე.

2.1.4 კეინზიური ეკონომიკური მიმდინარეობა

მე-20 საუკუნის ეკონომიკური აზროვნების განვითარებაში ერთერთი უდიდესი როლი უკავია ბრიტანელ ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინზის სახელს და შრომას. მისი მთავარი ნაშრომი დიდი დეპრესიის მარწუხების დროს იქნა შექმნილი და გამოიცა სახელად „The General Theory of Employment, Interest, and Money“ (1936).

აღსანიშნავია, რომ მოცემული თეორია რადიკალურად განსხვავდებოდა წინა კლასიკური ეკონომიკური აზროვნებისგან, რომლებიც ძირითადად მიკროეკონომიკაზე და თავისუფალი ბაზრის იდეაზე იყვნენ ორიენტირებულები და გარკვეულწილად ზღუდავდნენ სახელმწიფოს ჩართულობას. განსხვავებით, კეინზიური დოქტრინა პირიქით სახელმწიფოს წინა პლანზე აყენებს და მას როგორც მთავარ მოთამაშეს აკისრებს მთავარი რეგულატორის როლს.

მიუხედავად კეინზიური თეორიისა და მისი როგორც ეკონომიკის დისციპლინის ერთერთ მაკროეკონომიკურ ფრთად ჩამოყალიბებისა, მისი მთავარი თეორიები რამდენიმე ათწლეულების შემდგომაც სრულყოფას და მოდიფიცირებას განიცდიან, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის აქტუალურობას.

2.2 ეკონომიკური ზრდა და მსოფლიო კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა

ეკონომიკის მთავარ გამოწვევად ყოველთვის წარმოადგენს მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების იდენტიფიცირება და ღონისძიებების წარმართვა მათ აღმოსაფხვრელად. აღნიშნული პრობლემატიკა მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყანისთვის მიუხედავად მისი განვითარების სტატუსისა. მთავარი კითხვაა თუ როგორ შეუძლიათ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს რომ ეფექტურად შექმნან და გადაანაწილონ ეროვნული სიმდიდრე, კვლავ მნიშვნელოვან კვლევის საგანს წარმოადგენს..

მნიშვნელოვანია, რომ დღესდღეობითაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდა ყველაზე განხილვად საგანს წარმოადგენს ეკონომისტებს შორის. შესაბამისად, მსოფლიოში არსებობს რამდენიმე ეკონომიკური ზრდის თეორია რომლებზეც შესაძლებელია შესაბამისი ლიტერატურის მოძიება. აღნიშნული თეორიები მუდამ გამოწვევის ქვეშ არიან და ზეგავლენას განიცდიან როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური მიმდინარეობებისგან, სადაც სახელმწიფო ხშირად გვევლინება აქტიურ, ცოტათი პასიურ და ხანდახან არ-ჩაურევლობის ამპლუებში.

სწორედ აღნიშნული სამი ამპლუის არჩევანის გაკეთების წინაშე არიან სახელმწიფო მთავრობები ყველაზე მოწყვლადი, ვინაიდან ეკონომიკის ჯანსაღი განვითარების დამაბრკოლებლად წარმოდგენილი შეიძლება იყოს როგორც თავისუფალი, არ ჩაურევლობის მიდგომა, ასევე ზედმეტად ინტერვენციულიც.

2.2.1 ეკონომიკური ზრდის თეორია

ეკონომიკური ზრდის არსებულ თეორიებში პირველი იყო Solow (1956) მთლიანი წარმოების ფუნქციის მიდგომით, სადაც მან გრძელვადიან პერსპექტივაში განიხილა ადამიანური და ფიზიკური კაპიტალის აკუმულაცია საერთაშორისო ეკონომიკაში ერთ სულ მოსახლეზე, შემოსავლის განაკვეთის (ცხოვრების დონის) ზრდასთან მიმართებით. რომელიც შემდგომში უფრო გავრცობილი იქნა (Aschur, D. 1989) და (Mankeiw et.al. 1992) მიერ.

მეორე ნაშრომთა ჯგუფი ფოკუსირდება პირობით განხილვით დაახლოებებზე და ძირითად ყურადღებას ამახვილებს მთავარი რესურსების იდენტიფიცირებაზე ეკონომიკის განვითარებისთვის. აღნიშნულ თემატურ დებატებში ფართოდ განიხილება (Barro, R. Salai- Martin, X. 1991; 1992), (Demurger, S. 2001), (Datta, A. Agarwal, S. 2004), (Ding et al. 2008) ნაშრომები, სადაც ავტორებმა განსაზღვრეს ეკონომიკის ზრდის სხვადასხვა ინსტრუმენტები, როგორცაა: ფიქსირებული ინვესტიცია, საჯარო ინფრასტრუქტურა, განხორციელებული ინვესტიციები ტელე-კომუნიკაციაში და ტრანსპორტში, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, სახელმწიფო დანახარჯები, მზარდი პოპულაცია, ადამიანური კაპიტალი, ვაჭრობა და კვლევა-განვითარებაზე გაწეული დანახარჯები.

ასვე მნიშვნელოვანია გადასახადების სიმძიმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მაგალითისთვის (Tosuna, M. Abizadeh, S. 2005) ემპირიულად შეისწავლეს OECD ქვეყნების განხორციელებული საგადასახადო ცვლილებების ეფექტი (კერძოდ რიგი გადასახადების გაერთიანება) ეკონომიკური განვითარებაზე (გაზომილი მთლიანი შიდა პროდუქტით ერთსულ მოსახლეზე) და დაასკვნეს რომ მას მნიშვნელოვანი ეფექტი ქონდა.

2.2.1.1 ახალი ეკონომიკური კონსენსუსი

კეინზის მიერ რევოლუციური კვლევის გამოქვეყნებამ და სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრამ, როგორც მაკროეკონომიკურ კონდიციად და სტაბილიზატორად, ეკონომისტების წრეებში დიდი დებატები გამოიწვია, რაც უშუალოდ მაკროეკონომიკის თეორიის და პოლიტიკის განსაზღვრის პრობლემატიკას მოიცავდა. აღნიშნული მწვავე დებატებიდან გამომდინარე (Goodfriend, M. 2004) და (Snowdon, B. Vane, H. 2005) თავის ნაშრომებში აღნიშნავენ, რომ ჩვეულებრივი ორთოდოქსული ეკონომიკა ახალ ნეო კლასიკურ სინთეზურ ფაზაში შევიდა, რაც აგრეთვე ცნობილია როგორც ახალი ეკონომიკური კონსენსუსი (the new economic consensus (NEC)). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთმა პოსტ-კეინზიური მიმდინარეობის წარმომადგენლებმაც, რომლებსაც დიდი ხანი მიჩნდათ ფისკალური პოლიტიკა როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზატორი, გამოიჩინეს ინტერესი აღნიშნული NEC მოდელისადმი. მაგალითისთვის, (Arestis, P. Sawyer, M. 2004) განსაკუთრებით ეჭვქვეშ დააყენა სახელმწიფო დანახარჯების მიერ გამოდევნის ეფექტი და რიკარდოს თანასწორობის ჰიპოთეზა. (Baragar, F. Seccareccia, M. 2008) და (Leclaire, J. 2008) ემპირიულმა ნაშრომებმა აჩვენეს, როდესაც სახელმწიფომ ზომიერი მიდგომა გამოიყენა, რათა დაეხალანსებინა სახელმწიფო ბიუჯეტი და გაეკონტროლებინა ხარჯვა, უარყოფითი სოციალური ეფექტი და კერძო სექტორის დავალიანება გამოიწვია.

2.3 სახელმწიფო დანახარჯები და ეკონომიკური ზრდა

მაშინ როცა, სახელმწიფო დაფინანსების ტრადიციული წყარო საყოველთაოდ ცნობილია, სახელმწიფოები რაღაც დონზე ინდივიდების და ფირმების მსგავსადაც კი მოქმედებენ, ვინაიდან სახელმწიფოზეც ფართოდ აისახება ეფექტიანობის ქცევა რაც რესურსების შეზღუდულობიდან გამომდინარეა. (Allsopp, C. Vines, D. 2005) მიუთითებენ რომ სახელმწიფო დანახარჯებზე გავლენა აქვს მიწოდების მხრივ დარღვევის ეფექტს და შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულის აღმოსაფხვრელად ფაქიზი ფინანსების მზრუნველობის და ეფექტური მართვის მიდგომებია საჭირო.

დამატებით ავტორები მიუთითებენ რომ სახელმწიფო მთავრობების მიერ ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს საბიუჯეტო შეზღუდვები და შესაბამისად დანახარჯებიც უნდა გადაფარული იქნეს მიმდინარე ან მომავალი გადასახადებით. იდეალურ შემთხვევაში გადასახადებით გადაფარვები არ უნდა იქნეს გრძელვადიან სამომავლო გადასახადებში ასახული, რათა მომავალი თაობების მიერ არ მოხდეს არსებული თაობების კეთილდღეობების დაფინანსება.

ასევე კვლევები აჩვენებენ, რომ საბიუჯეტო შეზღუდვებიდან დიდი გადახვევები რისკის ქვეშ აყენებენ მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის მდგრადობას. მიუხედავად „მდგრადობის“ ზუსტად დეფინიციის არქონისა, სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტის მდგრადობა წარმოადგენს მოღვაწე ეკონომისტების მთავარ შეშფოთების წყაროს. ეკონომისტების ერთი ჯგუფი მას მოიხსენიებს როგორც სახელმწიფოს უუნარობას კერძო სექტორიდან ვერ სესხებისა და შესაბამისად დეფიციტური ხარჯვის დონის ვერ დაფინანსებისა. თუმცა, ზოგი ეკონომისტი მიჩნევს რომ „მდგრადობა“ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოს გადახდისუნარიანობას ანუ კრედიტუნარიანობას, ვინაიდან

კერძო სექტორისგან განსხვავებით სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია რომ ისესხოს ცენტრალური ბანკებიდან.

ათწლეულების მანძილზე, ინკლუზიური და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა და მისი შენარჩუნება ბევრი პოლიტიკოსის საზრუნავ საგანს წარმოადგენს. დამატებით, მთავრობის და მის მიერ გაწეული დანახარჯების ეფექტი ეკონომიკის განვითარების ტემპის დამაჩქარებლის როლში კვლავ მრავალი განხილვის საგანია. უფრო მეტიც, ბევრ ქვეყანაში მთავრობის დანახარჯები განიხილება როგორც ფისკალური პოლიტიკის გატარების მთავარ იარაღად, თუმცა მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე კვლავ კითხვის ნიშნებს ბადებს. ისტორიულად, სახელმწიფო დანახარჯების ეფექტის განსაზღვრისას ეკონომიკის ზრდაზე, ეკონომიკური ანალიზის ორი კარგად გამოკვლეული ჰიპოთეზა უდევს საფუძვლად, კერძოდ ვაგნერის კანონი და კეინზიური ჰიპოთეზა.

ვაგნერის კანონი, ანუ სახელმწიფოს ჩართულობის ზრდის კანონი, წარმოადგენს მოდელს რომელიც გვიჩვენებს საჯარო დანახარჯების ენდოგენურობას ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით და აგრეთვე აღნიშნავს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფო დანახარჯების ზრდის ტენდენცია დადებითად აისახება ზოგიერთი ეროვნული შემოსავლის აგრეგატებზე, განსაკუთრებით კი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე (მშპ). აღნიშნული თეორია გულისხმობს საზოგადოებრივ ხარჯებსა და ეროვნულ შემოსავალს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას. დამატებით (Wagner, A. 1883) ვარაუდობდა, რომ სახელმწიფო დანახარჯები წარმოადგენენ ენდოგენური ფაქტორებს ანუ საბოლოო შედეგებს, მაგრამ არა ეკონომიკური განვითარების მიზეზებს. მათემატიკურად, მისი ჰიპოთეზა შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც $Gt = f(Yt)$, სადაც G გულისხმობს საჯარო სექტორის ზომას, რომელიც ასახავს მთავრობის ხარჯების დონეს და Y წარმოადგენს ეკონომიკური შესრულების ან ზრდის დონეს. ზოგადად ვაგნერის კანონი

აღნიშნავს, რომ მთავრობის ხარჯების ზრდა დამოკიდებულია ეკონომიკურ ზრდაზე.

მეორეს მხრივ, კეინზის ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ მთავრობის ხარჯების გაფართოება აჩქარებს ეკონომიკურ ზრდას. ამდენად, მთავრობის ხარჯები განიხილება ეგზოგენურ მამოძრავებელ ძალად, რაც თავისთავში მთავარი ეკონომიკური აგრეგატების ცვლილებების გამომწვევია (Loizides, J. Vamvoukas, G. 2005).

უფრო მეტიც, კეინზიური სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პროაქტიული ფისკალური პოლიტიკა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მთავრობებისთვის რათა მათ შეძლონ ეკონომიკური საქმიანობისა და ზრდის სტიმულირება (Shafuda, C. 2015). შესაბამისად, სახელმწიფო დანახარჯების ზრდით ან/და გადასახადების შემცირებით, მთავრობებს შეუძლიათ შეაჩერონ ეკონომიკური საქმიანობის ნელი ტემპი. ამგვარად, ფისკალური პოლიტიკა განიხილება როგორც კონტრ-ციკლური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია ეკონომიკის მოკლევადიანი რყევების და უმუშევრობის შემსუბუქება (Zagler, M. Durnecker, G. 2003). დამატებით, კეინზიური ჰიპოთეზა ვარაუდობს რომ ნებისმიერი სახის სახელმწიფო დანახარჯს, თუნდაც განმეორებითი ბუნების მქონეს, შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას. ფისკალური პოლიტიკის ეფექტურობა, მთლიანი მოთხოვნის სტაბილიზაციისადმი, ფართოდ დამოკიდებულია ფაქტორზე, რომ სახელმწიფო დანახარჯებმა არ გამოიწვიოს კერძო ინვესტიციების და დანახარჯების ბაზრიდან გამოდევნა.

მნიშვნელოვანია, რომ გაზრდილი სახელმწიფო ხარჯები რომელიც თანხვედრაში არ მოდის შემოსავლების ზრდასთან, იწვევს ბიუჯეტის დეფიციტს, რაც დამატებით დაფინანსებას მოითხოვს. თუ, დეფიციტი შიდა ვალის გაცემით ფინანსდება, ამან შეიძლება უარყოფითი ეფექტი გამოიწვიოს შიდა საპროცენტო განაკვეთებზე, შედეგად კი კერძო ინვესტიციების და მოხმარების კლება გამოიწვიოს (Kandil, M. 2006). დამატებით, თუ დეფიციტის

დაფინანსება მოხდება შერბილებული მონეტარული პოლიტიკის გზით, მოცემულმა შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური მოლოდინები, რაც გაზრდილ ფულად საკრედიტო და ლიკვიდური მასის გამო გაზრდილ ნომინალური საპროცენტო განაკვეთით კერძო ინვესტიციებს დააზიანებს (Loizides, J. Vamvoukas, G. 2005). ამდენად, ბიუჯეტის დეფიციტი იწვევს რესურსების კერძო სექტორიდან გადინებას, რომელიც სხვაგვარად ხელმისაწვდომი იქნებოდა კაპიტალის დაგროვებისა და მოხმარების ხარჯების დასაფინანსებლად.

დამატებით, (Solow, R. 1956) მისი ნეო-კლასიკური ზრდის მოდელით ამტკიცებს, რომ გრძელვადიანი კონტექსტში არ არსებობს მთავრობის ხარჯების გავლენა ეკონომიკურ ზრდის ტემპზე. მოცემული ნეო-კლასიკური ზრდის მოდელი ამტკიცებს, რომ ფისკალური პოლიტიკა ვერ ახერხებს გავლენა იქონიოს გრძელვადიან მწარმოებლობაზე. უფრო მეტიც, ნეო-კლასიკური ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია მოსახლეობის ზრდით, გამომდინარე მუშახელის ზრდის ტემპით, და ტექნოლოგიური პროგრესით რაც თავისთავში ეგზოგენური მაჩვენებლებია.

უფრო მეტიც, სახელმწიფო დანახარჯებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე. მაგალითისთვის, (Ghura, D. 1995) გამოქვეყნებული კვლევებში ცდილობს იპოვოს კავშირი სამთავრობო დანახარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში. მოცემული კვლევის მოდელები, 33 აფრიკული (საჰარის რეგიონის) ქვეყნების მაგალითზე 1970-1990 წლებზე დაყრდნობით, ეყრდნობიან ჯგუფურ დროითი მწკრივების და კროსს-სექციური მონაცემების ანალიზს და წარმოადგენენ მტკიცებულებას სამთავრობო დანახარჯების უარყოფით ეფექტზე ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით.

მსგავს რეგიონალურ ჭრილში ჩაატარა კვლევა (Yasin, M. 2000), სადაც 26 აფრიკულ ქვეყანაზე დაყრდნობით განიხილა სამთავრობო დანახარჯების კავშირი ეკონომიკურ ზრდაზე. მნიშვნელოვანია, რომ ავტორმა ლონგითიდური

1987-1997 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, აიღო რა ნეოკლასიკური წარმოების ფუნქცია საფუძვლად, ფიქსირებული და ცვლადი ეფექტის გამოყენებით განავითარა მოდელი, სადაც მან აღმოაჩინა (Ghura, D. 1995)-საგან განსხვავებული შედეგი რაც გულისხმობს, რომ მთავრობის დანახარჯებს, კაპიტალის ფორმირების თვალსაზრისით, სავარაუდო დადებითი და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე. შედეგად, ავტორმა დაასკვნა, რომ კვლევაში წარმოდგენილი ქვეყნებისთვის გაზრდილიყო მთავრობის ხარჯები კაპიტალის ფორმირებაზე და შემუშავებულიყო ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო.

იდენტური ეკონომეტრიკული მიდგომებისა და მოდელის გამოყენებით (Yasin, M. 2000) და (Alexiou, C. 2009) გამოიკვლიეს რიგი ცვლადების გავლენა ეკონომიკური ზრდაზე, შვიდი სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 1995-2005 წლების მაგალითზე. მიგნებები მიუთითებენ, რომ გამოყენებული ხუთი ცვლადიდან: სახელმწიფო ხარჯები კაპიტალის ჩამოყალიბებაზე, განვითარების ხელშეწყობა, კერძო ინვესტიციები და ვაჭრობის ღიაობა პოზიტიური და მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო დარჩენილ მეხუთე მოსახლეობის ზრდის ცვლადს კი სტატისტიკურად არა მნიშვნელოვანი. დასასრულისას, ავტორები მიუთითებენ პოლიტიკოსების როგორც კანონმდებლების მთავარ როლს შესაბამისი საკანონმდებლო გარემოს შექმნის და უზრუნველყოფის კუთხით, რომელიც ხელს უწყობს მთავრობის ხარჯების მიზანმიმართულობას, კაპიტალის ფორმირებას, კერძო ინვესტიციების მოზიდვას და ზოგადად ვაჭრობის ზრდას.

კიდევ ერთი კვლევა, რომელიც საბიუჯეტო დანახარჯების დადებით კორელაციას წარმოგვიდგენს ჩატარებული იქნა (Alshahrani, S. Alsadiq, A. 2014) მიერ. მკვლევარებმა საუდის არაბეთის მაგალითზე შეისწავლეს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო ხარჯების ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე. ისინი შეეცადნენ ეკონომეტრიკული ტექნიკის, კერძოდ კი ვექტორული შეცდომის კორექციის მოდელის (VECM), გამოყენებით განესაზღვრათ დანახარჯების ეფექტი

ეკონომიკურ ზრდაზე, როგორც გრძელვადიან ასევე მოკლევადიან ასპექტში. 1969 - 2010 წლების დროითი მწკრივების მონაცემებზე დაყრდნობით, მათ აღმოაჩინეს, რომ შიდა კერძო და საჯარო ინვესტიციები, ასევე ჯანდაცვის სექტორში გაწეული ინვესტიციები ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში. კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ თავისუფალი ვაჭრობა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გაწეული დანახარჯებიც, ასევე დადებითად აისახება მწარმოებლობაზე მოკლევადიან პერიოდში.

(Knoop, T. 1999)-მა ასევე გამოიყენა დროითი მწკრივების მონაცემები, შეისწავლა რა ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო დანახარჯების ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე და დაასკვნა, რომ სახელმწიფოს როლის შემცირება (მთავრობის ხარჯების შემცირება) უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე და ზოგადად კეთილდღეობაზე. აღნიშნული კვლევა მან ჩაატარა უმცირეს კვადრატთა მეთოდის (OLS) და ენდოგენური ზრდის თეორიის გამოყენებით.

განსხვავებით, (Guseh, J. 1997) რომელმაც მსგავსი ეკონომეტრიკული მიდგომა გამოიყენა, 1960-დან 1985 წლამდე 59 საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებული ქვეყნების დროითი მწკრივების მონაცემებზე დაყრდნობით, დადგინეს სახელმწიფოს ჩართულობის საპირისპირო ეფექტი. მისი შედეგი ვარაუდობს, რომ მთავრობის ზომის ზრდა უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე.

ენდოგენური ზრდის მოდელის გამოყენებით (Nurudeen, A. Usman, A. 2010), (Hsieh, E. Lai, K. 1994) შეეცადნენ გაერკვიათ სახელმწიფო დანახარჯებს და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირის შესახებ, დიდი შვიდეულის წევრ ქვეყნებში, კერძოდ: კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და აშშ. მათ ემპირიულ შედეგებზე დაყრდნობით დაადგინეს, რომ აღნიშნული ურთიერთ კავშირი შეიძლება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდნენ დროთა განმავლობაში. თუმცა ავტორებმა, თავიანთ კვლევაში

ვერც დადებითი და ვერც უარყოფით მტკიცებულება ვერ იპოვეს და მათ დაასკვნეს, რომ სახელმწიფო ხარჯები ყველაზე მეტად არის კონტრიბუციული ეკონომიკის განვითარებასთან მიმართებით, როდესაც ის მიმართულია მცირე პროპორციებად საუკეთესო დანიშნულებისთვის.

კიდევ ერთი კვლევა სახელმწიფო დანახარჯების აგრეგირებული და არა-აგრეგირებული ეფექტის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, მსოფლიო ქვეყნების მონაცემებზე დაყრდნობით, შეისწავლა (Wahab, M. 2011). სადაც, სახელმწიფო ასიგნებების აგრეგირებული დანახარჯების შესასწავლად ავტორმა გამოიყენა 97 განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის მონაცემები 1980 წლიდან 2004 წლის ჩათვლით, ხოლო არა-აგრეგირებული სახელმწიფო ხარჯების მიმართებით კი მხოლოდ 32 ქვეყნის 1980-2000 წლის მონაცემები. ავტორმა სიმეტრიული და ასიმეტრიული მოდელის სპეციფიკაციების გამოყენებით აღმოაჩინა, რომ აგრეგირებულ სახელმწიფო დანახარჯებს დადებითი ეფექტი აქვს, განსაკუთრებით საერთო ტენდენციის ქვეშ მყოფ ცვლადთა ნიშნულთათვის. დამატებით, მან აღმოაჩინა, რომ ხარჯებს რომელიც გაწეულია მთავრობის მომსახურებაზე მნიშვნელოვანი შედეგები არ გააჩნია, მაგრამ მთავრობის მიერ გაწეული საინვესტიციო ხარჯები პოზიტიურ შედეგს იძლევა ეკონომიკის ზრდაზე. უფრო მეტიც, უკანასკნელი განსაკუთრებით პოზიტიურია მაშინ როდესაც ინვესტიციებზე გაწეული დანახარჯების ზრდის ტენდენცია საერთო ტენდენციის ქვეშ მყოფი ნიშნულში იმყოფება, ხოლო როდესაც აღნიშნული ნიშნული აჭარბებს საერთო ტენდენციის ნიშნულს, გაწეული ხარჯი უარყოფითი ეფექტის მატარებელია.

კვლევის ყველაზე ხანგრძლივი ვადის და მონაცემთა დიდი რაოდენობის მომცველი კვლევა გამოაქვეყნეს (Wu et al. 2010), სადაც განხილული იყო სახელმწიფო დანახარჯების და ეკონომიკური ზრდის მიზეზ შედეგობრივი კავშირი. კვლევა ეყრდნობოდა პანელურ (ლონგიტიდურ) გრანგერის შემთხვევითობის ტესტს (Granger Causality Test) და მოიცავდა 182 ქვეყნის 1950-2004 წლების პანელურ მონაცემებს. მათ აღმოაჩინეს, რომ

შედეგებმა მტკიცედ დაუჭირა მხარი როგორც ვაგნერის კანონს, ასევე ჰიპოთეზას რომ სახელმწიფო დანახარჯები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

(Tang, T. 2009) თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე და თავდაცვაზე კონტიგრირებულია ეროვნულ შემოსავალთან, მაშინ როდესაც განსხვავებული ეფექტი აქვს ჯამრთელობის დაცვაზე გაწეულ დანახარჯებს. კვლევა ასევე მიუთითებს, რომ ერთიანი-მიმართულებითი მიზეზობრივი ტენდენციაა გამოვლენილი ეროვნული შემოსავალსა და სახელმწიფო დანახარჯების სამი ძირითადი კომპონენტს (განათლება, თავდაცვა და ჯანმრთელობის დაცვა) შორის, რომელიც მხარს უჭერს ვაგნერის კანონს.

2.3.1 შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის არსი

შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი წარმოადგენს ინფორმაციის სისტემურ გამოყენებას ბიუჯეტის შესრულების, შედეგების და მისი საჯარო პოლიტიკაზე ზემოქმედების შესახებ. რათა უფრო მეტად ინფორმირებული, ზეგავლენის მომხდენი ან/და გამსაზღვრელი იყოს შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებები შესაბამისი საბიუჯეტო პოლიტიკის კონტექსტში. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი რიგ მიზნებს ემსახურება:

- **გამჭვირვალობა:** OECD-ის 2015 წლის რეკომენდაცია, საბიუჯეტო მმართველობის შესახებ, აღნიშნავს რომ **შესრულების ინფორმაციის** სისტემური გამოყენება ხელს უწყობს პარლამენტს და მოქალაქეებს "უკეთ გაგებაში არა მარტო თუ როგორ იხარჯება სახსრები, არამედ რა კეთდება მოქალაქეების სასიკეთოდ - ანუ რა ტიპის საზოგადოებრივი მომსახურება იქნა მათთვის მიწოდებული და აღნიშნული მომსახურება რა ხარისხის სტანდარტებს და ეფექტურობის დონეს მოიცავდა". გამჭვირვალობა, თავის მხრივ, საზოგადოების ნდობისა ამაღლების და გარანტიის მნიშვნელოვანი საფუძველია, თუ როგორ გამოიყენება საბიუჯეტო სახსრები;

- **ანგარიშვალდებულება:** განსაზღვრავს დასახული მიზნების და ამოცანების ერთობლიობას და ეხმარება საზოგადოებას, პარლამენტის წევრებს და მაღალ თანამდებობრივ მენეჯერებს რათა უკეთ გააკონტროლონ სამთავრობო უწყებების მიერ საჯარო ფინანსების სათანადო გამოყენება და განკარგვა, დასახული მიზნების მისაღწევად;
- **ეფექტურობა:** შეუძლია შესრულების მდგრადი და შედარებითი ინდიკატორების ეფექტის განსაზღვრა სხვადასხვა სექტორზე. დამატებით, შესაბამის ფინანსურ ასიგნებებთან ერთად აფასებს ეფექტიანობის მაჩვენებელს, კერძოდ ერთ ერთეულზე გაწეული დანახარჯების და მისი დროში გაუმჯობესების მიმართებით;
- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება:** შესადარებელი ქვეყნების და რეგიონების სხვადასხვა სექტორებზე დაყრდნობით, ბიუჯეტების მკაფიო დაკავშირება შედეგებთან და გამოწვეულ ზემოქმედებებთან. გამომდინარე, დასკვნითი ანალიზის მომზადება იძლევა საშუალებას საფუძველი ჩაუყაროს ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების;
- **"კულტურული ცვლილების" ხელშეწყობა:** მიზნების განსაზღვრის, ინდიკატორების შემუშავების და განვლილი პროგრესის შეფასების პრაქტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს საჯარო ადმინისტრირების და მართვის სისტემებში. აღნიშნული, საშუალებას იძლევა ტრადიციული დანახარჯებზე კონცენტრირებული მოდელისგან, გადართვა განხორციელდეს იმ მმართველობის მოდელზე, რომლის პრიორიტეტიც შედეგზე ორიენტირებულობაა;
- **საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღება:** სწორად შემუშავებული, და ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორების გათვალისწინებით, შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო სისტემა უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც ხელს უწყობს წლიურ და მრავალწლიან ბიუჯეტის შემუშავებას. მათ შორის ძირითადი საბიუჯეტო

პრობლემატიკის გადაწყვეტის კუთხით, თუ სად უნდა წარიმართოს შეზღუდული რესურსები ეფექტურად (ან ხელახლა იქნეს გადანაწილებული);

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს რაიმე ჯადოსნური ფორმულა რაც საჯარო სექტორის ეფექტურობის ზრდას მიესადაგება. თუმცა ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნები ითავისებენ მრავალფეროვან მიდგომებს, რათა რეფორმირება მოხდეს მთავარი ინსტიტუციონალური მიდგომების, რომლებიც მოიცავს: მეტი უფლებების გადაცემას და დეცენტრალიზაციას, კონკურენტული ზეწოლის გაძლიერებას, სამუშაო ძალის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას, ბიუჯეტის პრაქტიკის და პროცედურების შეცვლას და მართვის შედეგებზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას.

დამატებით, (Cristine, T. Lonti, Z. Jourmard, I. 2007) ემპირიული მიგნებები მიუთითებენ, რომ მომდევნო სამი ინსტიტუციური ფაქტორი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საჯარო სექტორის მუშაობის გამაუმჯობესებელი:

- პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და მეტი პასუხისმგებლობის მინიჭება ადგილობრივ თვითმართველობებს.
- ადამიანური რესურსების მართვის რელევანტური პრაქტიკის დანერგვა.
- არსებობს მტკიცებულება, რომ განათლებისა და ჯანდაცვის სექტორში გაზრდილმა ოპერაციულმა მასშტაბებმა შეიძლება გააუმჯობესოს ეფექტიანობა.

ზოგადად, OECD წევრ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულია **ბიუჯეტის პროცესის შესრულების ინფორმაციის** გამოყენების გაზრდის ინიციატივა. აღნიშნული ინიციატივა მიმდინარე პროცესის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს რესურსებიდან, ბიუჯეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესის

(რამდენი ფული შემიძლია მოვიპოვო?), ფოკუსის გადატანას შედეგების გაზომვადობაზე (რის მიღწევას შევძლებ აღნიშნული ფულით?).

მნიშვნელოვანია, რომ შესრულების ინფორმაციის ინიციატივის გამოყენებამ OECD წევრ ქვეყნებში რიგი სარგებლიანობა მოიტანა, კერძოდ:

- იგი ფართოდ ფოკუსირებს სამთავრობო უწყებათა შედეგიანობაზე;
- იგი უფრო მეტ ინფორმაციას აწვდის მთავრობის მიზნებსა და პრიორიტეტებზე, და რამდენად თანხვედრაშია განსხვავებული პროგრამები დასახული მიზნების მისაღწევად;
- იგი ახალისებს უფრო მეტი ყურადღების დათმობას დაგეგმვაზე და წარმოგვიდგება როგორც გამაფრთხილებელი ხელსაწყო, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ძირითადი და პრობლემატური ფაქტორები;
- მას როგორც საჯარო მართვის და ეფექტურობის გაუმჯობესების დიდი პოტენციალის მქონეს, ახალისებს გამჭვირვალობას პარლამენტისთვის და ფართო საზოგადოებისთვის უფრო მეტი და უკეთესი ინფორმაციის მიწოდების გზით;

საყურადღებოა, რომ სწორი და მიზანმიმართული ბიუჯეტირება ქვეყნის პოლიტიკის და ანგარიშვალდებულების განვითარების ძირითად ასპექტს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისთვის ან რეგიონისთვის. რაც შეეხება ევროკავშირის კონტექსტს, სადაც ინსტიტუტების უნიკალური სისტემა და მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორისი ურთიერთობები სუფევს, ტრადიციულად ყურადღება ეთმობა ბიუჯეტის შესრულების ასპექტებს. შესაბამისად, ბიუჯეტი ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობაზე და ევროკავშირის საბიუჯეტო რესურსების ეფექტურ ხარჯვით შედეგიანობაზე, რათა ეს შედეგები სასარგებლო იყოს მოქალაქეებისთვის.

ევროკავშირის ბიუჯეტის პროცესირებაში გასარკვევად და მისი შედარებითობისთვის საერთაშორისო საბიუჯეტო მოდელებთან, რამდენიმე თავისებურებების გათვალისწინებაა საჭირო. კერძოდ:

- პირველ რიგში, ევროკავშირის ბიუჯეტი ინვესტიციებზე ორიენტირებული ბიუჯეტია, რაც ხაზს უსვამს რესურსების გამოყოფას ევროკავშირის მიერ დასახული კონკრეტული მიზნებისთვის, რათა არ მოხდეს შემავალი ქვეყნების ნაციონალური ბიუჯეტის ასიგნებებთან დუბლირება;
- საინვესტიციო პროგრამები, მათი ბუნების მიხედვით, მრავალწლიან ასპექტში განიხილება ვიდრე ყოველწლიური პერსპექტივიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ბიუჯეტი ძლიერი მრავალწლიანი თვისებით გამოირჩევა, რომელიც ხშირად თანხვედრაში არ მოდის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა და OECD-ს ქვეყანების საბიუჯეტო მიზნებთან. ევროკავშირის მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო (MFF) აწესებს მაქსიმალურ წლიურ თანხებს (შეზღუდვებს), რომელიც ევროკავშირს შეუძლია დახარჯოს სხვადასხვა პოლიტიკის სფეროებთან მიმართებით მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში;
- მიუხედავად რომ ბევრი ეროვნული საბიუჯეტო სისტემა შესრულების ინფორმაციას განიხილავს, როგორც ფინანსური ასიგნებების დამხმარე საშუალებად, ევროკავშირის საბიუჯეტო სისტემა კმაყოფილდება შესრულების შესახებ ინფორმაციისა და ანგარიშგების სტრუქტურების ერთობლიობით. აღნიშნული ჩარჩო შემუშავებულია წლების მანძილზე და უზრუნველყოფს რომ ევროკავშირი თავისი მანდატის ფარგლებში მოქმედებდეს გაწეული ხარჯების, შედეგების და მათი გავლენების დასაბუთებაზე. შედეგად, ევროკავშირის ბიუჯეტი, შესრულების ასპექტში, გარკვეული თვალსაზრისით უფრო მაღლაა, ვიდრე ჩვეულებრივი ეროვნული ბიუჯეტები;
- ევროკავშირის ბიუჯეტი კანონმდებლობით მოითხოვს რომ გათვალისწინებულ იქნეს "მკაცრი ფინანსური მართვის" პრინციპები,

რომელიც თავისთავში მოიცავს ეკონომიკის, ეფექტურობისა და ეფექტიანობის პრინციპებს. იგი ასევე ითვალისწინებს "SMART" მიზნების დასახვას და, თავის მხრივ, ყველა შემავალი წევრი ქვეყანა კანონმდებლობით ვალდებულია რომ ითანამშრომლოს ევროკომისიასთან, რათა დაცული იქნეს აღნიშნული პრინციპები;

- ევროკავშირის ბიუჯეტის შესრულების და შედეგების პროცესირებისას წარმოშობილი პრობლემატიკის თავიდან აცილების მიზნით, ევროკავშირის საბიუჯეტო სისტემა მოიცავს სხვადასხვა ინსტიტუტებს, როგორცაა: თვითონ ევროკომისიის საშინაო საქმიანობა, რათა მოხდეს ყველა მთავარი დასაფინანსებელი პროგრამების ნუსხის დიზაინერება; აგრეთვე, მეტი ყურადღებით შესწავლის და ანგარიშვალდებულების მიზნით, უზრუნველყოფილია ევროპარლამენტის და აუდიტის ევროპული სასამართლოს (ECA) ჩართულობის პროცესიც.

2.4 სავაჭრო კომპონენტები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ბევრი კვლევა არსებობს პრაქტიკაში, რომელიც ეძღვნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და სავაჭრო კომპონენტების (ექსპორტი, იმპორტის გახსნილობა, სავაჭრო შეზღუდვები) გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. გამომდინარე, მოცემული კვლევების უდიდესი ნაწილი მიუთითებენ, რომ ის ქვეყნები რომელს ეკონომიკაც ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისთვის, აქვთ მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე და მათი ეკონომიკებიც გაცილებით სწრაფი ტემპით იზრდებიან (Romer, P. 1990) და (Barro, R. 2003).

თავის კვლევაში (Tekin, R. 2012) აჩვენა, რომ ექსპორტის ზრდა დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე. უფრო მეტიც, (Simut, R. Mester, I. 2014) იდენტიფიცირება გაუკეთეს პირდაპირი კორელაციის შედეგობრივ კავშირით: ექსპორტს, ბაზრის გახსნილობას და ეკონომიკურ ზრდას შორის, ათი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნის მაგალითზე.

თავისუფალ ვაჭრობას სხვადასხვა მრავალფეროვანი არხების გამოყენებით, როგორცაა ტექნოლოგიური ტრანსფერი, კონკურენტული უპირატესობა და დანახარჯების ოპტიმიზაციის ზრდა, ასევე შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს ეკონომიკურ ზრდაზე (Chang et al. 2009). მაგალითისთვის, (Edward, S. 1992) თავის ნაშრომში მიუთითებს რომ სავაჭრო გახსნილობას რეალურ მთლიან შიდა პროდუქტზე დადებითი ეფექტი აქვს და შესაბამისად, სავაჭრო ლიბერალიზაცია წარმოგვიდგება როგორც ეკონომიკის ამჩქარებელი და ქვეყნებს შეუძლიათ გაცილებით ადვილად აითვისონ უცხოური ბაზრები.

მკვლევარმა (Ynikkaya, H. 2003), 120 ქვეყნის 1970 წლიდან 1997 წლამდე მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზა სავაჭრო თავისუფლების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, სადაც ბაზრის თავისუფლების ხარისხის გაზომვისას რამდენიმე ცვლადი გამოიყენა, კერძოდ: ექსპორტი, იმპორტის მოცულობა,

ექსპორტ-იმპორტის და განვითარებული ქვეყნებთან განხორციელებული სვაჭრო ბრუნვის ჯამი. ავტორმა აგრეთვე გამოიყენა სავაჭრო პოლიტიკის ცვლადი ვაჭრობის ღიაობის ან შეზღუდვების გასაზომად. შედეგებმა აჩვენეს რომ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ინდიკატორები, რომლებიც მთლიან მოცულობებს ზომავენ, დადებითი ეფექტი აქვთ ეკონომიკურ ზრდაზე. ყველაზე საინტერესო რაც შედეგებმა ასევე გვიჩვენა არის ის, რომ განვითარებად ქვეყნებში სავაჭრო შეზღუდვები მთლიანი შიდა პროდუქტის ამჩქარებელ ეფექტად წარმოგვიდგა.

დამატებით, (Lal, D. Rajapatirana, L. 1987) თავიანთ ნაშრომში მიუთითებენ, რომ გაზრდილ ექსპორტს შეუძლია გარდამავალი როლი ითამაშოს თვით ეკონომიკური თავისუფლების კუთხითაც. ვინაიდან ის ქვეყნები რომელთა ეკონომიკებიც შეზღუდვების პირობებში ფუნქციონირებენ, გაცილებით სწრაფად შეეძლებათ განვითარებული ქვეყნებიდან ტექნოლოგიების ათვისება. შესაბამისად, გაზრდილი წარმოების ფაქტორები დადებითად მოქმედებენ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე.

ნეოკლასიკური თეორია განვითარებად ქვეყანებისთვის, მიუხედავად ინვესტიციების სახეებისა, უპირატესობას ანიჭებს მოზიდული კაპიტალის ზრდაზე. საინვესტიციო წყარო შეიძლება მოიცავდეს როგორც საპროცენტო განაკვეთის ზრდას, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჭარბ შემოდინებებს. ხოლო თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თავისთავში ტექნოლოგიურ ტრანსფერსაც ითავისებენ, პროცესი გაცილებით მდგრადი და შედეგის მომცემია. ზოგიერთი ევროპული კავშირის წევრ ქვეყნების მაგალითზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებმა ხელი შეუწყო მდგრად ეკონომიკურ ზრდას, სადაც ორი ხელშემწყობი არხი ინვესტიციებით და ექსპორტებით იყო წარმოდგენილი (Marinas, M. 2007).

დამატებით, (Li, X. Liu, X. 2005) გამოიკვლიეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტრიბუციული ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე, განვითარებული და განვითარებად ქვეყნების ფართო მონაცემებზე

დაყრდნობით, სადაც კვლევამ ორივე ქვეყნის ჯგუფებთან მიმართებით მძლავრი დადებითი კავშირი აჩვენა. უფრო მეტიც, კვლევამ გამოავლინა რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს აქვს როგორც პირდაპირი გავლენა, ასევე არაპირდაპირი მძლავრი პოზიტიური ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე.

მსგავსად, (Bhandari et al., 2007) შეისწავლეს უცხოური დახმარების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტურობა ჩეხეთის რესპუბლიკის, უნგრეთის, ლატვიის, ლიეტუვოს, და პოლონეთის მაგალითებზე. მას შემდეგ რაც იდენტიფიცირება გაკეთდა სტაციონალური დროითი მწკრივების, მათ გამოიყენეს კონტეგრაციის ტესტი და შედეგებმა აჩვენა რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც დამოუკიდებელი ცვლად, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც დადებითად ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე მოცემულ ქვეყნებში.

საგულისხმოა, რომ (Jungmittag, A. 2004) თავის ნაშრომში გამოაქვს მსგავსი შეფასება ინვესტიციების და ტექნოლოგიური სპეციალიზაციის მნიშვნელობაზე ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით. მას შემდეგ რაც ავტორის მიერ ჩატარებული იქნა ემპირიული ანალიზი, მან აჩვენა რომ ქვეყანაში კაპიტალის აკუმულირებასთან ერთად ტექნიკური ცოდნის გადაცემაც წარმოადგენენ ეკონომიკის ზრდის მძლავრ მამოძრავებელ ძალას, რაც მძლავრ იმპულსს წარმოადგენს ევროკავშირის კანდიდატი და ახლად გაწევრიანებული ქვეყნებისთვის, რათა ისინი დაეწიონ განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს. ხოლო რაც შეეხება ევროკავშირის განვითარებული ქვეყნებისთვის, კვლევამ აჩვენა რომ რიკარდოს ტექნოლოგია და მიდგომა არის უფრო მნიშვნელოვანი.

2.5 არა-ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები

ერთერთი მკვლევარი, რომელმაც სახელმწიფო მმართველობის როლი შეისწავლა ეკონომიკურ ზრდაზე არის (Arusha, C. 2009). მან 71 განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების მაგალითზე, 1996-დან 2003 წლამდე მონაცემებით, აჩვენა რომ იმ ქვეყნების ეკონომიკა რომლებსაც გააჩნიათ ძლიერი სახელმწიფო მმართველობა გაცილებით სწრაფად იზრდებიან, ვიდრე სუსტი მმართველობის პირობებში.

უფრო მეტიც, (Rodrik, D. 2000) თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ ხუთი ტიპის მთავარ ინსტიტუციურ ჩარჩოებს (საკუთრების უფლება, მარეგულირებელ ინსტიტუტები, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტიტუტები, სოციალური დაზღვევის ინსტიტუტები და კონფლიქტის მართვის ინსტიტუტები) შეუძლიათ პირდაპირი კავშირი ქონდეთ ეკონომიკურ და სხვა ეკონომიკის ზრდის განმსაზღვრელ ინდიკატორებზე.

(Murphy et al. 1993) და (Mauro, P. 1995) აღნიშნავენ, რომ კორუფცია ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, ვინაიდან უარყოფითად მოქმედებს ინოვაციაზე და სხვადასხვა ბიზნეს წამოწყებებზე, რაც მთლიანობაში ნაყოფიერებაზე პოვებს ასახვას. ამგვარად, ინოვაციებთან მიმართებით კორუფციას შეუძლია ახალ მეწარმეებს ბაზარზე შესვლის ბარიერები შეუქმნას, ვინაიდან დიდი ოდენობის ქრთამის გადახდა ამცირებს პროდუქტიულობას (Svensson, J. 2003).

დამატებით, (Lensink et al., 1999) აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ ფაქტორებს, როგორცაა პოლიტიკური რეჟიმი, პოლიტიკური არასტაბილურობა, სამოქალაქო თავისუფლება და ზოგადად პოლიტიკური სიტუაციის აღქმა დიდი როლს თამაშობენ ეკონომიკურ ზრდაზე. ავტორების ასევე მიუთითებენ, რომ პოლიტიკურ არასტაბილურობას უარყოფითი ეფექტი აქვს კომპანიებზე და მათ სურვილზე რომ განახორციელონ დამატებითი ინვესტიციები, ვინაიდან არაჯანსაღი პოლიტიკურ სიტუაციამ შეიძლება

გამოიწვიოს ფართო საზოგადოებრივი ძალადობა და ანარქია, რასაც სვალალო შედეგის მოტანა შეუძლია ეკონომიკის განვითარებისთვის.

(Aisen, A. Veiga, F. 2013) გამოიძიეს, 169 ქვეყნის მაგალითზე 1960 წლიდან 2004 წლამდე მონაცემებზე დაყრდნობით, პოლიტიკური არასტაბილურობის უარყოფითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე. ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები თუ როგორ აისახება არასტაბილურობის ნეგატიური ეფექტის ზრდაზე არიან: პროდუქტიულობა, ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის აკუმულაცია. თუმცა, ქვეყნის დემოკრატიზაციის უკუსვლის ხარისხსაც შეიძლება ქონდეს, თუნდაც მცირე, უარყოფითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე.

სოციალურ-კულტურული ფაქტორსაც შეიძლება განმსაზღვრელი როლი ეკავოს ეკონომიკურ ზრდაზე. ეთნიკური მრავალფეროვნება და ფრაგმენტაცია, ენა, რელიგია, სამოქალაქო ნორმები და რწმენა წარმოადგენენ იმ სოციალურ-კულტურულ განმსაზღვრელ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა იქონიონ ეკონომიკურ განვითარებაზე (Acemoglu, D. 2009). ავტორი ასევე ირწმუნება, რომ გეოგრაფიული ადგილმდებარეობასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური ზრდის განსაზღვრისას. ნიადაგის ხარისხს შეუძლია გავლენა იქონიოს აგრო-კულტურულ პროდუქტიულობაზე. ბუნებრივი რესურსების ქონა პირდაპირ კონტრიბუციაშია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან, საჭირო ხელისშემწყობი კომპონენტების წარმოებით. რაც შეეხება, კლიმატურ პირობებს მას პირდაპირი კავშირი აქვს მწარმოებლობაზე და მოხმარების ქცევით დამოკიდებულებაზე. ავტორის განმარტებით, ასვე მნიშვნელოვანია ქვეყნის რელიეფური განლაგებაც რამაც შეიძლება დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს სატრანსპორტო დანახარჯებზე ან საკომუნიკაციო საშუალებებზე. ბოლოს ავტორი მიუთითებს ინფექციურ დაავადებებზე რომლებმაც შესაძლო ეფექტი იქონიონ ჯამრთელობის დაცვაზე, მწარმოებლობაზე და ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის აკუმულაციაზე.

3. კვლევის ფილოსოფია, მეთოდოლოგია და მეთოდი

სოციალური კვლევის ჩატარების მთავარ მიზანს გარშემომყოფი არსებული რეალობის შესწავლა და იმ შესაძლო შედეგების ანალიზია რომელიც კაცობრიობის მიერ არის გამოწვეული. მიუხედავად ფაქტისა, რომ დღესდღეობით კვლევები მრავალ მიმართულებებს მოიცავს, ყველა ეს ფაქტორი არ ცვლის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს, რაც აღმოჩენასთან და სიახლესთან ასოცირდება.

3.1 კვლევის ფილოსოფია

3.1.1 ემპირიულობა როგორც პოზიტივიზმის საფუძველი

ცოდნის არსი და ფაქტი, თუ როგორ შევიძენთ მას დიდი ხანია განხილვის საგანია. აღნიშნული სათავეს იღებს ანტიკური საბერძნეთიდან განსაკურებით პლატონის და მის შემდგომი “Rationalism”-ის მიმდევრებისგან, რომლებიც ამტკიცებდნენ: „ლოგიკის და მათემატიკის სიძლიერე, როდესაც თეორიული არგუმენტების ნამდვილობის შეჯიბრი და მტკიცება მიმდინარეობს, შეუძლებელია მხოლოდ დაკვირვებით გადაიჭრას, არამედ მსოფლიოს სინამდვილის დადგენაში აუცილებელია მიზეზიც“.

ვაჭრობის და სხვადასხვა პროფესიების განვითარებამ მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში სხვადასხვა ტრადიციებს ჩაუყარა საფუძველი. აღნიშნული ვაჭრობის მონაწილენი არ იყვნენ ტრადიციული კლასიკური განათლების მატარებლები და მათი ძირითადი ცოდნა და გამოცდილება ეფუძნებოდა ზეპირსიტყვაობას, სადაც ცოდნის გადაცემა დიდად დამოკიდებული იყო ფრთხილ დაკვირვებებზე და გამოცდილებებზე.

სწორედ ზემოთ აღნიშნულმა მისცა ბიძგი ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობების ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნებოდა ფაქტს რომ

ნამდვილი ცოდნის შექმნა მოლოდ დაკვირვებით იყო შესაძლებელი, ხოლო ზოგიერთი ცოდნისკენ მიმავალი გზა გამოცდილებაზე გადის, რომელიც შექმნილია დაკვირვების დროს.

მოცემული მიმდინარეობის პიონერები თავდაპირველად ბრიტანეთში, ხოლო მოგვიანებით ამერიკის შეერთებულ შტატებში იყვნენ Bacon, Hume, Locke და Berkeley, რომლებიც შემდგომში ცნობილი გახდნენ როგორც “Empiricism”-ის ფუძემდებლები. (Ryan et al., 1993).

დღევანდელობაში, “Empiricism”-ი ერთერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობას წარმოადგენს და როგორც (Ryan et al., 1993) აღნიშნავს, ტრადიციული ემპირიული მიმდევრები შემდეგ სამ მთავარ ბოძს ეფუძნება:

1. რწმენის მტკიცება, რაც ჩვენ ვიცით, მხოლოდ აღქმული გამოცდილების საშუალებით უნდა განხორციელდეს.
2. საბოლოოდ, მთელი ცოდნა გამოცდილებიდან გამომდინარეობს: ”მიზეზი” რამდენადაც ჩვენ გვესმის, როგორც Locke-მა თქვა ისწავლება შემდეგნაირად: - ჩვენ ყველანი ცარიელი ფურცელით ვიბადებით, რომელზეც გრძნობების შთაბეჭდილებები იწერება.
3. დისკურსის რეალობაში განცხადებები ან მართალია ან მცდარი იმის გამო, რომ სამყარო არსებობს ან/და ენის ზოგიერთი ოფიციალური თვისების გამო.

„ემპირიულ“ ფილოსოფიურ მიმდინარეობას ძალიან დიდი გავლენა ექონდა თანამედროვე ფილოსოფიური მიმდინარეობის „პოზიტივიზმის“ განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. რომელმაც, შემდგომში უდიდესი ზეგავლენა იქონია ისეთი დისციპლინების წარმოჩინებებზე, როგორცაა: ეკონომიკა, ფინანსები და ფინანსური აღრიცხვა.

3.2 კვლევის მეთოდოლოგია

3.2.1 პოზიტივიზმი და ლოგიკური პოზიტივიზმი

აღსანიშნავია, რომ კვლევის ჩატარების მთავარ მიზანს გარშემომყოფი არსებული რეალობის შესწავლა და იმ შესაძლო შედეგების ანალიზია, რომელიც კაცობრიობის მიერ არის გამოწვეული. მიუხედავად ფაქტისა, რომ დღესდღეობით კვლევები მრავალ მიმართულებებს მოიცავს, ყველა ეს ფაქტორი არ ცვლის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს რაც აღმოჩენას და სიახლესთან ასოცირდება.

ტერმინი „პოზიტივიზმი“ პირველად გამოყენებული იქნა მეცხრამეტე საუკუნის სოციალ ფილოსოფოსის August Comte-ს მიერ. მიუხედავად (Comte, A. 1968)-ს დიდი წვლილისა სოციოლოგიაში, ამჟამინდელ რეალობაში ბევრი სოციოლოგისთვის მიუღებელი იქნებოდა მისი ფილოსოფიური მიდგომები.

მას შემდეგ რაც „პოზიტივისტურმა“ მიმდინარეობამ მცირე მოდიფიცირება განიცადა, მას ეწოდა „ლოგიკური პოზიტივიზმი“ და წარმოჩინდა როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისის მთავარ ძალად. ძირითადად ის ვენის გარემოცვაში შემავალი შემდეგი ფილოსოფოსების ნაშრომებს მოიცავდა, როგორებიც იყვნენ: Friedrich Shlick, Rudolf Carnap, Herbert Feigl და სხვები. დამატებით, პოზიტივიზმის დისციპლინა წარმოადგენს ემპირიულიზმის მთავარ ნაწილს და „მტკიცებულებების პრინციპების (Verification Principle)“ გარდა არის თითქმის იდენტური David Hume-ის ფილოსოფიასთან.

Milton Friedman-მა 1953 წელს წარმოგვიდგინა ძალიან გავლენიანი პოზიტივისტური ნაშრომი „The Methodology of Positive Economics“, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ეკონომიკის მიმდინარეობაზე, განსაკუთრებით კი ფინანსური დისციპლინის დამწყებ ფილოსოფოსებზე. ამგვარად Friedman-ი

თავის ნაშრომში აყალიბებს პოზიტივისტური ეკონომიკის მეთოდოლოგიას და გვამცნობს:

„პოზიტიური მეცნიერების საბოლოო მიზანი არის „თეორიის“ ან „ჰიპოთეზის“ შემუშავება, რომელიც იძლევა მართებულ და შინაარსობრივ (ე.ი. არა ჭეშმარიტ) პროგნოზებს, რომლის ფენომენიც ჯერ კიდევ არ შეინიშნება. ზოგადად, ასეთი თეორია წარმოადგენს ორი ელემენტის კომპლექსურ ინტერპრეტაციას. ნაწილობრივ, ეს არის "ენა", რომელიც მიზნად ისახავს მსჯელობის სისტემატური და ორგანიზებული მეთოდების გამოყენებას და მეორე, ნაწილობრივ ეს არის არსებითი ჰიპოთეზების ორგანო, რომელიც შექმნილია რთული რეალობის არსებითი მახასიათებლების აღსაქმელად“.

(Friedman, M. 1953)-ის მთავარ პრინციპებზე დაყრდნობით ლოგიკურ პოზიტივიზმს შემოაქვს მცნება „მტკიცებულებების პრინციპების“ შესახებ. სადაც ისინი ამტკიცებენ, რომ რაიმე დადგენილება მხოლოდ გამომდინარეა მისი მტკიცებულების მეთოდიდან. შესაბამისად, დადგენილება თუ დამტკიცდება როგორც სიმართლე, მაშასადამე მოცემული დადგენილება მნიშვნელოვანია.

3.2.2 ინსტრუმენტალიზმი როგორც რეალიზმის სუსტი ფორმა

„ემპირიულის“ და ზოგადად „პოზიტივიზმის“ მიმდინარეობების განვითარებისას მთავარი პრობლემები, რომელიც ყოველთვის თავს იჩენდნენ დაკავშირებული იყო არა-დაკვირვებად და არა-გაზომვად თეორიულ მახასიათებლებთან. თუმცა (Ryan et al., 1993) თუ დავეკითხებით არსებობს ორი სტრატეგია რომელიც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ პრობლემის აღმოფხვრას: პირველი უბრალოდ უარყოფს განსხვავებას დაკვირვებებსა და თეორიულ პირობებს შორის და მეორე, რომელიც აღიარებს ამ ორ პირობებს შორის განსხვავებას, მაგრამ ამტკიცებს რომ თეორიულ პირობებს არანაირი კავშირი არ აქვთ ნამდვილი დაკვირვების არსთან. უკანასკნელი კონცეფცია არის

ცნობილი როგორც „ინსტრუმენტალიზმი“ და აღიარებს რეალიზმის სუსტ ფორმას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი რაც ოდესმე შექმნილა „ინსტრუმენტალიზმის“ კონცეფციაზე მიეკუთვნება Karl Popper-ს და ცნობილია, როგორც “The logic of Scientific Discovery”. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი თეორიების მტკიცებისას ძირითადად დაკავებულია დაკვირვებების შეუცდომელი ნაწილის პოვნით და ინდუქციის პრობლემის გამორიცხვით. Popper-ის ნაშრომები მოიცავენ რეალიზმის სუსტ ფორმებს და როგორც (Popper, K. 1959)-ი და (Ryan et al., 1993) ციტირებენ, მოიცავს შემდეგს:

- მეცნიერება პროგრესირებს დამაკავშირებელი ჰიპოთეზების შექმნით, რაც მარტივი ფორმით შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთი ან მეტი უნივერსალური განზოგადება, რომელიც მოქმედებს როგორც ლოგიკურ არგუმენტაციაში, საიდანაც დედუქციის გამოყენებით პირობითი და საექვო შედეგების გამოყოფა არის შესაძლებელი. თეორიების ჩამოყალიბების ძალისხმევა იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული თეორიების უარყოფის ასპექტიც იქნეს გათვალისწინებული. ის თეორიები უარყოფის ასპექტს არ ითვალისწინებენ ისინი ითვლებიან არამეცნიერულად.
- ექსპერიმენტული მეცნიერების როლი სათანადო სადამსჯელო ტესტების შემუშავებაში მდგომარეობს, რომელიც, თუ ეს შესაძლებელია, ცხადყოფს თეორიული გავლენის სიყალბეს და, შესაბამისად, უარყოფს ამ თეორიას.
- თეორია, რომელიც ექსპერიმენტის საშუალებით გადაურჩა მრავალრიცხოვან უარყოფის მცდელობებს, ნათქვამია, რომ "კარგად არის დადასტურებული". ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ არასოდეს შეიძლება ითქვას, რომ თეორია შეიძლება იყოს დამტკიცებული, ეს შეიძლება ფაქტების საფუძველზე იყოს დადასტურებული, მაგრამ უარყოფა ყოველთვის საბედისწეროა. თეორიები ვითარდება „ჭეშმარიტების

ღირებულებების“ დაგროვებაში, როგორც დარვინის ძლიერთა გადარჩენის კონცეფციის მიხედვით. აბსოლუტური თეორიული ჭეშმარიტება მიუწვდომელი იდეალია, თუმცა მთელი მეცნიერების საბოლოო მიზანს წარმოადგენს.

- თეორიის სპეციალური (ad hoc) მოდიფიცირება, როგორც ტაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლებლობის ან უარყოფის შესაძლებლობას გამორიცხვას, დაუშვებელია. თეორია, რომელიც ვერასოდეს იქნება მიჩნეულ მცდარად, უსარგებლოა.

3.3 კვლევის მეთოდები

3.3.1 ცვლადები და მათი გაზომვა

ძირითადად, ყველა კვლევითი პროექტები განიხილებიან როგორც კვლევის მთავრი კითხვების სავარაუდო პასუხების გამცემებად. ამგვარად, აღნიშნული მოცემულობებით, უამრავი ემპირიული კვლევითი ნაშრომები მოიცავენ სტატისტიკური ჰიპოთეზის ან ჰიპოთეზების შემოწმებას. უფრო მეტიც, ემპირიული კვლევის ზოგადი კონცეფციაც სწორედ ცვლადებს შორის კავშირის დადგენაში გამოიხატება. სადაც მთავარ მახასიათებლებს ალბათობითი განაწილება წარმოადგენს და ასევე ცნობილია როგორც „შერჩევითი ცვლადი“ (Ryan et al., 1993). დამატებით, (Ryan et al., 1993) აღნიშნავენ, რომ:

„ემპირიულ ნაშრომში განხილული ცვლადი შეიძლება დაყოფილ იქნეს, როგორც დამოკიდებული და დამოუკიდებელი. ექსპერიმენტის დამოუკიდებელი ცვლადი არის ცვლადი, რომლითაც მანიპულირებს მკვლევარი. სწორედ ეს არის ამ ცვლადის ეფექტი, რომელსაც სწავლობს ექსპერიმენტატორი. დამოკიდებული ცვლადი იზომება დამოუკიდებელი ცვლადის მანიპულირების პასუხად. ამრიგად, ექსპერიმენტში, მკვლევარი

დაინტერესებულია დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილებების გავლენის დადგენით, დამოუკიდებელ ცვლადზე“.

ამგვარად, წარმოდგენილი კვლევა ეყრდნობა შერჩევითი ცვლადის ტიპს და სკალარულ გაზომვის სისტემას, რომლებიც მთლიანობაში რაოდენობრივი ცვლადის დამახასიათებლებია. დამატებით, გამომდინარე კვლევის კომპლექსური დიზაინიდან, რაც კროს-სექციურ და დროითი მწკრივების ერთობლიობაში გამოიხატება, ნაშრომი იყენებს კვლევისთვის ყველაზე ოპტიმალურ გამჭოლ ანუ პანელურ მონაცემთა დიზაინს, რომელიც საუკეთესოა მრავალი მიმართულებებით, კერძოდ: შეუძლია ისეთი მონაცემების კონტროლი და გაზომვა რომელიც სხვა მიდგომებით შეუძლებელი იქნებოდა, შეუძლია აკონტროლოს ისეთი ცვლადები რომლებიც იცვლებიან დროში და არა ჯგუფებს შორისი და რაც მთავარია მოცემული მიდგომა ითვალისწინებს მონაცემთა ინდივიდუალურ ჰეტეროგენურობას.

დამატებით, კვლევა ოპტიმალური რეგრესიული მოდელის დადგენისას ფართოდ ეყრდნობა ფიქსირებული ეფექტის რეგრესიული მოდელის გამოყენებას, რომელიც პრიორიტეტული იქნა ჰაუსმანის ტესტის გამოყენებით და ფიქსირებული ეფექტის რეგრესიული მოდელის (fixed Effect) უპირეტესობის დადგენით, შერჩევითი ეფექტის რეგრესიულ (Random Effect) მოდელზე¹.

¹ გთხოვთ იხილოთ დანართი 3 შერჩევით ეფექტის მოდელის არსის უკეთ გასაცნობად.

3.3.2 ფიქსირებული ეფექტის რეგრესიული მოდელი

(Oscar, T. 2007) თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ფიქსირებული ეფექტის რეგრესიული მოდელის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია რეკომენდირებული როდესაც დროში არამუდმივ ცვლადებთან გვაქვს შეხება.

ავტორი ასევე მიუთითებს, რომ როდესაც აღნიშნულ მიდგომას ვიყენებთ ჩვენ ვუშვებთ დაშვებას, რომ ინდივიდებს შიგნით არსებულმა კავშირმა შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც დამოუკიდებელ ისე დამოკიდებულ ცვლადებზე, რისი კონტროლიც აუცილებელია. სწორედ ფიქსირებული ეფექტის მოდელი გამორიცხავს დროში უცვლელი ცვლადების მახასიათებლებს გავლენას და ამგვარად ჩვენ გვეძლევა საშუალება, რომ შევაფასოთ დამოუკიდებელი ცვლადების გავლენა დამოკიდებულზე. უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი გამოიყენება ფაქტიურად უნიკალურ ნარჩენობით ცვლადებს და ამხსნელ ცვლადებს შორის კორელაციის არსებობის გასაზომად, მათ შორის კორელაციის არ არსებობის ნულოვანი ჰიპოთეზით. ამგვარად, ფიქსირებული ეფექტის მოდელის არსი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

$$Y_{it} = \beta_1 X_{it} + \alpha_i + u_{it} \quad (\text{ფორმულა 1})$$

სადაც:

α_i - ($i = 1 \dots n$) წარმოადგენს თითოეული ცვლადთა ჯგუფების უცნობ გადაკვეთის წერტილს (n რაოდენობის ჯგუფების სპეციფიკური გადაკვეთის წერტილი).

Y_{it} - წარმოადგენს დამოკიდებულ ცვლადს, სადაც $i =$ ჯგუფების რაოდენობის, ხოლო $t =$ დროის პერიოდს განსაზღვრავს.

X_{it} - წარმოადგენს დამოუკიდებელ ცვლადს.

β_1 - წარმოადგენს დამოუკიდებელი ცვლადის კოეფიციენტს.

u_{it} - ნარჩენობითი (რეზიდუალი) ცვლადი.

3.3.3 ჰაუსმანის სპეციფიკური ტესტი

იმისთვის რომ დავადგინოთ თუ რომელი მოდელი გამოვიყენეთ, ფიქსირებული თუ შერჩევითი, ჩვენ შეგვიძლია ჰაუსმანის ტესტის ჩატარება, სადაც ნულოვანი ჰიპოთეზა არის რომ შერჩევითი მოდელი არის ფიქსირებულ მოდელზე უპირატესი. ძირითადად, აღნიშნული ტესტი იდენტიფიცირებას აკეთებს შერჩევითი მოდელის უნიკალური ნარჩენობითი ცვლადი (\mathcal{E}_{it}) არის თუ არა კორელაციაში მთავარ დამოუკიდებელ ცვლადებთან, კორელაციის არ ყოფნის ნულოვანი ჰიპოთეზით (Green, W.H. 2008).

ამგვარად, (Hausman, J. A. 1978) ამტკიცებს, რომ კორელაციის არ ყოფნის ნულოვანი ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, არ უნდა არსებობდეს ორ შემფასებელს შორის სხვაობა. და ჰაუსმანის ტესტის ჩატარებისთვის პირველ რიგში აუცილებელია რომ გამოვთვალოთ $\hat{\beta}_{RE}$, $\hat{\beta}_{FE}$ და მათი კოვარიაცია. სადაც $\hat{\beta}$ უბრალოდ რეგრესიის დროს მიღებული დამოუკიდებელი ცვლადების კოეფიციენტებია.

ხოლო, თვითონ ჰაუსმან სპეციფიკაციის ტესტი კი შემდგომში მდგომარეობს:

$$W = \frac{(\hat{\beta}_{FE} - \hat{\beta}_{RE})^2}{\text{Var}(\hat{\beta}_{FE}) - \text{Var}(\hat{\beta}_{RE})} \sim \chi_k^2$$

სადაც:

χ^2 - ჰი კვადრატი (Chi-Square).

K - შესაბამისი თავისუფლების ხარისხი.

3.3.4 კვლევის მთავარი ცვლადები

აღნიშნული, საკვლევი მასალა მოიცავს ევროპის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკის ზრდის მთავარი პარამეტრების ჩართულობის განსაზღვრას (საბიუჯეტო დანახარჯების დეტალურად ჩაშლით) საშუალოვადიან (ხუთ წლიან) პერიოდზე. ამგვარად კვლევისთვის შერჩეული იქნა 29 წამყვანი ქვეყანა, 16 წლიან 2002-2017 წლების პერიოდით, რომელიც დამატებით სტრატეგიფიცირებული იქნა ორ ჯგუფად მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე (ევროში), სადაც შერჩეული ქვეყნების დაყოფა მოხდა შედარებით დაბალ და მაღალ შემოსავლიან ქვეყნებად, კვლევის ბოლო ხუთი წლის მონაცემების გეომეტრიული საშუალოზე დაყრდნობით, შესაბამისი მედიანის ნიშნულის გამოყვანით. ამგვარად მედიანის ციფრის ზემოთ მყოფი ქვეყნების ჩამონათვალი ერთიანდება ერთ ჯგუფში ხოლო ნიშნულს ქვემოთ მყოფნი დაჯგუფდებიან მეორეში. დამატებით, ყველა ცვლადი გამოხატული არის აბსოლუტური სიდიდით მილიონ ევროში, გარდა პროცენტული მაჩვენებლებით წარმოდგენილი ინფლაციისა და დამოკიდებული ცვლადებისა. კვლევის მიზნებისთვის რიგი ცვლადების გალოგარითმებას ქონდა ადგილი².

კვლევაში მონაწილე დამოკიდებული ცვლადები³ (სგმშპ5წ %) მოიცავენ წლიური მშპ-ს ზრდის 5 წლიანი პერიოდს, რომელიც გამოიანგარიშება მცოცავი

² რაც შეეხება კვლევის მიზნებისთვის რიგი ცვლადების გალოგარითმებას, ანუ მონოტონური ტრანსფორმაციის ერთერთ მიდგომას, როგორც მრავალი ემპირიული ნაშრომები მიუთითებენ აღნიშნული არ ზემოქმედებს რეგრესიის კოეფიციენტებზე და პირიქით მის დადებით მხარეებზე მიუთითებენ, კერძოდ მეთოდი ხელს უწყობს: ნორმალური განაწილების დაშვებების გაუმჯობესებას, მონაცემთა გაწრფივებას, ვარიაციის ჰომოგენურობას და რაც მთავარია განსხვავებული გაზომვითი ერთეულების ადვილ შედარებითობას.

³ საყრადღებოა, რომ კვლევაში მონაწილე ცვლადების გვერდით ფრჩხილებში მოქცეული დასახელებები წარმოადგენენ იმ ფაქტურ სახელწოდებებს, რომლითაც ისინი ფიგურირებენ ეკონომეტრიკული ანალიზის დროს.

საშუალოს მიხედვით და გვაქვს ორი ცვლადი თითოეული ჯგუფისთვის, როგორც რაციონალური რიცხვები.

დამოუკიდებელი ცვლადების უდიდესი მნიშვნელობა 19 ერთეული გამოხატული არის აბსოლუტური სიდიდით მილიონ ევროში და შემდგომ გადაყვანილი ნატურალურ ლოგარითმში, ინფლაციის გარდა რომელიც პროცენტული მაჩვენებელია. ამგვარად კვლევაში შემდეგი დამოუკიდებელი ცვლადები მიიღებენ მონაწილეობას:

1. **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (ლოგსახმომს)** - აღნიშნული ხარჯვითი კომპონენტი 701 ფუნქციონალური კოდით იდენტიფიცირდება და GFS სტანდარტების მიხედვით აერთიანებს: 1) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები; 2) საერთაშორისო ეკონომიკური დახმარება; 3) საერთო დანიშნულების მომსახურება; 4) ძირითადი კვლევები; 5) კვლევები და განვითარება საერთო დანიშნულების საჯარო მომსახურებაში; 6) სხვა საერთო დანიშნულების მომსახურება; 7) სახელმწიფო ვალის ტრანსაქცია; 8) ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის;
2. **თავდაცვა (ლოგთავდაცვა)** - მოცემული ცვლადი ხარჯვით ფუნქციონალურ ჭრილში 702 კოდით იდენტიფიცირდება და GFS სტანდარტების მიხედვით აერთიანებს: 1) შეიარაღებული თავდაცვა; 2) სამოქალაქო თავდაცვა; 3) საერთაშორისო სამხედრო დახმარება; 4) კვლევები და განვითარება თავდაცვაში; 5) სხვა არა კლასიფიცირებული თავდაცვითი ხარჯები;
3. **საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება (ლოგსაზწუ)** - აღნიშნული ცვლადი ხარჯვით 703 კომპონენტად წარმოგვიდგება ფუნქციონალურ ჭრილში და საერთაშორისო სტანდარტებით მოიცავს შემდგომ ხარჯვით კომპონენტებს: 1) პოლიციის სამსახური; 2) სახანძრო სამსახური; 3) სასამართლოები და პროკურატურა; 4) სასჯელაღსრულების

- დაწესებულებები; 5) კვლევა და განვითარება საზოგადოებრივი წესრიგსა და უშიშროებაში; 6) სხვა არა კლასიფიცირებული საქმიანობა;
- 4. ეკონომიკური საქმიანობა (ლოგეკსაქმიანობა)** - აღნიშნული კლასიფიკატორი 704 კოდის ქვეშ ერთიანდება და GFS სახელმძღვანელოს მიხედვით აერთიანებს: 1) საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომითი რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა; 2) სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა; 3) სათბობი და ენერგეტიკა; 4) სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა; 5) ტრანსპორტი; 6) კომუნიკაცია; 7) ეკონომიკის სხვა დარგები; 8) გამოყენებითი კვლევები ეკონომიკურ საქმიანობის სფეროში; 9) სხვა არა კლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში;
- 5. გარემოს დაცვა (ლოგარდაცვა)** - მოცემული კლასიფიკატორი GFS სახელმძღვანელოს მიხედვით 705 კოდით არის წარმოდგენილი და აერთიანებს შემდეგს: 1) ნარჩენების გადამამუშავება- მენეჯმენტი; 2) წყლის ნარჩენების გადამამუშავება- მენეჯმენტი; 3) ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლა; 4) ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა; 5) გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში; 6) სხვა არა კლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში;
- 6. საბინაო - კომუნალური მეურნეობა (ლოგსაბკომ)**- მოცემული ხარჯვითი ნაწილი 706 კლასიფიკატორის კოდით წარმოგვიდგება და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შემდგომ დანახარჯების ჯგუფს აერთიანებს; 1) საცხოვრებელი სახლების განვითარება; 2) სათემო საზოგადოების განვითარება; 3) წყალმომარაგება; 4) ქუჩის გარე განათება; 5) გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალური მეურნეობაში; 6) სხვა არა კლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალური მეურნეობაში;

7. **ჯანმრთელობის დაცვა (ლოგჯანდაცვა)** - აღნიშნული კლასიფიკატორი 707 კოდის ქვეშ ერთიანდება და GFS სტანდარტების მიხედვით აერთიანებს: 1) სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები; 2) ამბულატორიული მომსახურება; 3) საავადმყოფოების მომსახურება; 4) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება; 5) გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვაში; 6) სხვა არა კლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვაში;
8. **დასვენება, კულტურა, რელიგია (ლოგდკრ)** - მოცემული კლასიფიკატორი 708 კოდით წარმოგვიდგება GFS სტანდარტების სახელმძღვანელოში და თავისი მოცემულობით აერთიანებს შემდეგ პარამეტრებს: 1) მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში; 2) მომსახურება კულტურის სფეროში; 3) ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა; 4) რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა; 5) გამოყენებითი კვლევები დასვენება, კულტურა, რელიგიაში; 6) სხვა არა კლასიფიცირებული საქმიანობა დასვენება, კულტურა, რელიგიაში;
9. **განათლება (ლოგგანათლება)** - განათლება GFS სტანდარტების მიხედვით 709 კლასიფიკატორის კოდის ქვეშ ერთიანდება და შემდგომ ხარჯვით კომპონენტებს მოიცავს: 1) ბაგა ბაღის და დაწყებითი ზოგადი განათლება; 2) საშუალო ზოგადი განათლება; 3) პროფესიული განათლება; 4) უმაღლესი განათლება; 5) უმაღლესის შემდგომი განათლება; 6) განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება; 7) გამოყენებითი კვლევები განათლებაში; 8) სხვა არა კლასიფიცირებული საქმიანობა განათლებაში;
10. **სოციალური დაცვა (ლოგსოცდაცვა)** - აღნიშნული ცვლადი 710 ფუნქციონალური კოდით იდენტიფიცირდება და GFS სტანდარტების მიხედვით აერთიანებს: 1) ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა; 2) ხანდაზმულთა სოციალური დაცვა; 3) სიცოცხლის პირას ზღვარზე მყოფთა დაცვა; 4) ოჯახებისა და ბავშვების

- სოციალური დაცვა; 5) უმუშევრობა; 6) საცხოვრებლით უზრუნველყოფა; 7) სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას; 8) გამოყენებითი კვლევები სოციალურ დაცვაში; 9) სხვა არა კლასიფიცირებული საქმიანობა სოციალურ დაცვაში;
- 11. საოჯახო მეურნეობების დანახარჯი (ლოგშმ) -** მოცემული ცვლადი (ადრე ცნობილი როგორც პირადი დანახარჯი) წარმოადგენს ყველა საოჯახო მეურნეობების მიერ მოხმარებულ საქონლის და მომსახურების საბაზრო ღირებულებას, გრძელვადიან მოხმარების საქონლის ჩათვლით, როგორცაა: ავტომობილები, სარეცხი მანქანები, სახლის კომპიუტერები და სხვა.
- 12. მთლიანი კაპიტალის ფორმირება (ლოგმკფ) -** აღნიშნული ცვლადი (ადრე ცნობილი როგორც მთლიანი საშინაო ინვესტიცია) მოიცავს ეკონომიკაში ფიქსირებულ აქტივებზე განხორციელებულ დანახარჯებს, იგი ასევე მოიცავს სასაქონლო მატერიალურ ფასეულობების მთლიან ცვლილებებს.
- 13. ექსპორტი (ლოგექსპორტი) -** ქვეყნიდან განხორციელებული საქონლის და მომსახურების მთლიანი ექსპორტი.
- 14. იმპორტი (ლოგიმპორტი) -** ქვეყანაში განხორციელებული საქონლის და მომსახურების მთლიანი იმპორტი.
- 15. საგადასახადო შემოსავლები (ლოგსაგშემ) -** საგადასახადო შემოსავლები მოიცავენ ზოგადად ხელისუფლებისთვის განხორციელებულ სავალდებულო ტრანსფერებს საზოგადოებრივი მიზნებისთვის.
- 16. დასაქმებულთა რაოდენობა (ლოგდასაქმება) -** ქვეყანაში კვლევის პერიოდში არსებული უშუალოდ დასაქმებულ მთლიან ადამიანთა რაოდენობა.
- 17. წარმოება (ლოგწარმოება) -** მოცემული ცვლადი მოიცავს ინდუსტრიებს რომელსაც აერთიანებს საერთაშორისო ინდუსტრიული კლასიფიკატორების 15-37 განყოფილებები.
- 18. მთლიანი შიდა დანაზოგი (ლოგმშდ) -** აღნიშნული ცვლადი გამოთვლილია მთლიან შიდა პროდუქტს გამოკლებული მთლიანი შიდა დანახარჯი.

- 19. მთლიანი რეზერვები (ლოგრეზერვები)** - ცვლადი მოიცავს მონეტარული ოქროს, სპეციალურ საკრედიტო უფლებებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ არსებულ ამავე ორგანიზაციაში შესული წევრების რეზერვებს და უცხოურ სავალუტო რეზერვებს.
- 20. ინფლაცია (%)** - ინფლაცია გაზომილია სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, და წარმოადგენს წლიურ პროცენტულ ცვლილებას სამომხმარებლო კალათაში განთავსებული საქონლის და მომსახურებების მიხედვით.

3.4 კვლევის მთავარი კითხვები

კვლევა პასუხს სცემს კვლევის მთავარ კითხვებს, რომლებიც შემდეგ საკითხებად ფორმულირდება:

- რა გავლენა აქვს ევროპის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე, კვლევაში მონაწილე მთავარ მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს საშუალოვადიან პერიოდში?
- რა მსგავსება და განსხვავება იკვეთება კვლევის დროს იდენტიფიცირებულ შედარებით მაღალ და დაბალ შემოსავლიან ქვეყნების ჯგუფებს შორის?

3.5 კვლევის მთავარი ჰიპოთეზა

შესაბამისად, კვლევის მთავარი მიზანია კვლევის ცვლადებს შორის ოპტიმალური მიზეზობრივი კავშირის დადგენა და იმ შესაბამისი ჰიპოთეზების ტესტირება, რომელიც შეამოწმებს ცვლადების ერთობლივ მნიშვნელობებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ტესტი დაეყრდნობა ორ-კუდა ტესტირების მიდგომას ვინაიდან ჩვენს შემთხვევაში ყველანაირი ცვლილებითი გავლენა მნიშვნელოვანია, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი. შესაბამისად, კვლევის მთავარი ნულოვანი ჰიპოთეზები შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

H_{01} = კვლევაში მონაწილე შედარებით მაღალ შემოსავლიან ქვეყნების ჯგუფების მთავარ მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, ერთობლივად, არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე საშუალოვადიან პერიოდში!

და:

H_{02} = კვლევაში მონაწილე შედარებით დაბალ შემოსავლიან ქვეყნების ჯგუფების მთავარ მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, ერთობლივად, არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე საშუალოვადიან პერიოდში!

4. მიღებული შედეგების ანალიზი.

მოცემული თავი სამ ნაწილს მოიცავს და ფართოდ ეყრდნობა მოძიებული საჯარო ინფორმაციის, როგორც ფართო დეტალურ ანალიზს კვლევაში მონაწილე ინდივიდუალური ქვეყნების ჩაშლით, ასევე მონაწილე ქვეყნების მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების ეკონომეტრიკულ ანალიზს. ამგვარად, პირველი ნაწილი მიმოიხილავს კვლევაში მონაწილე ცვლადების, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ათივე კომპონენტებს მათივე ფუნქციონალური კოდების მიხედვით, და დეტალურად განიხილავს როგორც კვლევის დროს იდენტიფიცირებული ჯგუფების საერთო საშუალო მონაცემებს, ასევე მოცემულ ჯგუფებში გაერთიანებული ქვეყნების შედარებითობით ანალიზს. მეორე ნაწილი დაეთმობა ეკონომეტრიკული შედეგების ანალიზს და ოპტიმალური მოდელის შექმნას (საბიუჯეტო დანახარჯებით), და შეამოწმებს კვლევის მთავარ ჰიპოთეზებს. რაც შეეხება მესამე ნაწილს იგი წარმოგვიდგება როგორც ანალიტიკური შემჯამებელი და პასუხს გასცემს სადისერტაციო კვლევის მთავარ კითხვებს.

4.1 კვლევაში მონაწილე ქვეყნების ცვლადების დეტალური ანალიზი

აღსანიშნავია, რომ მოცემული ქვეთავი ძალზედ მნიშვნელოვან როლს იკავებს წარმოდგენილ კვლევაში, ვინაიდან იგი დეტალურად განიხილავს კვლევაში მონაწილე ოცდაცხრა ქვეყნის (ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ხორვატია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ფინეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, ნორვეგია, შვეიცარია), როგორც საბიუჯეტო დანახარჯების გადანაწილებას და პრიორიტიზირებას წარმოდგენილ ქვეყნებში მთლიან დანახარჯებთან, ასევე

კვლევაში მონაწილე სხვა მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაშიც.

დამატებით, უკეთ ურთიერთ შედარებითობიდან გამომდინარე კვლევა ცალკე ქვეთავებად განიხილავს, კვლევის დროს იდენტიფიცირებულ შედარებით მაღალ შემოსავლიან და შედარებით დაბალ შემოსავლიან სეგმენტებს შემავალი ქვეყნების დონეზეც, და მოახდენს მათ დეტალურ კონტექსტუალურ ანალიზს.

4.1.1 შედარებით მაღალ შემოსავლიანი ევროპული ქვეყნების დეტალური ანალიზი

როგორც წინამდებარე თავში აღინიშნა, კვლევაში მონაწილე ქვეყნების სტრატეგიცირება მოხდა ორ ჯგუფად, მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე (ევროში) მიმართებით, სადაც შერჩეული ქვეყნების დაყოფა მოხდა შედარებით დაბალ და მაღალ შემოსავლიან ქვეყნებად, კვლევის ბოლო ხუთი წლის მონაცემების გეომეტრიული საშუალოზე დაყრდნობით, ხოლო შემდგომ მედიანის ნიშნულის გამოყვანით. ამგვარად, კვლევის პირველ ჯგუფში შემდეგი თოთხმეტი ქვეყანა გაერთიანდა: ავსტრია, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, ნორვეგია, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია და ნიდერლანდები.

ამგვარად, ვიდრე თითოეული ქვეყნის დეტალურ ანალიზზე გადავიდოდეთ, თავდაპირველად განვიხილოთ მთლიანი სურათი, რაც ზოგადად მოცემულ კვლევითი ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი. აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ვინაიდან კვლევის ინოვაციურობა სწორედ სახელმწიფო დანახარჯების ინდივიდუალური ეფექტის განსაზღვრა წარმოადგენს, სწორედ მოცემული ასიგნებების ცალკე დეტალური ანალიზიც იქნება წარმოდგენილი ქვეყნების დონეზე, როგორც მთლიან დანახარჯებთან ასევე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით.

ცხრილი N1

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	14.9%	3.3%	3.8%	8.9%	1.6%
2003	14.3%	3.2%	3.8%	8.8%	1.6%
2004	14.0%	3.3%	3.8%	8.9%	1.6%
2005	14.0%	3.2%	3.8%	9.0%	1.9%
2006	13.8%	3.2%	3.8%	9.0%	1.7%
2007	14.0%	3.1%	3.8%	8.7%	1.8%
2008	14.0%	3.1%	3.7%	9.6%	1.7%
2009	13.1%	3.0%	3.7%	9.5%	1.8%
2010	13.2%	3.0%	3.7%	10.0%	1.7%
2011	13.9%	3.0%	3.7%	9.0%	1.7%
2012	13.9%	2.9%	3.6%	9.4%	1.7%
2013	14.0%	2.9%	3.6%	8.5%	1.7%
2014	13.6%	2.8%	3.6%	8.6%	1.7%
2015	13.0%	2.8%	3.6%	8.7%	1.7%
2016	12.7%	2.9%	3.6%	8.6%	1.6%
2017	12.6%	2.9%	3.6%	8.7%	1.7%
საშუალო	13.7%	3.0%	3.7%	9.0%	1.7%

ცხრილი N2

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.7%	13.6%	2.3%	11.1%	38.8%
2003	1.9%	13.8%	2.3%	11.1%	39.2%
2004	1.9%	14.0%	2.3%	10.9%	39.3%
2005	1.9%	14.2%	2.3%	10.9%	38.9%
2006	1.9%	14.5%	2.3%	10.9%	38.8%
2007	1.9%	14.6%	2.4%	10.9%	38.7%
2008	1.9%	14.6%	2.4%	10.7%	38.3%
2009	2.0%	14.7%	2.4%	10.5%	39.3%
2010	1.7%	14.6%	2.3%	10.5%	39.2%
2011	1.5%	14.7%	2.3%	10.5%	39.6%
2012	1.4%	14.7%	2.2%	10.3%	40.0%
2013	1.3%	14.9%	2.3%	10.3%	40.6%
2014	1.3%	15.2%	2.3%	10.3%	40.7%
2015	1.3%	15.3%	2.2%	10.4%	41.1%
2016	1.2%	15.4%	2.2%	10.3%	41.5%
2017	1.3%	15.4%	2.2%	10.3%	41.5%
საშუალო	1.6%	14.6%	2.3%	10.6%	39.7%

წარმოდგენილ ცხრილი 1-2 დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შედარებით მაღალ შემოსავლიანი ევროპული სახელმწიფოთა ასიგნებების უდიდესი წილი სოციალურ დაცვაზე მოდის მზარდი ტენდენციით. მაგალითისთვის, აღნიშნული ნიშნული 2002 წელთან შედარებით დაახლოებით სამი პროცენტით არის გაზრდილი და საშუალოდ კვლევის სრული პერიოდის გათვალისწინებით 39.7%-ს შეადგენს. სიდიდით მეორე ნიშნულს ჯამრთელობის დაცვა წარმოადგენს, რომელიც სოციალური დაცვის დანახარჯების მსგავსად, მზარდი ტენდენციით გამოირჩევა და საშუალოდ 14.6%-იანი ნიშნულით წარმოგვიდგება. მესამე ადგილს საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები იკავებს, რომელიც მიუხედავად მცირედი კლების ტენდენციისა, განსაკუთრებით 2013 წლიდან, საშუალოდ საკმაოდ მაღალ 13.7%-ს შეადგენს. მეოთხე და მეხუთე ადგილებზე განათლებაზე და ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები წარმოგვიდგებიან, წლების მიხედვით სტაბილურად გამოყოფილი, საშუალოდ 10.6% და 9%-იანი ნიშნულებით. წლების მიხედვით სტაბილური საშუალო 3.7%-იანი დაფინანსებით არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროებაზე გაწეული დანახარჯები. რაც შეეხება თავდაცვაზე გაწეულ დანახარჯებს იგი საშუალოდ 3%-იანი ნიშნულში მერყეობს, მცირედი კლების ტენდენციით კვლევის თექვსმეტ წლიანი პერსპექტივის გათვალისწინებით. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ გაწეული ბოლო სამ დანახარჯობრივ კატეგორიებს დასვენება-კულტურა-რელიგია, გარემოს დაცვა და საბინაო - კომუნალური მეურნეობა, ისინი სამ პროცენტთან ნიშნულში მდებარეობენ 2.3%-იანი, 1.7%-იანი და 1.6%-იანი წილებით, მსგავსი თანმიმდევრობით.

დეტალური ანალიზისთვის ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა წილობრივად არიან წარმოდგენილები აღნიშნული ასიგნებები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, როგორც ინდივიდუალურად ასევე მთლიან ასპექტში. ამგვარად,

ცხრილი N3


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	6.8%	1.5%	1.7%	4.0%	0.7%
2003	6.6%	1.5%	1.7%	4.0%	0.8%
2004	6.4%	1.5%	1.7%	4.1%	0.7%
2005	6.4%	1.4%	1.7%	4.1%	0.9%
2006	6.2%	1.4%	1.7%	4.1%	0.8%
2007	6.2%	1.4%	1.7%	3.9%	0.8%
2008	6.4%	1.4%	1.7%	4.4%	0.8%
2009	6.5%	1.5%	1.8%	4.7%	0.9%
2010	6.6%	1.5%	1.8%	5.0%	0.9%
2011	6.7%	1.4%	1.8%	4.4%	0.8%
2012	6.7%	1.4%	1.7%	4.5%	0.8%
2013	6.8%	1.4%	1.7%	4.1%	0.8%
2014	6.5%	1.3%	1.7%	4.1%	0.8%
2015	6.1%	1.3%	1.7%	4.1%	0.8%
2016	5.9%	1.3%	1.6%	4.0%	0.8%
2017	5.8%	1.3%	1.6%	4.0%	0.8%
საშუალო	6.4%	1.4%	1.7%	4.2%	0.8%

ცხრილი N4

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	0.8%	6.2%	1.0%	5.0%	17.6%
2003	0.9%	6.3%	1.1%	5.1%	18.0%
2004	0.8%	6.4%	1.0%	5.0%	17.9%
2005	0.8%	6.5%	1.1%	5.0%	17.8%
2006	0.9%	6.5%	1.1%	4.9%	17.4%
2007	0.8%	6.5%	1.1%	4.9%	17.2%
2008	0.9%	6.7%	1.1%	4.9%	17.6%
2009	1.0%	7.3%	1.2%	5.2%	19.5%
2010	0.8%	7.2%	1.1%	5.2%	19.4%
2011	0.7%	7.1%	1.1%	5.1%	19.1%
2012	0.7%	7.1%	1.1%	5.0%	19.4%
2013	0.6%	7.2%	1.1%	5.0%	19.6%
2014	0.6%	7.2%	1.1%	4.9%	19.4%
2015	0.6%	7.2%	1.0%	4.9%	19.2%
2016	0.6%	7.1%	1.0%	4.8%	19.2%
2017	0.6%	7.1%	1.0%	4.7%	19.0%
საშუალო	0.8%	6.8%	1.1%	5.0%	18.6%

თუ ცხრილ 3-4-ს გავანალიზებთ, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დანახარჯებში დიდი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, სოციალურ დაცვას უკავია საშუალოდ მზარდი 18.6%-ი. მეორე და მესამე ადგილზე ჯანმრთელობის დაცვის და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების კატეგორიები არიან წარმოდგენილი 6.8%-იანი და 6.4%-იანი ნიშნულებით. განათლების და ეკონომიკური საქმიანობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 5%-იანი და 4.2%-იანი ნიშნულებით წარმოგვიდგება. ხოლო დანარჩენი ხუთი სახელმწიფო ასიგნებების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2%-ზე ნაკლებია.

გრაფიკი N1



ამგვარად, გრაფიკულ გამოსახულება 1-ის დეტალური განხილვით ვხედავთ, რომ მთლიანი სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საშუალოდ 44%-46%-იან ნიშნულებში მერყეობს, თუ არ ჩავთვლით ტურბულენტურ 2009 წელს, როდესაც წილობრივი მაჩვენებელი თითქმის 50%-მდე ადის, თუმცა მისი შემდგომი პერიოდი კლებით გამოირჩევა, რაც ეკონომიკის მიერ ფინანსური კრიზისით გამოწვეული შოკების გამკლავების და თანდათანობითი აღდგენის მანიშნებელია.

რაც შეეხება კვლევაში მონაწილე დანარჩენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს ისინი ცხრილი 5-6-ით არიან წარმოდგენილი და შემდეგნაირად გადანაწილდებიან.

ცხრილი N5

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	55.6%	21.0%	33.4%	30.9%	43.2%
2003	55.6%	20.9%	32.6%	30.5%	43.2%
2004	55.4%	21.0%	33.7%	31.4%	43.2%
2005	55.3%	21.4%	35.1%	33.3%	43.7%
2006	54.8%	22.2%	37.1%	35.4%	44.1%
2007	54.1%	23.0%	37.7%	35.7%	44.2%
2008	54.0%	22.6%	38.8%	36.9%	44.3%
2009	54.9%	19.9%	34.7%	32.7%	44.0%
2010	54.6%	20.5%	38.3%	36.3%	43.9%
2011	54.3%	21.1%	40.9%	38.8%	44.4%
2012	54.5%	20.0%	41.8%	38.8%	45.0%
2013	54.3%	19.7%	42.0%	38.6%	45.6%
2014	53.9%	20.1%	41.7%	38.2%	45.3%
2015	53.7%	20.4%	42.4%	38.6%	44.8%
2016	53.5%	20.7%	42.4%	38.7%	44.8%
2017	53.3%	21.1%	44.0%	40.2%	45.2%
საშუალო	54.5%	21.0%	38.5%	35.9%	44.3%

ცხრილი N6

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანაზოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	45.7%	24.2%	23.4%	5.2%	2.2%
2003	45.6%	23.8%	23.0%	4.6%	2.0%
2004	45.7%	23.6%	23.2%	4.2%	1.6%
2005	45.9%	23.7%	23.2%	4.0%	1.8%
2006	46.4%	23.9%	24.0%	4.1%	2.0%
2007	47.0%	23.7%	24.9%	4.2%	1.9%
2008	47.1%	23.7%	24.4%	4.0%	3.3%
2009	46.1%	22.2%	21.8%	5.9%	0.6%
2010	45.8%	22.5%	22.4%	7.7%	1.6%
2011	46.0%	22.6%	23.2%	7.8%	2.5%
2012	45.9%	22.4%	22.9%	9.8%	2.1%
2013	45.6%	22.2%	23.1%	8.7%	1.4%
2014	45.8%	21.9%	23.6%	8.7%	0.7%
2015	46.1%	22.0%	24.2%	9.8%	0.3%
2016	46.5%	22.0%	24.5%	10.3%	0.6%
2017	47.0%	22.2%	24.9%	11.0%	1.5%
საშუალო	46.1%	22.9%	23.6%	6.9%	1.6%

შესაბამისად, ყველაზე დიდი წილი მთლიან შიდა პროდუქტში საოჯახო მეურნეობების დანახარჯებს უკავია 54.5%-ით. თუმცა წლების მიხედვით აღნიშნული ცვლადი კლების ტენდენციით გამოირჩევა. მომდევნო ადგილს საგადასახადო შემოსავლები იკავებს 44.3%-ით და თუ თვალსაჩინოებისთვის მოცემულ ცვლადს მთლიან სახელმწიფო დანახარჯებს შევადარებთ, საშუალოდ შედარებით მაღალ შემოსავლიანი ქვეყნების სეგმენტი 2.5%-იან საბიუჯეტო დეფიციტით გამოირჩევა. მეტად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ჯგუფის ექსპორტის მაჩვენებელი იმპორტის მაჩვენებელზე პოზიტიურ ბალანსს აფიქსირებს და დაახლოებით საშუალოდ 2.6%-იანი მეტობით გამოირჩევა. შედარებით, სტაბილური მაჩვენებლებით გამოირჩევიან მთლიანი შიდა დანაზოგის, წარმოების და მთლიანი კაპიტალის ფორმირების პარამეტრები, რომლებსაც მთლიან შიდა პროდუქტში 23.6%, 22.9% და 21% უკავიათ მსგავსი თანმიმდევრობით. ბოლო მაკროეკონომიკური მონაცემი, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტთან მიმართებით განიხილება, არის მთლიანი რეზერვები და მიუხედავად მისი არც თუ ისე შთამბეჭდავი 6.9%-იანი ნიშნულის, დეტალურად თუ ჩავუღრმავდებით მოცემული ცვლადი წლების მიხედვით მუდმივად ზრდით გამოირჩევა და მაგალითისთვის 2017 წელს 11%-იც კი შეადგინა, ხოლო თუ 2002 წლის მონაცემს შევადარებთ თითქმის ხუთი პროცენტით არის გაზრდილი. აქვე აღნიშვნის ღირსია დასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც ცხრილ 6-ში წარმოდგენილია როგორც წილი მთლიან პოპულაციაში და ცოტათი მზარდი მიმდინარეობით საშუალოდ მთლიანი პოპულაციის 46.1%-ს მოიცავს. რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს იგი საკმაოდ დაბალ ნიშნულს გვიჩვენებს და წლების გათვალისწინებით საშუალოდ 1.6%-ს შეადგენს.

4.1.1.1 ავსტრია

2009 წლის შემდეგ ავსტრიამ ძალიან ფრთხილი და ამბიციური თანამედროვე საბიუჯეტო რეფორმების გზა აირჩია, რომელიც რამდენიმე მიზნის მიღწევას ითვალისწინებდა, კერძოდ: ბიუჯეტის მოქნილობის ზრდას,

გამჭვირვალებას და შედეგზე ორიენტირებულობას. 2009 წლის პირველმა ფაზამ შემოიტანა შუალედური დანახარჯების ჩარჩო, რომელიც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავდა დანახარჯების მაღლითა ჭერს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, მცოცავი პირობით. 2013 წელს წარმოდგენილი იქნა საბიუჯეტო სტრუქტურის ცვლილებების მეორე ფაზა, რომელიც გაცილებით მეტ მოქნილობას აძლევდა სამინისტროებს განსაკუთრებით ხელმეორედ არჩევის დროს. დამატებით, შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის ცნება იქნა შემოტანილი, როგორც ავსტრიის ფედერალური საბიუჯეტო რეფორმის განუყოფელ ნაწილად, და გენდერული ბიუჯეტიც იქნა დამტკიცებული როგორც მთლიან მიდგომის გამორჩეული ელემენტი. უფრო მეტიც, ფინანსური აღრიცხვის და ბიუჯეტირების ორმაგი სტანდარტი იქნა იმპლემენტირებული, რომელიც ორივე ნაღდ და დარიცხვის მეთოდს ეყრდნობა. ასევე საპარლამენტო საბიუჯეტო ოფისი თამაშობს განსაკუთრებულ როლს, რათა დაეხმაროს პარლამენტის წევრებს იყვნენ აქტიურად ჩართულები ბიუჯეტის შესრულების და ზოგადად საბიუჯეტო ინფორმაციის მიღებაში (OECD, 2019).

ამგვარად, ავსტრიის მთავარი მაკროეკონომიკური პარამეტრების კერძოდ კი ავსტრიის მთავრობის დანახარჯების პრიორიტეტულობის უკეთ გაცნობისთვის, ცხრილი 7-8 უკეთ მოგვცემს საშუალებას. აქვე მნიშვნელოვანია, რომ ანალიზის დროს ინდივიდუალური ქვეყნის გადაწყვეტილებების შედარებაც მოხდება მთლიანი ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებთან.

შესაბამისად, როგორც წარმოდგენილი ცხრილები გვიჩვენებენ ავსტრიის საბიუჯეტო ასიგნებების უდიდესი ნაწილი 40.4% და 15% მიემართება სოციალური დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე, რაც მთლიანი ჯგუფის მაჩვენებლებთან ახლოს მიახლოებული ნიშნულებია.

ცხრილი N7

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	16.0%	1.5%	2.8%	9.7%	1.0%
2003	15.2%	1.6%	2.8%	10.1%	1.1%
2004	14.1%	1.5%	2.7%	15.9%	0.9%
2005	15.2%	1.5%	2.7%	12.7%	1.0%
2006	15.4%	1.4%	2.7%	12.7%	1.0%
2007	15.4%	1.5%	2.6%	12.0%	0.9%
2008	14.5%	1.8%	2.7%	12.7%	0.9%
2009	14.4%	1.3%	2.6%	14.2%	1.0%
2010	14.5%	1.2%	2.6%	12.3%	1.1%
2011	14.5%	1.2%	2.6%	12.1%	1.0%
2012	14.2%	1.2%	2.6%	12.3%	0.9%
2013	14.0%	1.2%	2.6%	12.3%	0.9%
2014	13.0%	1.1%	2.5%	14.1%	0.9%
2015	13.4%	1.1%	2.6%	12.0%	0.8%
2016	13.0%	1.2%	2.7%	11.2%	0.8%
2017	12.4%	1.2%	2.8%	11.6%	0.7%
საშუალო	14.3%	1.4%	2.7%	12.4%	0.9%

ცხრილი N8

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.0%	14.3%	2.7%	10.1%	40.9%
2003	1.0%	14.4%	2.6%	10.2%	40.9%
2004	0.8%	14.0%	2.6%	9.1%	38.3%
2005	0.8%	14.5%	2.6%	9.4%	39.6%
2006	0.7%	14.5%	2.7%	9.5%	39.4%
2007	0.8%	14.9%	2.9%	9.5%	39.4%
2008	0.8%	15.1%	2.7%	9.7%	39.3%
2009	0.8%	14.5%	2.6%	9.4%	39.2%
2010	0.7%	14.9%	2.4%	9.7%	40.5%
2011	0.7%	15.0%	2.5%	9.8%	40.7%
2012	0.7%	15.0%	2.4%	9.8%	40.8%
2013	0.7%	15.1%	2.4%	9.7%	41.2%
2014	0.7%	15.1%	2.3%	9.4%	40.9%
2015	0.7%	16.0%	2.4%	9.6%	41.4%
2016	0.7%	16.3%	2.4%	9.8%	42.0%
2017	0.6%	16.6%	2.4%	9.9%	41.8%
საშუალო	0.8%	15.0%	2.5%	9.7%	40.4%

სიდიდით მესამე საბიუჯეტო ალოკაცია მიემართება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 14.3%, რაც ოდნავ მეტი მაჩვენებელია ჯგუფის შედეგზე. ასევე საყურადღებოა, რომ ავსტრიის მთავრობა ეკონომიკურ საქმიანობაზე გაცილებით მეტს ხარჯავს ვიდრე ჯგუფის საშუალო 12.4%-ს, ხოლო შედარებით ნაკლები სახსრები მიემართება განათლებაზე 9.7%. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის საშუალოსთან შედარებით თავდაცვაზე გაწეული საბიუჯეტო დანახარჯების თითქმის ნახევარი 1.4% მიემართება, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 0.8% და გარემოს დაცვაზე 0.9%. რაც შეეხება დანარჩენ ორ ცვლადს, მათი განაწილება თითქმის იდენტურია ჯგუფის საშუალოსი, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება 2.7% და დასვენება-კულტურა-რელიგია 2.5% მაჩვენებლებით.

ცხრილი N9

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	8.2%	0.8%	1.4%	4.9%	0.5%
2003	7.8%	0.8%	1.4%	5.2%	0.5%
2004	7.6%	0.8%	1.4%	8.6%	0.5%
2005	7.8%	0.8%	1.4%	6.5%	0.5%
2006	7.7%	0.7%	1.4%	6.4%	0.5%
2007	7.6%	0.8%	1.3%	5.9%	0.5%
2008	7.2%	0.9%	1.3%	6.3%	0.5%
2009	7.8%	0.7%	1.4%	7.7%	0.5%
2010	7.7%	0.6%	1.4%	6.5%	0.6%
2011	7.4%	0.6%	1.3%	6.1%	0.5%
2012	7.3%	0.6%	1.3%	6.3%	0.5%
2013	7.2%	0.6%	1.3%	6.3%	0.4%
2014	6.8%	0.6%	1.3%	7.4%	0.5%
2015	6.8%	0.6%	1.3%	6.1%	0.4%
2016	6.6%	0.6%	1.3%	5.6%	0.4%
2017	6.1%	0.6%	1.4%	5.7%	0.4%
საშუალო	7.3%	0.7%	1.4%	6.4%	0.5%


ცხრილი N10

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	0.5%	7.3%	1.4%	5.2%	20.9%
2003	0.5%	7.4%	1.4%	5.3%	21.0%
2004	0.4%	7.5%	1.4%	4.9%	20.6%
2005	0.4%	7.4%	1.3%	4.8%	20.2%
2006	0.4%	7.3%	1.3%	4.8%	19.9%
2007	0.4%	7.4%	1.4%	4.7%	19.4%
2008	0.4%	7.5%	1.3%	4.8%	19.6%
2009	0.4%	7.8%	1.4%	5.1%	21.2%
2010	0.4%	7.9%	1.3%	5.1%	21.4%
2011	0.4%	7.7%	1.3%	5.0%	20.7%
2012	0.4%	7.7%	1.3%	5.0%	20.9%
2013	0.3%	7.8%	1.3%	5.0%	21.3%
2014	0.3%	7.9%	1.2%	4.9%	21.5%
2015	0.4%	8.2%	1.2%	4.9%	21.2%
2016	0.4%	8.2%	1.2%	4.9%	21.1%
2017	0.3%	8.2%	1.2%	4.8%	20.5%
საშუალო	0.4%	7.7%	1.3%	5.0%	20.7%

მსგავსად, ცხრილი 9-10 ანალიზი გვიჩვენებს რომ სოციალური დაცვა და ჯანმრთელობის დაცვა მთლიან შიდა პროდუქტში სხვა დანახარჯებთან მიმართებით ლიდერ პოზიციას იკავებენ 20.7% და 7.7%-ია, რაც ჯგუფის საშუალოზე 2.1%-ით და 0.9%-ით მეტია. ასვე ჯგუფის საშუალოზე მეტი მაჩვენებლები უფიქსირდებათ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას და ეკონომიკურ საქმიანობას 7.3% და 6.4%. რაც შეეხება განათლების ნიშნულს იგი მთლიანი სეგმენტის ნიშნულის იდენტურია და 5%-ია. დანარჩენი ხუთი ცვლადის მაჩვენებლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 2%-იანი ნიშნული ქვემოთ წარმოგვიდგებიან.

შეჯამებისთვის, თუ გრაფიკულ გამოსახულება 2-ს დავაკვირდებით, ავსტრიის სახელმწიფო გაცილებით მეტს ხარჯავს საშუალოდ 51.3%-ს, ვიდრე მთლიანდ ჯგუფის საშუალო მაჩვენებელია 46.8%-ი.

გრაფიკი N2



რაც შეეხება კვლევაში მონაწილე დანარჩენ ათ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, თუ ცხრილებს 11-12 გავაანალიზებთ, დავინახავთ რომ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საოჯახო მეურნეობების დანახარჯს ლომის წილი უკავია 51.2%-ით, თუმცა აღნიშნული 2.3%-ით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო ნიშნულს.

ცხრილი N11

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	51.7%	23.6%	45.3%	41.6%	49.7%
2003	52.3%	24.4%	44.6%	41.8%	49.5%
2004	52.1%	24.1%	46.9%	43.9%	48.9%
2005	52.0%	23.8%	48.6%	45.4%	48.6%
2006	51.5%	23.6%	50.8%	47.2%	47.8%
2007	50.2%	24.6%	52.6%	48.2%	47.9%
2008	50.0%	24.5%	53.2%	48.8%	48.4%
2009	51.5%	22.8%	45.2%	41.9%	48.8%
2010	51.5%	22.6%	51.3%	47.8%	48.4%
2011	51.5%	24.1%	53.9%	51.2%	48.3%
2012	51.5%	24.0%	54.0%	51.2%	49.0%
2013	51.6%	23.7%	53.4%	50.6%	49.7%
2014	51.3%	23.5%	53.4%	50.1%	49.7%
2015	50.5%	23.8%	53.1%	49.3%	50.1%
2016	50.2%	24.3%	52.3%	48.7%	48.7%
2017	49.9%	25.1%	53.7%	50.6%	48.4%
საშუალო	51.2%	23.9%	50.8%	47.4%	48.9%

ცხრილი N12

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანაზოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	46.9%	27.4%	27.6%	6.0%	1.7%
2003	46.9%	27.5%	26.9%	4.8%	1.3%
2004	47.0%	27.4%	27.2%	4.0%	2.0%
2005	47.2%	27.1%	26.8%	3.8%	2.1%
2006	47.7%	27.3%	27.5%	3.8%	1.7%
2007	48.4%	27.6%	29.2%	4.6%	2.2%
2008	49.2%	27.0%	28.9%	3.9%	3.2%
2009	48.8%	25.8%	25.8%	4.4%	0.4%
2010	49.1%	25.5%	26.0%	5.7%	1.7%
2011	49.7%	25.4%	26.7%	5.7%	3.6%
2012	50.0%	25.6%	26.7%	6.6%	2.6%
2013	49.9%	25.5%	26.4%	5.4%	2.1%
2014	50.1%	25.4%	26.8%	5.8%	1.5%
2015	49.9%	25.2%	27.6%	5.9%	0.8%
2016	49.9%	25.2%	28.0%	5.9%	1.0%
2017	50.3%	25.3%	28.5%	5.1%	2.2%
საშუალო	48.8%	26.3%	27.3%	5.1%	1.9%

შემდეგი თვალსაჩინო მაჩვენებელია ექსპორტი 50.8%-ით, რომელიც 3.4%-ით აღემატება იმპორტის მაჩვენებელს და ჯგუფის საშუალო ნიშნულზე 2.3%-ით მეტია. შემდეგი მნიშვნელოვანია ნიშნულია საგადასახადო შემოსავლები საშუალოდ 48.9%-იან ნიშნულით. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კომპონენტი 2.4%-ით ჩამორჩება მთლიან სახელმწიფო დანახარჯებს და მოცემული დეფიციტიც თითქმის მიახლოებულია მთლიანი ჯგუფის მაჩვენებელ 2.5%-თან. ჯგუფის საშუალოსთან მიმართებით, გაცილებით მაღალი მაჩვენებლები უფიქსირდებათ, მთლიანი შიდა დანაზოგის, წარმოების და მთლიანი კაპიტალის ფორმირების კომპონენტებს 27.3%, 26.3% და 23.9%, მსგავსი თანმიმდევრობით. რაც შეეხება მთლიან რეზერვების საშუალო 5.1%-იან მაჩვენებელს, იგი 1.8%-ით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო ნიშნულს.

შემდეგი მაჩვენებელი დასაქმებულთა რაოდენობა და მისი წილი მთლიან პოპულაციაში 48.8%-ით, მეტნაკლებად მზარდი ტენდენციით

გამორჩევა როგორც წლების მიხედვით ასევე ჯგუფის მთლიანი საშუალოსთან მიმართებით 2.7%-ით. ხოლო რაც შეეხება ბოლო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლის ინფლაციის საშუალო 1.9%-იან მაჩვენებელს, იგი მხოლოდ 0.3%-ით აღემატება მთლიან ჯგუფის საშუალო ნიშნულს.

4.1.1.2 ბელგია

ბელგიის ფედერალური სტრუქტურული მთავრობა ბიუჯეტის განკარგვას ანაწილებს ცენტრალური/ფედერალური მთავრობების, ავტონომიური რეგიონების და სათემო საზოგადოებებს შორის. რაც, ხშირად რთული საბიუჯეტო შეთანხმებების გამომწვევი იყო განსაკუთრებით სხვადასხვა სამთავრობო შტოებს შორის. აღნიშნული გამოწვევის გასამკლავებლად 2013 წელს ბელგიის მთავრობამ მიიღო თანამშრომლობითი შეთანხმება, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდუალურ საბიუჯეტო მიზნებს ფინანსთა უმაღლესი კონსულის მეთვალყურეობის და მონიტორინგის ქვეშ. გენდერული ბიუჯეტის კანონი, რომელიც მოქმედებს 2007 წლის 12 იანვრიდან, ავალდებულებს გენდერული თვალთახედვის ინტეგრაციას და ჩართულობას, ბიუჯეტის მთლიანი პროცესის მიმდინარეობებისას. (OECD, 2019).

მსგავსად, ბელგიის მთავრობის დანახარჯების დეტალური ანალიზისთვის აუცილებელია ცხრილი 13-14 ჩაკითხვა. ამგვარად, დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ დომინანტურ მდგომარეობაში კვლავ სოციალური დაცვა გვევლინება 35.2%-ით, რომელიც გაცილებით ჩამორჩება ჯგუფის საერთო საშუალო მაჩვენებელს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, შემდეგ პოზიციაზე საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გაწეული 17%-იანი ასიგნება გვევლინება, რომელიც კლების ტენდენციის მიუხედავად, 3.3%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს. მიუხედავად ცოტათი მზარდი ტენდენციისა ჯანმრთელობის დაცვა 13.9%-ით მესამე ადგილზე წარმოგვიდგება, თუმცა მცირედით მაინც ჩამორჩება ჯგუფურ საშუალო ნიშ-

ცხრილი N13

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	21.3%	2.4%	3.4%	9.4%	1.7%
2003	20.2%	2.3%	3.3%	9.0%	1.6%
2004	19.5%	2.2%	3.3%	9.4%	1.7%
2005	18.0%	2.1%	3.2%	14.8%	1.5%
2006	17.7%	2.1%	3.6%	11.4%	1.5%
2007	18.1%	2.1%	3.5%	11.5%	1.4%
2008	17.3%	2.1%	3.5%	12.0%	1.6%
2009	16.7%	1.8%	3.5%	12.3%	1.7%
2010	16.1%	1.8%	3.4%	12.6%	1.9%
2011	15.9%	1.7%	3.4%	13.6%	2.2%
2012	15.6%	1.7%	3.3%	13.9%	2.1%
2013	15.6%	1.7%	3.3%	12.6%	2.1%
2014	15.4%	1.6%	3.3%	12.7%	1.8%
2015	15.1%	1.6%	3.2%	12.3%	1.6%
2016	15.1%	1.5%	3.2%	12.1%	1.7%
2017	13.9%	1.5%	3.3%	12.1%	1.8%
საშუალო	17.0%	1.9%	3.4%	12.0%	1.7%

ცხრილი N14

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	0.9%	12.5%	2.5%	11.6%	34.3%
2003	0.8%	11.9%	2.4%	11.0%	32.6%
2004	0.9%	13.9%	2.6%	11.4%	35.1%
2005	0.8%	13.2%	2.5%	11.0%	32.9%
2006	0.9%	13.7%	2.7%	11.6%	35.1%
2007	0.9%	13.9%	2.5%	11.4%	34.7%
2008	0.8%	14.2%	2.5%	11.3%	34.6%
2009	0.8%	14.3%	2.5%	11.1%	35.3%
2010	0.8%	14.4%	2.4%	11.3%	35.2%
2011	0.7%	14.0%	2.4%	11.3%	34.8%
2012	0.7%	14.2%	2.5%	11.2%	34.9%
2013	0.7%	14.3%	2.3%	11.4%	35.9%
2014	0.7%	14.6%	2.3%	11.5%	36.0%
2015	0.6%	14.8%	2.3%	11.9%	36.6%
2016	0.7%	14.5%	2.4%	11.8%	37.0%
2017	0.6%	14.7%	2.4%	12.1%	37.5%
საშუალო	0.8%	13.9%	2.4%	11.4%	35.2%

ნულს. ეკონომიკური საქმიანობა და განათლება ერთობლივად მნიშვნელოვანია ბელგიის მთავრობისთვის და მათზე დაახლოებით მთლიანი დანახარჯების 12-12%-ს მიმართავს, რაც გაცილებით აღემატება ჯგუფის საერთო მაჩვენებელს. საზოგადოებრივ წესრიგსა და უშიშროებაზე და დასვენება-კულტურა-რელიგიაზე 3.4%-ი და 2,4% მიემართება, რაც თითქმის ჯგუფის მსგავსია. ხოლო თავდაცვა და საბინაო - კომუნალური მეურნეობა 1.9%-ით და 0.8%-ით თითქმის განახევრებულია, ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებთან.

რაც შეეხება, უკვე განხილული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, იხილეთ ცხრილი 15-16, სოციალური დაცვის სიდიდე მთლიან შიდა პროდუქტში თითქმის იდენტურია საკვლევი ჯგუფის ნიშნულთან. რაც შეეხება სიდიდით მეორე და მესამე პარამეტრებს საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება საშუალოდ 8.8%-ით და ჯანმრთელობის დაცვა წარმოგვიდგება 7.3%-ით,

ცხრილი N15

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	10.5%	1.2%	1.7%	4.7%	0.8%
2003	10.3%	1.1%	1.7%	5.2%	0.8%
2004	9.5%	1.1%	1.6%	4.6%	0.8%
2005	9.3%	1.1%	1.7%	7.6%	0.8%
2006	8.6%	1.0%	1.7%	5.5%	0.7%
2007	8.7%	1.0%	1.7%	5.6%	0.7%
2008	8.7%	1.1%	1.8%	6.1%	0.8%
2009	9.1%	1.0%	1.9%	6.7%	0.9%
2010	8.6%	1.0%	1.8%	6.7%	1.0%
2011	8.7%	0.9%	1.8%	7.4%	1.2%
2012	8.7%	0.9%	1.9%	7.7%	1.2%
2013	8.7%	0.9%	1.9%	7.0%	1.2%
2014	8.5%	0.9%	1.8%	7.0%	1.0%
2015	8.1%	0.8%	1.7%	6.6%	0.9%
2016	8.0%	0.8%	1.7%	6.4%	0.9%
2017	7.2%	0.8%	1.7%	6.3%	0.9%
საშუალო	8.8%	1.0%	1.8%	6.3%	0.9%

ცხრილი N16


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	0.4%	6.2%	1.2%	5.8%	17.0%
2003	0.4%	6.7%	1.3%	5.9%	17.3%
2004	0.5%	6.8%	1.3%	5.6%	17.2%
2005	0.4%	6.8%	1.3%	5.7%	17.0%
2006	0.4%	6.6%	1.3%	5.6%	17.0%
2007	0.4%	6.7%	1.2%	5.5%	16.7%
2008	0.4%	7.2%	1.2%	5.7%	17.4%
2009	0.4%	7.7%	1.3%	6.0%	19.1%
2010	0.4%	7.7%	1.3%	6.0%	18.8%
2011	0.4%	7.6%	1.3%	6.2%	19.0%
2012	0.4%	7.9%	1.4%	6.2%	19.5%
2013	0.4%	8.0%	1.3%	6.4%	20.0%
2014	0.4%	8.1%	1.3%	6.4%	19.9%
2015	0.3%	7.9%	1.2%	6.4%	19.7%
2016	0.3%	7.7%	1.3%	6.3%	19.6%
2017	0.3%	7.7%	1.3%	6.3%	19.5%
საშუალო	0.4%	7.3%	1.3%	6.0%	18.4%

რომლებიც გაცილებით აღემატებიან ჯგუფის მიერ ნაჩვენებ საშუალო ნიშნულებს. თითქმის იდენტურ წილები აქვთ მთლიან შიდა პროდუქტში ეკონომიკურ საქმიანობას და განათლებას 6.3% და 6%, რაც აგრეთვე აღემატება ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს. რაც შეეხება დანარჩენ ხუთ ცვლადს მათი ნიშნულები 2%-იან ზღვარს მიღმა წარმოგვიდგებიან.

შეჯამებისთვის, თუ გრაფიკულ გამოსახულება 3-ს დავაკვირდებით, ბელგიის სახელმწიფო გაცილებით მეტს ხარჯავს საშუალოდ 52.1%-ს, ვიდრე მთლიანდ ჯგუფის საშუალო მაჩვენებელია 46.8%-ია.

კვლევაში მონაწილე სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების წილობრივი გადანაწილება, როგორც მთლიან შიდა პროდუქტთან ასევე მთლიან პოპულაციასთან და ინფლაციასთან, იხილეთ ცხრილი 17-18, პირველ

გრაფიკი N3



ცხრილი N17

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	51.0%	20.7%	70.3%	64.8%	49.6%
2003	50.6%	20.9%	68.6%	63.4%	49.0%
2004	49.8%	22.5%	70.4%	65.7%	48.8%
2005	49.6%	23.6%	73.5%	69.9%	48.9%
2006	49.5%	23.9%	75.7%	72.0%	48.7%
2007	49.2%	24.4%	77.5%	73.7%	48.3%
2008	50.2%	25.7%	79.7%	79.2%	49.2%
2009	50.7%	21.7%	69.3%	67.0%	48.8%
2010	50.7%	22.7%	76.4%	74.7%	49.3%
2011	50.5%	24.0%	81.6%	81.1%	50.3%
2012	50.6%	23.2%	82.3%	81.7%	51.6%
2013	50.8%	22.2%	81.7%	80.5%	52.7%
2014	50.4%	23.4%	82.7%	82.0%	52.2%
2015	49.8%	23.7%	80.8%	79.4%	51.3%
2016	50.0%	24.1%	82.7%	81.4%	50.7%
2017	49.8%	24.6%	85.8%	84.6%	51.3%
საშუალო	50.2%	23.2%	77.4%	75.1%	50.0%

ცხრილი N18

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანაზოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	40.3%	23.7%	26.2%	5.5%	1.5%
2003	40.1%	23.1%	26.1%	4.4%	1.5%
2004	40.3%	22.8%	27.2%	3.7%	1.9%
2005	40.7%	22.4%	27.3%	3.1%	2.5%
2006	40.9%	22.3%	27.6%	3.2%	2.3%
2007	41.3%	22.3%	28.3%	3.4%	1.8%
2008	41.7%	21.8%	26.2%	3.1%	4.5%
2009	41.3%	20.5%	23.9%	4.9%	0.0%
2010	41.3%	20.7%	24.5%	5.6%	2.3%
2011	41.2%	20.6%	24.5%	5.5%	3.4%
2012	41.1%	20.1%	23.8%	6.1%	2.6%
2013	40.8%	19.9%	23.4%	5.2%	1.2%
2014	40.8%	19.7%	24.0%	4.9%	0.5%
2015	40.9%	19.8%	25.1%	5.3%	0.6%
2016	41.2%	19.5%	25.4%	5.0%	1.8%
2017	41.6%	19.6%	25.8%	5.2%	2.2%
საშუალო	41.0%	21.2%	25.6%	4.6%	1.9%

და მეორე ადგილებს, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით საკმაოდ დიდი მაჩვენებლებით ექსპორტი 77.4%-იანი და იმპორტი 75%-იანი ნიშნულებით ინაწილებენ, რაც ორივე შემთხვევაში თითქმის ორჯერ აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს. მესამე და მეოთხე პოზიციებს კი თითქმის იდენტური 50.2% და 50% საოჯახო მეურნეობების დანახარჯები და საგადასახადო შემოსავლები პოზიცირებენ. აქვე აღნიშვნის ღირსია, რომ ბელგიის სახელმწიფოსაც დაახლოებით 2.1%-იანი დეფიციტური ხარჯვა უფიქსირდება. დაახლოებით 25%-იანი ნიშნულებში ტრიალებენ ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებთან მიახლოებით მთლიანი შიდა დანაზოგი, მთლიანი კაპიტალის ფორმირება და წარმოება. რაც შეეხება მთლიანი რეზერვების მაჩვენებელს იგი 4.6%-იანი ნიშნულით გაცილებით ჩამორჩება შედარებით მაღალ შემოსავლიანი ქვეყნების სეგმენტის საშუალო 6.9%-იანი ნიშნულს. ბოლო ორი ცვლადი დასაქმებულთა რაოდენობის წილი მთლიან პოპულაციაში და ინფლაცია,

შედარებით განსახვავებულ შედეგებს აჩვენებენ, მაშინ როცა დასაქმებულთა რაოდენობრივი წილი 41%-ს შეადგენს და საერთო საშუალო მაჩვენებელს 5.1%-ით ჩამორჩება, ინფლაციის მაჩვენებელი 1.9%-იანი ნიშნულით 0.3%-ით აღემატება საერთო ნიშნულს.

4.1.1.3 გაერთიანებული სამეფო

2015 წელს საბიუჯეტო პასუხისმგებლობის ჩასწორებული ქარტია იქნა დამტკიცებული ქვეყნის პარლამენტის მიერ. ცვლილებები მოიცავდა ორ ფისკალურ წესს და „სოციალური უზრუნველყოფის აქტს“, რათა გაკონტროლებულიყო სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების შესაბამისობა, მისი ბიუჯეტით გაწერილ ოდენობასთან და განსაზღვრულ წესთან ხუთ წლიან საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში. ბიუჯეტის პასუხისმგებლობის ოფისი 2010 წელს შეიქმნა, რათა წარმოედგინა დამოუკიდებელი ავტორიტეტული ანალიზი გაერთიანებული სამეფოს ფინანსებთან დაკავშირებით. ხოლო 2013 წლის დეკემბერში ბიუჯეტის პასუხისმგებლობის ოფისს დაემატა ახალი მოვალეობა „სოციალური უზრუნველყოფის აქტთან“ მიმართებით, რათა შეეფასებინათ მთავრობის შედეგიანობა წარმოდგენილ აქტთან მიმართებით და გამოექვეყნებინათ ინფორმაცია იმ მიმართულებებზე და მამოძრავებელ ძალებზე, რაც დაკავშირებული იქნებოდა სოციალური უზრუნველყოფასთან და აქტით განსაზღვრულ ყველა დანახარჯებთან. რაც შეეხება გენდერულ ბიუჯეტს იგი ჯერ კიდევ არ არის გაერთიანებული სამეფოს მთავარ ბიუჯეტში ასახული (OECD, 2019).

ამგვარად, გაერთიანებული სამეფოს პრიორიტეტული ასიგნებების დეტალური ანალიზისას, იხილეთ ცხრილი 19-20, საკმაოდ საინტერესო და განსხვავებული ტენდენცია წარმოგვიდგება. მაშასადამე, მსგავსად წინამდებარე ქვეყნებისა გაერთიანებული სამეფოს პრიორიტეტიც სოციალური დაცვაა, რაზეც მთლიანი ბიუჯეტის 36.4% მიემართება, თუმცა აღნიშნული 3.3%-ით

ცხრილი N19

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	9.8%	5.8%	5.7%	5.7%	1.8%
2003	9.1%	5.8%	5.6%	6.3%	1.8%
2004	9.6%	5.8%	5.9%	6.4%	1.7%
2005	10.0%	5.5%	5.7%	6.8%	3.3%
2006	10.3%	5.6%	5.6%	7.0%	2.1%
2007	10.3%	5.3%	5.6%	7.0%	2.2%
2008	9.7%	5.3%	5.3%	11.0%	1.9%
2009	8.7%	5.3%	5.3%	8.5%	2.1%
2010	11.0%	5.4%	5.1%	7.0%	2.0%
2011	12.0%	5.4%	4.9%	6.5%	1.9%
2012	11.3%	5.2%	4.8%	7.7%	1.8%
2013	12.1%	5.1%	4.7%	6.9%	1.8%
2014	11.6%	5.0%	4.5%	6.9%	1.9%
2015	10.7%	4.9%	4.4%	7.0%	1.8%
2016	11.0%	4.8%	4.4%	7.2%	1.8%
2017	11.5%	4.7%	4.4%	7.6%	1.8%
საშუალო	10.6%	5.3%	5.1%	7.2%	2.0%

ცხრილი N20

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.9%	14.9%	2.4%	14.8%	37.2%
2003	2.3%	14.9%	2.4%	14.5%	37.1%
2004	2.3%	15.4%	2.2%	14.0%	36.7%
2005	2.6%	15.2%	2.2%	13.4%	35.3%
2006	2.8%	15.9%	2.2%	13.8%	34.8%
2007	2.9%	15.8%	2.2%	13.8%	34.9%
2008	2.7%	15.5%	2.1%	13.0%	33.5%
2009	3.1%	16.2%	2.1%	13.1%	35.4%
2010	2.6%	16.0%	2.1%	13.2%	35.5%
2011	2.1%	16.1%	2.0%	12.6%	36.3%
2012	1.7%	16.1%	1.9%	12.1%	37.3%
2013	1.4%	16.8%	1.7%	11.8%	37.8%
2014	1.4%	17.4%	1.6%	12.0%	37.8%
2015	1.6%	17.8%	1.6%	11.7%	38.3%
2016	1.5%	18.3%	1.5%	11.6%	38.1%
2017	1.8%	18.2%	1.5%	11.3%	37.2%
საშუალო	2.2%	16.3%	2.0%	12.9%	36.4%

ჩამორჩება ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. რადიკალურად განსხვავებული მიდგომა ფიქსირდება სიდიდით მეორე დანახარჯობრივ კატეგორიაში ჯანმრთელობის დაცვაში, სადაც პირიქით ჯგუფის საშუალოზე 2.7%-ით მეტი ალოკაცია ფიქსირდება. მესამე ადგილი აქამდე განხილული ქვეყნებისგან განსხვავებით განათლების კომპონენტს უჭირავს და 12.9%-იანი ნიშნულით 2.3%-ით უსწრებს ჯგუფის საშუალოს. შედარებით, დაბალი დანახარჯები მიემართება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 10.6% და ეკონომიკურ საქმიანობაზე 7.2%, რაც 3.1%-ით და 2.8%-ით ნაკლებია ჯგუფის საშუალო მაჩვენებელზე. შემდეგ პოზიციებს თავდაცვა 5.3%-ით და საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება 5.1%-ით იკავებენ, მიუხედავად წლების მიხედვით მათზე გაწეული დანახარჯების მცირედით შემცირებისა, ისინი მაინც გაცილებით აღემატებიან ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს. დანარჩენი სამი დანახარჯობრივი კატეგორია საბინაო-კომუნალური მეურნეობა, დასვენება-კულტურა-რელიგია და გარემოს დაცვა 2-2.2%-იან ნიშნულში მერყეობენ.

რაც შეეხება, იგივე კომპონენტების წილობრივ გადანაწილებას მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით გამოხატულნი არიან ცხრილ 21-22-ზე. შესაბამისად, გაერთიანებული სამეფოს მთლიან შიდა პროდუქტში დანახარჯების დიდი წილი 15.5% სოციალურ დაცვას უკავია, რაც გაცილებით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. ჯანმრთელობის დაცვას თითქმის იდენტური ნიშნული 6.9%-ი უკავია საშუალოსთან მიმართებით, თუმცა აღნიშვნის ღირსია მისი მზარდი ტენდენცია. მთლიანობაში, განათლების მაჩვენებელი მხოლოდ 0.5%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს, ხოლო საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ნიშნული 1.9%-ით ნაკლებს გვიჩვენებს. ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით გაცილებით ნაკლები წილი უკავია ეკონომიკურ საქმიანობას 3.1%. ხოლო რაც შეეხება და-

ცხრილი N21

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	3.7%	2.2%	2.1%	2.2%	0.7%
2003	3.5%	2.3%	2.2%	2.4%	0.7%
2004	3.8%	2.3%	2.4%	2.6%	0.7%
2005	4.1%	2.3%	2.3%	2.8%	1.4%
2006	4.2%	2.3%	2.3%	2.8%	0.9%
2007	4.2%	2.2%	2.3%	2.8%	0.9%
2008	4.3%	2.4%	2.3%	4.9%	0.9%
2009	4.1%	2.5%	2.5%	4.0%	1.0%
2010	5.3%	2.6%	2.4%	3.3%	1.0%
2011	5.5%	2.5%	2.3%	3.0%	0.9%
2012	5.2%	2.4%	2.2%	3.5%	0.8%
2013	5.3%	2.2%	2.0%	3.0%	0.8%
2014	5.0%	2.1%	1.9%	3.0%	0.8%
2015	4.5%	2.1%	1.9%	3.0%	0.8%
2016	4.5%	2.0%	1.8%	3.0%	0.7%
2017	4.7%	1.9%	1.8%	3.1%	0.7%
საშუალო	4.5%	2.3%	2.2%	3.1%	0.8%


ცხრილი N22

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	0.7%	5.6%	0.9%	5.6%	14.0%
2003	0.9%	5.8%	0.9%	5.6%	14.4%
2004	0.9%	6.2%	0.9%	5.6%	14.7%
2005	1.1%	6.3%	0.9%	5.5%	14.6%
2006	1.1%	6.5%	0.9%	5.6%	14.2%
2007	1.2%	6.5%	0.9%	5.6%	14.3%
2008	1.2%	6.9%	0.9%	5.8%	14.9%
2009	1.5%	7.7%	1.0%	6.2%	16.8%
2010	1.2%	7.6%	1.0%	6.3%	16.9%
2011	1.0%	7.4%	0.9%	5.8%	16.7%
2012	0.8%	7.4%	0.9%	5.5%	17.0%
2013	0.6%	7.4%	0.7%	5.2%	16.6%
2014	0.6%	7.5%	0.7%	5.2%	16.2%
2015	0.7%	7.5%	0.7%	5.0%	16.1%
2016	0.6%	7.6%	0.6%	4.8%	15.8%
2017	0.7%	7.4%	0.6%	4.6%	15.2%
საშუალო	0.9%	6.9%	0.8%	5.5%	15.5%

ნარჩენ სამ დანახარჯობრივი კატეგორიის წილობრივ მაჩვენებელს, მათი ინდივიდუალური ნიშნული არ აღემატება 1%-ს მთლიანი შიდა პროდუქტში.

შეჯამებისთვის, თუ გრაფიკულ გამოსახულება 4-ს განვიხილავთ ნათლად დავინახავთ, რომ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით გაერთიანებული სამეფოს მთავრობა საშუალოდ გაცილებით ნაკლებად ინტერვენციულია ქვეყნის ეკონომიკაში.

გრაფიკი N4



რაც შეეხება კვლევის დანარჩენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, ისინი ცხრილ 23-24 არიან ნათლად გამოხატული. საიდანაც ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ თვალსაჩინო ადგილი უკავია საოჯახო მეურნეობების დანახარჯს 62.5%-ით, რაც 8%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს და კიდევ ერთხელ მიუთითებს გაერთიანებულ სამეფოს მოსახლეობაზე როგორც მხარჯველ სოციუმზე. შემდეგი პარამეტრია საგადასახადო შემოსავლები რომელიც მიუხედავად 37.8%-იანი წილისა მთლიან შიდა პროდუქტში 6.5%-ით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს და საშუალოდ 4.8%-იანი საბიუჯეტო დეფიციტის მატარებელია. არც თუ ისეთი სახარბიელო მგომარეობა ფიქსირდე-

ცხრილი N23

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	64.3%	18.1%	23.7%	26.5%	35.7%
2003	63.5%	17.7%	23.5%	25.9%	35.6%
2004	63.3%	17.3%	23.4%	26.0%	37.0%
2005	62.9%	17.4%	24.7%	27.2%	38.1%
2006	62.2%	17.8%	26.7%	29.1%	38.0%
2007	61.8%	18.3%	24.9%	27.1%	38.3%
2008	62.3%	17.2%	26.7%	29.2%	39.2%
2009	62.4%	14.6%	26.2%	28.0%	37.2%
2010	61.9%	15.8%	28.2%	30.4%	38.3%
2011	61.6%	15.7%	30.4%	31.6%	38.4%
2012	62.1%	15.9%	29.8%	31.3%	37.7%
2013	62.3%	16.5%	29.7%	31.4%	38.6%
2014	61.9%	17.3%	28.2%	29.8%	37.7%
2015	62.2%	17.2%	27.4%	28.8%	38.0%
2016	62.7%	17.3%	28.3%	29.8%	38.5%
2017	62.9%	17.2%	30.1%	31.3%	39.1%
საშუალო	62.5%	16.9%	27.0%	29.0%	37.8%

ცხრილი N24

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანახოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	47.2%	21.0%	15.2%	3.0%	1.3%
2003	47.4%	20.2%	15.3%	2.7%	1.4%
2004	47.7%	19.4%	14.7%	2.6%	1.3%
2005	47.9%	19.6%	14.9%	2.4%	2.1%
2006	48.1%	19.7%	15.5%	2.3%	2.3%
2007	48.1%	19.2%	16.1%	2.5%	2.3%
2008	48.1%	18.9%	14.7%	2.3%	3.6%
2009	47.0%	18.0%	12.8%	3.3%	2.2%
2010	46.8%	17.9%	13.6%	4.0%	3.3%
2011	46.6%	18.0%	14.6%	4.2%	4.5%
2012	46.8%	17.8%	14.4%	4.3%	2.8%
2013	47.0%	18.1%	14.9%	4.3%	2.6%
2014	47.8%	17.8%	15.6%	4.2%	1.5%
2015	48.2%	17.9%	15.8%	5.2%	0.0%
2016	48.6%	17.6%	15.7%	5.1%	0.7%
2017	48.7%	17.9%	16.0%	5.6%	2.7%
საშუალო	47.6%	18.7%	15.0%	3.6%	2.2%

ბა, როგორც მთლიან ჯგუფის საერთო მაჩვენებლებთან, 11.5%-ით და 6.9%-ით ნაკლები ნიშნულებით, ასევე ურთიერთ ბალანსში სადაც საშუალოდ იმპორტი 2%-ით აღემატება ექსპორტს. წარმოება რომელიც წლების მიხედვით კლების ტენდენციას განიცდის საშუალოდ 18.7%-ია და ჩამორჩება საშუალო ნიშნულს. ასევე მკვეთრად ჩამორჩება მთლიანი კაპიტალის ფორმირებას 16.9%-ით და მთლიანი შიდა დანაზოგი 15%-იანი ნიშნულებით ჯგუფის საერთო მაჩვენებლებს. რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას მთლიან პოპულაციაში და ინფლაციას ისინი 1.5%-იანი და 0.6%-იანი მეტობებით წარმოგვიდგებიან.

4.1.1.4 გერმანია

გერმანიის ბიუჯეტის მაღლიდან-ქვემოთ მიდგომა 2010 წელს იქნა მიღებული, რათა დახმარებოდა და ფისკალურ წესთან თანხვედრაში მოეყვანა მზარდი ვალდებულები და მოიცავს წლიურ სტრუქტურულ ციკლს. გერმანიაში პარლამენტის ჩართულობა ბიუჯეტირებაში ძალიან ძლიერია, მაგალითისთვის საბიუჯეტო კომიტეტი გულდასმით შეისწავლის აღმასრულებლების მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო პროექტს, სამინისტროების სპეციფიკური ალოკაციების ჩათვლით, და აქვთ უფლება რომ ან თავიდან დაუბრუნონ განსახილველად ან საერთოდ დაბლოკონ. შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება არ წარმოადგენს გერმანიის ბიუჯეტის თვისებას, თუმცა გარკვეული ზომები მაინც იქნა მიღებული, რომ უფრო გამჭვირვალე გამხდარიყო ბიუჯეტის სტრატეგიული ალოკაციები. 2014/15 წლებიდან მოყოლებული დანახარჯების მაკონტროლებელი მექანიზმი იქნა ჩაშვებული, რათა საბიუჯეტო სისტემის მოქნილობა და მიზნობრიობა გაუმჯობესებულიყო. გერმანია ფედერალურ დონეზე კვლავ იყენებს ნაღდი ანგარიშსწორებაზე ორიენტირებულ ფინანსურ რეპორტირებს და ბიუჯეტირებას, თუმცა რიგი მუნიციპალური ერთეულები დარიცხვის მეთოდსაც გამოიყენებენ (OECD, 2019).

შესაბამისად, გერმანიის სახელმწიფოს საბიუჯეტო პრიორიტეტების უკეთ

ცხრილი N25

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	14.0%	2.2%	3.4%	8.8%	1.3%
2003	13.8%	2.2%	3.4%	8.6%	1.2%
2004	13.8%	2.1%	3.4%	8.2%	1.2%
2005	13.7%	2.2%	3.4%	8.0%	1.2%
2006	13.8%	2.3%	3.5%	7.7%	1.2%
2007	14.2%	2.2%	3.5%	7.6%	1.2%
2008	14.8%	2.3%	3.4%	8.3%	1.2%
2009	13.8%	2.4%	3.4%	8.5%	1.5%
2010	13.9%	2.3%	3.4%	10.2%	1.3%
2011	14.9%	2.4%	3.5%	8.2%	1.3%
2012	14.7%	2.5%	3.5%	7.8%	1.4%
2013	14.6%	2.4%	3.5%	7.3%	1.4%
2014	14.0%	2.3%	3.6%	7.1%	1.4%
2015	13.2%	2.2%	3.5%	7.1%	1.3%
2016	12.9%	2.3%	3.5%	7.2%	1.4%
2017	12.8%	2.4%	3.5%	7.1%	1.4%
საშუალო	13.9%	2.3%	3.5%	8.0%	1.3%

ცხრილი N26

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	2.2%	14.1%	1.8%	8.8%	43.4%
2003	2.2%	14.2%	1.8%	8.7%	43.9%
2004	2.3%	13.9%	1.7%	8.8%	44.6%
2005	2.2%	14.1%	1.7%	8.8%	44.7%
2006	2.1%	14.3%	1.7%	9.0%	44.3%
2007	1.9%	14.8%	1.8%	9.1%	43.8%
2008	1.7%	14.8%	1.8%	9.0%	42.8%
2009	1.4%	15.0%	1.8%	9.1%	43.2%
2010	1.2%	14.7%	1.7%	9.2%	42.1%
2011	1.1%	15.2%	1.8%	9.6%	42.0%
2012	1.0%	15.4%	1.7%	9.5%	42.5%
2013	0.9%	15.7%	2.3%	9.6%	42.3%
2014	0.9%	16.2%	2.4%	9.6%	42.6%
2015	0.8%	16.3%	2.3%	9.5%	43.6%
2016	0.8%	16.2%	2.3%	9.4%	43.9%
2017	0.9%	16.2%	2.3%	9.3%	44.1%
საშუალო	1.5%	15.1%	1.9%	9.2%	43.4%

გასაცნობად, აუცილებელია ცხრილი 25-26 დეტალური ანალიზი. მსგავსად, გერმანიის მთავრობისთვის პრიორიტეტული სოციალური დაცვის და ჯანმრთელობის დაცვი პარამეტრებია, რომელზეც საშუალო საერთო ჯგუფის მაჩვენებლებზე 43.4% და 15.1% მეტი მიემართება, ჯანმრთელობის დაცვის ასიგნების მცირედი ზრდის ტენდენციით. საკვლევი ჯგუფის საშუალოს თითქმის იდენტური პროცენტული მაჩვენებელი 13.9%, მიემართება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე. გერმანიის მთავრობა განათლებაზე და ეკონომიკურ საქმიანობაზე საშუალოდ 9.2%-ს და 8%-ს ხარჯავს, რაც მცირედით ჩამორჩება ჯგუფურ საერთო საშუალო მაჩვენებლებს. ასევე 0.7%-ით და 0.2% ნაკლები დაფინანსება მიემართება თავდაცვაზე და საზოგადოებრივი წესრიგზე და უშიშროებაზე. დანარჩენი სამი დანახარჯობრივი კატეგორია საბინაო-კომუნალური მეურნეობა, დასვენება-კულტურა-რელიგია და გარემოს დაცვა 2.5%-იან ნიშნულში ქვემოთ მერყეობენ.

წინამდებარედ განხილული პარამეტრების ანალიზი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, აუცილებელია ცხრილი 27-28 რომ ჩავუღრმავდეთ. მაშასადამე, თითქმის იდენტური პროცენტული წილი დაიკავებს, ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან შედარებისას, სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ნიშნულებმა 19.7%, 6.8% და 6.4%-იანი ნიშნულებით, მსგავსი თანმიმდევრობით. რაც შეეხება განათლების და ეკონომიკური საქმიანობის პროცენტულ შემადგენელ წილებს 4.2%-ს და 3.6%-ს, ისინი 0.8%-ით და 0.6%-ით ჩამორჩებიან ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს. რაც შეეხება დანარჩენ ბოლო ხუთ საბიუჯეტო დანახარჯებს, თითოეულის წილები 2%-ს ქვემოთ წარმოგვიდგებიან მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში.

ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო დანახარჯების შემაჯამებელ მონაცემებს, ისინი გამოსახულია გრაფიკულ გამოსახულება 5-ზე და მიგვანიშნებენ რომ 2006 წლამდე გერმანიის სახელმწიფო დანახარჯები აღემატება ჯგუფის საერთო საშ-

ცხრილი N27


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	6.6%	1.0%	1.6%	4.2%	0.6%
2003	6.6%	1.0%	1.6%	4.1%	0.6%
2004	7.0%	1.1%	1.7%	4.2%	0.6%
2005	6.3%	1.0%	1.6%	3.7%	0.5%
2006	6.2%	1.0%	1.5%	3.5%	0.6%
2007	6.1%	0.9%	1.5%	3.3%	0.5%
2008	6.4%	1.0%	1.5%	3.6%	0.5%
2009	6.6%	1.1%	1.6%	4.0%	0.7%
2010	6.6%	1.1%	1.6%	4.8%	0.6%
2011	6.7%	1.1%	1.6%	3.7%	0.6%
2012	6.5%	1.1%	1.6%	3.4%	0.6%
2013	6.5%	1.1%	1.6%	3.2%	0.6%
2014	6.2%	1.0%	1.6%	3.1%	0.6%
2015	5.8%	1.0%	1.5%	3.1%	0.6%
2016	5.6%	1.0%	1.5%	3.2%	0.6%
2017	5.6%	1.0%	1.5%	3.1%	0.6%
საშუალო	6.3%	1.0%	1.6%	3.6%	0.6%

ცხრილი N28

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.0%	6.7%	0.9%	4.1%	20.5%
2003	1.1%	6.8%	0.8%	4.1%	21.0%
2004	1.1%	7.0%	0.9%	4.5%	22.6%
2005	1.0%	6.5%	0.8%	4.1%	20.6%
2006	0.9%	6.4%	0.8%	4.0%	19.8%
2007	0.8%	6.3%	0.8%	3.9%	18.7%
2008	0.7%	6.4%	0.8%	3.9%	18.6%
2009	0.7%	7.1%	0.8%	4.3%	20.6%
2010	0.6%	7.0%	0.8%	4.4%	19.9%
2011	0.5%	6.8%	0.8%	4.3%	18.8%
2012	0.4%	6.8%	0.7%	4.2%	18.8%
2013	0.4%	7.0%	1.0%	4.3%	18.9%
2014	0.4%	7.1%	1.0%	4.2%	18.7%
2015	0.4%	7.1%	1.0%	4.2%	19.0%
2016	0.4%	7.1%	1.0%	4.1%	19.3%
2017	0.4%	7.1%	1.0%	4.1%	19.4%
საშუალო	0.7%	6.8%	0.9%	4.2%	19.7%

უალო მონაცემებს, რასაც ვერ ვიტყვით 2006 წლის შემდგომ პერიოდზე.

გრაფიკი N5



კველევის დარჩენილ ცვლადების და მათ წილებს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, საოჯახო მეურნეობების დანახარჯები ლიდერობს 54.1%-ით, რაც ჯგუფის საერთო მაჩვენებელთან მიახლოებულ ნიშნულს წარმოადგენს. მხოლოდ 0.5%-იან ჩამორჩენას გვიჩვენებს ჯგუფის საერთო საშუალო მაჩვენებელთან, საგადასახადო შემოსავლების 43.8%-იანი ნიშნული. აქვე აღნიშვნის ღირსია რომ როდესაც საგადასახადო შემოსავლების საშუალო მაჩვენებლის შედარება ხდება მთლიანი სახელმწიფო ხარჯების საშუალო მაჩვენებელთან, გერმანიის მთავრობას 1.4%-იანი საბიუჯეტო დეფიციტური ხარჯვა უფიქსირდება, თუმცა თუ წლების მიხედვით განვიხილავთ საყურადღებოა, რომ განსაკუთრებით 2013 წლიდან გერმანიის ბიუჯეტი საშუალოდ 0.8%-ით პროფიციტულია. ასევე შთამბეჭდავი მაჩვენებელი ფიქსირდება ექსპორტსა და იმპორტის ბალანსს შორის სადაც 5.8%-იანი დადებითი სალდო ფიქსირდება. ასევე საყურადღებოა, რომ თვით ექსპორტის 41.7% მაჩვენებელი ჯგუფის საერთო საშუალო მაჩვენებლს 3.2%-ით აღემატება, რაც შეეხება იმპორტის მაჩვენებელი იგი აბსოლუტურად იდენტურია და მთლიანი შიდა პროდუქტის 35.9%-ს მოიცავს. წარმოების 27.1%-იანი

ცხრილი N29

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	55.3%	19.9%	32.6%	28.2%	43.3%
2003	56.1%	19.7%	32.6%	28.9%	43.6%
2004	55.8%	19.1%	35.4%	30.4%	42.6%
2005	56.2%	18.8%	37.7%	32.7%	42.8%
2006	55.5%	19.8%	41.2%	35.9%	43.0%
2007	53.7%	20.7%	43.0%	36.4%	43.0%
2008	53.9%	20.9%	43.5%	37.5%	43.4%
2009	55.9%	18.1%	37.8%	32.9%	44.3%
2010	54.5%	19.6%	42.3%	37.1%	43.0%
2011	53.8%	21.1%	44.8%	39.9%	43.8%
2012	54.2%	19.3%	46.0%	39.9%	44.3%
2013	53.5%	19.5%	45.4%	39.4%	44.5%
2014	52.5%	19.6%	45.6%	38.7%	44.5%
2015	51.8%	19.2%	46.9%	38.9%	44.5%
2016	51.3%	19.7%	45.9%	38.1%	44.8%
2017	51.2%	20.1%	47.0%	39.5%	45.0%
საშუალო	54.1%	19.7%	41.7%	35.9%	43.8%

ცხრილი N30

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანახოვი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	48.1%	26.6%	24.3%	4.2%	1.3%
2003	47.5%	26.4%	23.4%	3.8%	1.1%
2004	47.7%	26.7%	24.2%	3.4%	1.8%
2005	47.7%	26.6%	23.9%	3.6%	1.9%
2006	48.1%	27.3%	25.1%	3.7%	1.8%
2007	49.0%	27.5%	27.4%	3.9%	2.3%
2008	49.7%	27.0%	26.8%	3.7%	2.8%
2009	49.9%	24.9%	23.0%	5.2%	0.2%
2010	50.1%	27.1%	24.8%	6.4%	1.1%
2011	51.8%	27.5%	26.0%	6.2%	2.5%
2012	52.4%	27.6%	25.4%	7.0%	2.2%
2013	52.6%	27.1%	25.5%	5.3%	1.6%
2014	52.8%	27.3%	26.6%	5.1%	0.8%
2015	53.0%	27.4%	27.2%	5.2%	0.7%
2016	53.1%	27.9%	27.5%	5.3%	0.4%
2017	53.6%	28.0%	27.7%	5.3%	1.7%
საშუალო	50.4%	27.1%	25.5%	4.8%	1.5%

მაჩვენებელი, წლების მანძილზე ზრდადი ტენდენციით 4.2%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. გერმანიას ასვე საშუალოდ მაღალი მაჩვენებელი 25.5% უფიქსირდება მთლიანი შიდა დანაზოგის კომპონენტში. რაც შეეხება მთლიანი კაპიტალის ფორმირების 19.7%-იან და მთლიანი რეზერვების 4.8%-იან ცვლადებს, ისინი ჩამორჩებიან ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს. საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება დასაქმებულების რაოდენობის წილში მთლიან პოპულაციაში 50.4%, რაც 4,3%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. რაც შეეხება ინფლაციის საშუალო მაჩვენებელს იგი თითქმის იდენტურ ნიშნულს აჩვენებს, ჯგუფის ნიშნულთან მიმართებით, მხოლოდ 0.1%-იანი კლების სხვაობით.

4.1.1.5 დანია

2012 წლიდან საბიუჯეტო კანონის მიღებით ბიუჯეტის სტრუქტურული ბალანსი, როგორც ფისკალური პოლიტიკის დაგეგმარების და მონიტორინგის მთავარი გასაღები, ფიქსირებული იქნა კანონმდებლობით. საბიუჯეტო კანონი 2014 წლიდან ძალაში შევიდა, ასევე მოიცავდა დამაკავშირებელ და მარავალწლიან დანახარჯების ზედა ჭერის განსაზღვრას ცენტრალური მთავრობისთვის, მუნიციპალიტეტებისა და რეგიონებისთვის. რაც შეეხება შედეგების შესახებ ინფორმაციის რეპორტინგს იგი ნებაყოფლობითი ხასიათისაა, როგორც მინისტრებისთვის ასევე სამთავრობო სააგენტოებისთვის. დანიაში საპარლამენტო ძალაუფლება ძალიან მაღალია და კანონმდებლებს შეუზღუდავი ძალაუფლება აქვთ, რომ ცვლილებები შეიტანონ ბიუჯეტში. საბიუჯეტო ოფისის სპეციალიზირებული თანამშრომლები ყოველთვის ხელმისაწვდომები არიან პარლამენტარებისთვის საჭიროების და სპეციფიკური რჩევებისთვის. საჯარო კონსულტაციები და ჩართულობა არ არის ფორმალურად განსაზღვრული საბიუჯეტო პროცესების დროს, თუმცა საჯარო ინსტიტუტები დამოუკიდებლად ერთვებიან სხვადასხვა ტიპის შეთანხმებებში

ცხრილი N31

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	14.7%	2.8%	1.7%	6.7%	1.3%
2003	14.1%	2.7%	1.8%	6.4%	1.2%
2004	13.5%	2.7%	1.8%	6.5%	1.1%
2005	12.9%	2.6%	1.8%	6.2%	1.2%
2006	13.6%	3.1%	1.8%	6.3%	1.2%
2007	13.6%	2.9%	1.8%	5.9%	1.0%
2008	14.0%	2.8%	1.9%	5.5%	0.9%
2009	13.9%	2.4%	1.9%	5.9%	0.8%
2010	14.0%	2.4%	1.8%	5.9%	0.7%
2011	14.5%	2.4%	1.9%	6.0%	0.7%
2012	15.8%	2.4%	1.8%	6.3%	0.7%
2013	13.5%	2.3%	1.8%	6.2%	0.8%
2014	13.2%	2.1%	1.8%	6.6%	0.8%
2015	13.5%	2.1%	1.8%	6.7%	0.8%
2016	12.6%	2.1%	1.9%	6.2%	0.8%
2017	12.1%	2.3%	1.8%	6.4%	0.8%
საშუალო	13.7%	2.5%	1.8%	6.2%	0.9%

ცხრილი N32

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.0%	13.3%	3.0%	12.4%	43.2%
2003	1.0%	13.3%	3.0%	12.2%	44.3%
2004	0.8%	13.6%	3.3%	12.5%	44.2%
2005	0.6%	13.7%	3.0%	12.1%	43.1%
2006	0.4%	14.7%	3.1%	12.4%	43.5%
2007	0.7%	15.5%	3.4%	12.0%	43.3%
2008	0.7%	15.6%	3.5%	12.1%	42.8%
2009	0.9%	15.7%	3.3%	12.3%	42.9%
2010	0.5%	15.1%	3.1%	12.6%	43.8%
2011	0.5%	15.0%	3.2%	12.1%	43.8%
2012	0.5%	14.9%	3.2%	12.0%	42.4%
2013	0.5%	15.2%	3.2%	12.3%	43.9%
2014	0.4%	15.5%	3.2%	12.9%	43.5%
2015	0.4%	15.6%	3.2%	12.9%	43.1%
2016	0.5%	16.1%	3.3%	12.9%	43.6%
2017	0.4%	16.4%	3.3%	12.7%	43.7%
საშუალო	0.6%	15.0%	3.2%	12.4%	43.4%

პროცესში, დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით (OECD, 2019).

შესაბამისად დანის საბიუჯეტო დანახარჯების პრიორიტეტების და მიმართულებების უკეთ გაცნობისთვის დეტალურად განვიხილოთ ცხრილი 31-32. მსგავსად, დანიის სახელმწიფოს საბიუჯეტო პრიორიტეტი სოციალურ დაცვაში და ჯანმრთელობის დაცვაში გამოიხატება, რომელზეც ბიუჯეტის თითქმის 59% მიმართება, რაც შეეხება ჯგუფის საშუალოსთან შედარებით ორივე კომპონენტი 3.7%-ით და 0.4%-ით აღემატება. მომდევნო პოზიციებზე ჯგუფის საშუალო მაჩვენებლის იდენტური 13.7% ნიშნულით საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და განათლება 12.4% წარმოგვიდგებიან. გაცილებით ნაკლები 2.8% დაფინანსება მიემართება ეკონომიკურ საქმიანობას დანიაში. საშუალოსთან შედარებით მათი დაფინანსება მიემართება დასვენება-კულტურა-რელიგიის განვითარებაზე, თითქმის საშუალოზე 0.7%-ით მეტი. ხოლო დანია თავდაცვაზე 0.5%-ით ნაკლებ და საზოგადოებრივი წესრიგსა და უშიშროებაზე კი თითქმის ნახევარჯერ ნაკლებ ასიგნებებს მიმართავს. რაც შეეხება გარემოს დაცვაზე და საბინაო - კომუნალური მეურნეობაზე გაწეული საბიუჯეტო სახსრები, მიუხედავად ორივე კომპონენტის წლების მანძილზე შემცირების ტენდენციისა, 1%-იან ნიშნულის ქვევით წარმოგვიდგებიან.

იგივე პარამეტრების გადანაწილებას დანიის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, ცხრილი 33-34 დეტალურად გამოსახავს. ამგვარად, სოციალური დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის წილი მთლიან შიდა პროდუქტში გაცილებით დიდია, ვიდრე ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს 4.9%-ით და 1.2%-ით. ასევე, ჯგუფის საშუალოსთან მიმართებით, დიდი წილობრივი მაჩვენებლით გამოირჩევა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და განათლება 7.4%-იანი და 6.7%-იანი მონაწილეობებით. თუმცა, მოცემულს ვერ ვიტყვით ეკონომიკურ საქმიანობაზე, რომელიც თითქმის ერთი

პროცენტით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. ხოლო დანარჩენი ხუთი კომპონენტის წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ინდივიდუალურად 0.3%-დან 1.7%-მდე მერყეობს.

ცხრილი N33


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	7.8%	1.5%	0.9%	3.5%	0.7%
2003	7.6%	1.5%	0.9%	3.4%	0.6%
2004	7.1%	1.4%	0.9%	3.5%	0.6%
2005	6.8%	1.4%	0.9%	3.3%	0.6%
2006	6.8%	1.5%	0.9%	3.1%	0.6%
2007	6.7%	1.4%	0.9%	2.9%	0.5%
2008	7.1%	1.4%	1.0%	2.8%	0.5%
2009	7.9%	1.4%	1.1%	3.3%	0.4%
2010	8.0%	1.3%	1.0%	3.4%	0.4%
2011	8.2%	1.3%	1.1%	3.4%	0.4%
2012	9.2%	1.4%	1.0%	3.6%	0.4%
2013	7.5%	1.3%	1.0%	3.5%	0.5%
2014	7.3%	1.1%	1.0%	3.6%	0.5%
2015	7.4%	1.1%	1.0%	3.6%	0.4%
2016	6.6%	1.1%	1.0%	3.3%	0.4%
2017	6.2%	1.2%	0.9%	3.3%	0.4%
საშუალო	7.4%	1.3%	1.0%	3.3%	0.5%

ცხრილი N34

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	0.6%	7.1%	1.6%	6.6%	23.0%
2003	0.5%	7.1%	1.6%	6.6%	23.7%
2004	0.4%	7.2%	1.7%	6.6%	23.4%
2005	0.3%	7.3%	1.6%	6.4%	22.7%
2006	0.2%	7.3%	1.5%	6.2%	21.7%
2007	0.3%	7.7%	1.7%	5.9%	21.5%
2008	0.4%	7.9%	1.8%	6.1%	21.6%
2009	0.5%	8.9%	1.9%	6.9%	24.3%
2010	0.3%	8.6%	1.8%	7.1%	24.8%
2011	0.3%	8.4%	1.8%	6.8%	24.7%
2012	0.3%	8.7%	1.8%	7.0%	24.6%
2013	0.3%	8.5%	1.8%	6.9%	24.5%
2014	0.2%	8.6%	1.7%	7.1%	24.0%
2015	0.2%	8.5%	1.8%	7.0%	23.5%
2016	0.3%	8.5%	1.7%	6.8%	23.0%
2017	0.2%	8.4%	1.7%	6.5%	22.4%
საშუალო	0.3%	8.0%	1.7%	6.7%	23.3%

შესაბამისად, გრაფიკული გამოსახულება 6 ნათლად წარმოგვიჩენს, რომ დანიის მთლიანი სახელმწიფო დანახარჯები გაცილებით აღემატება შედარებით მაღალ შემოსავლიანი საკვლევი ჯგუფის საშუალო წლიურ მონაცემებს.

გრაფიკი N6



დამატებით, ცხრილი 35-36 გვიჩვენებს, რომ კვლევაში მონაწილე მაკროეკონომიკური ცვლადებიდან, აქამდე ყველა ქვეყნისგან გამორჩევით საკმაოდ შთამბეჭდავი ადგილი უკავია საგადასახადო შემოსავლებს საშუალოდ 54.2%-იანი ნიშნულით, რაც მასიური 9.9%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო წილობრივ მაჩვენებელს. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მთლიანობაში 0.6%-ით დანიის მთავრობა პროფიციტული ბიუჯეტის მატარებელია. ასვე საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებელი ფიქსირდება ექსპორტის შემთხვევაშიც, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 51%-ს წარმოადგენს და 5.8%-ით აღემატება ქვეყნის იმპორტის საშუალო მონაცემს, ხოლო ჯგუფის საშუალო მონაცემებთან შედარებით კი 11.5%-იან მეტობას წარმოგვიდგენს. ასევე თითქმის 10%-იანი მატება ფიქსირდება იმპორტის შემთხვევაშიც.

ჯგუფის საშუალო მონაცემებთან შედარებით დანიის მოსახლეობა გაცილებით ხელმომჭირნეა, რაც საოჯახო მეურნეობების დანახარჯის 46%-იანი და მთლიანი შიდა დანაზოგის 27%-იანი ნიშნულებიც მეტყველებენ, პირველი 8.5%-ით ჩამორჩება ჯგუფის საშუალოს, ხოლო მეორე ნიშნული კი 3.4%-იან მეტობის აფიქსირებს. მთლიანი კაპიტალის ფორმირების და წარმოების პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბარია ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებთან, რასაც ვერ ვიტყვით მთლიანი რეზერვების მაჩვენებელზე, რომელიც ასევე მაშტაბურ 12.2%-იან მეტობას გვიჩვენებს, ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებით. რაც შეეხება დასაქმებულების წილს მთლიან პოპულაციაში ზუსტად 5%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი კი 1.5%-ით 0.1%-ით ნაკლებია საშუალოზე.

ცხრილი N35

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	45.4%	21.3%	45.7%	38.9%	53.2%
2003	45.7%	20.9%	43.8%	37.0%	53.5%
2004	46.3%	21.7%	43.9%	38.3%	55.1%
2005	46.4%	22.2%	47.5%	41.9%	56.2%
2006	46.0%	24.3%	50.7%	46.6%	54.8%
2007	46.1%	25.3%	51.5%	48.6%	54.6%
2008	46.0%	24.0%	54.2%	50.7%	53.6%
2009	46.9%	19.1%	47.1%	42.6%	53.7%
2010	46.1%	18.1%	50.5%	43.6%	54.0%
2011	46.3%	19.1%	53.8%	47.4%	54.4%
2012	46.4%	19.5%	54.6%	48.6%	54.5%
2013	46.2%	19.7%	54.8%	48.2%	54.6%
2014	45.7%	20.1%	54.6%	47.7%	56.4%
2015	45.6%	20.6%	55.4%	48.6%	53.2%
2016	45.4%	21.4%	53.6%	46.9%	52.6%
2017	45.2%	21.6%	54.5%	47.4%	52.6%
საშუალო	46.0%	21.2%	51.0%	45.2%	54.2%

ცხრილი N36

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანაზოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	51.9%	22.7%	28.2%	15.1%	2.4%
2003	51.2%	22.2%	27.7%	17.0%	2.0%
2004	50.8%	22.1%	27.3%	15.8%	0.9%
2005	51.4%	22.2%	27.7%	13.0%	1.7%
2006	52.4%	22.8%	28.4%	10.8%	1.8%
2007	53.5%	22.2%	28.2%	10.6%	1.7%
2008	53.8%	22.6%	27.5%	12.1%	3.6%
2009	51.8%	20.0%	23.6%	23.7%	1.0%
2010	50.4%	19.7%	25.0%	23.9%	2.2%
2011	50.1%	20.3%	25.5%	24.6%	2.7%
2012	49.6%	20.4%	25.5%	27.2%	2.4%
2013	49.4%	20.1%	26.3%	25.8%	0.5%
2014	49.6%	19.8%	27.1%	21.9%	0.4%
2015	50.0%	20.0%	27.4%	21.7%	0.2%
2016	50.3%	20.5%	28.2%	20.6%	0.0%
2017	50.8%	20.1%	28.7%	22.3%	1.1%
საშუალო	51.1%	21.1%	27.0%	19.1%	1.5%

4.1.1.6 ესპანეთი

2011 წელს ნაციონალური რეფორმების გატარების დროს ესპანეთმა იმპლემენტაცია გაუწია ფისკალურ ჩარჩოს და დააწესა მკაცრად განსაზღვრული ევროპულ კანონმდებლობასთან თანხვედრი საბიუჯეტო წესები, გავრცელებული მთავრობის ყველა რგოლზე, რომლის მიზანიც საჯარო ფინანსების გაჯანსაღება და მდგრადი მიმართულებით წარმართვა წარმოადგენდა. გენდერული ბიუჯეტი უკვე რამდენიმე წელია მოქმედებაშია ესპანეთში. ლეგალური ჩარჩო მოითხოვს, რომ თითოეული სამინისტრო სხელმწიფო მდივანს, ბიუჯეტირებისა და დანახარჯების კუთხით, უგზავნის ანალიტიკურ რეპორტს დანახარჯების გენდერული გავლენის პროგრამებით. საბიუჯეტო შედეგობრივი ინფორმაცია დიდ როლს არ თამაშობს ბიუჯეტის ალოკაციების გადაწყვეტილების მიღებაში. საბიუჯეტო სისტემების მოქნილობის და მიზნობრიობის გასაზრდელად, სხვადასხვა ფორმები და დანახარჯობრივი განხილვები იქნა და არის გამოყენებული (OECD, 2019).

ესპანეთის სახელმწიფო დანახარჯების დეტალური ანალიზისთვის ცხრილი 37-38 გვიჩვენებს, რომ ესპანეთის მთავრობის პრიორიტეტს სოციალური დაცვა და ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს, რომელზეც მთლიანი ბიუჯეტის ზუსტად ნახევარი იხარჯება, თუმცა აღნიშნული ნიშნული ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს 4.3%-ით ჩამორჩება. თითქმის ჯგუფის საშუალოს იდენტური მაჩვენებელი ფიქსირდება, სიდიდით მესამე საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ცვლადთან 13.8%-იანი ნიშნულით. მიუხედავად ორივე კომპონენტის, ეკონომიკური საქმიანობის და განათლებაზე გამოყოფილი სახსრების დაღმავალი ტენდენციისა, ესპანეთის სამეფო ეკონომიკურ საქმიანობას უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევს და ჯგუფის საშუალოსგან განსხვავებით გაცილებით მეთ სახსრებს გამოყოფს 12.1%-ს, ვიდრე განათლებაზე 9.9%-ს. უფრო მეტიც, ესპანეთის სამეფო გაცილებით მეტს

ცხრილი N37

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	15.0%	2.8%	4.7%	12.5%	2.5%
2003	14.5%	2.7%	4.7%	12.0%	2.5%
2004	13.2%	2.8%	4.6%	13.8%	2.3%
2005	13.3%	2.8%	4.6%	13.0%	2.3%
2006	13.1%	2.7%	4.7%	13.0%	2.5%
2007	12.6%	2.6%	4.8%	13.5%	2.6%
2008	12.4%	2.4%	4.8%	13.1%	2.4%
2009	12.3%	2.2%	4.5%	12.5%	2.3%
2010	12.2%	2.3%	4.7%	12.8%	2.3%
2011	13.5%	2.3%	4.7%	12.4%	2.1%
2012	13.8%	1.9%	4.2%	16.6%	1.9%
2013	15.9%	2.1%	4.5%	10.1%	1.8%
2014	15.6%	1.9%	4.5%	10.1%	2.0%
2015	14.8%	2.2%	4.6%	10.2%	2.0%
2016	14.4%	2.3%	4.5%	9.2%	2.0%
2017	13.6%	2.2%	4.5%	9.3%	2.1%
საშუალო	13.8%	2.4%	4.6%	12.1%	2.2%

ცხრილი N38

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	2.7%	13.2%	3.4%	10.5%	32.8%
2003	2.7%	13.5%	3.5%	10.5%	33.3%
2004	2.0%	14.1%	3.5%	10.5%	33.1%
2005	2.2%	14.7%	3.6%	10.3%	33.2%
2006	2.0%	14.7%	3.8%	10.3%	33.2%
2007	2.3%	14.5%	4.0%	10.3%	32.9%
2008	2.6%	14.6%	3.9%	10.2%	33.5%
2009	2.8%	14.8%	3.6%	10.1%	35.0%
2010	1.5%	14.4%	3.6%	9.8%	36.4%
2011	1.2%	14.1%	3.3%	9.6%	36.7%
2012	1.0%	12.9%	2.5%	8.7%	36.5%
2013	1.0%	13.5%	2.5%	9.0%	39.5%
2014	1.1%	13.6%	2.6%	9.1%	39.4%
2015	1.2%	14.1%	2.7%	9.4%	39.0%
2016	1.0%	14.3%	2.6%	9.6%	40.0%
2017	1.1%	14.5%	2.7%	9.7%	40.4%
საშუალო	1.8%	14.1%	3.2%	9.9%	35.9%

ხარჯავს საზოგადოებრივ წესრიგზე და უშიშროებაზე და დასვენება-კულტურა რელიგიაზე 4.6% და 3.2%, ვიდრე ჯგუფის საშუალო მაჩვენებელია. რაც შეეხება თავდაცვაზე გაწეული დანახარჯები იგი ჯგუფის საშუალოს 0.6%-ით ჩამორჩება, ხოლო გარემოს დაცვა და საბინაო - კომუნალური მეურნეობა ოდნავ მეტი ასიგნებების წილით გამოირჩევიან, ვიდრე ჯგუფის საშუალო მაჩვენებელი.

ხოლო რაც შეეხება იგივე მაჩვენებლების წილებს, ოღონდ ესპანეთის მთლიანი შიდა პროდუქტთან მიმართებაში, იხილეთ ცხრილი 39-40, ყველაზე

ცხრილი N39

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	5.8%	1.1%	1.8%	4.8%	0.9%
2003	5.6%	1.0%	1.8%	4.6%	1.0%
2004	5.1%	1.1%	1.8%	5.3%	0.9%
2005	5.1%	1.1%	1.8%	5.0%	0.9%
2006	5.0%	1.0%	1.8%	5.0%	1.0%
2007	4.9%	1.0%	1.9%	5.3%	1.0%
2008	5.1%	1.0%	2.0%	5.4%	1.0%
2009	5.6%	1.0%	2.1%	5.7%	1.1%
2010	5.6%	1.0%	2.2%	5.8%	1.1%
2011	6.2%	1.0%	2.2%	5.7%	1.0%
2012	6.6%	0.9%	2.0%	8.0%	0.9%
2013	7.2%	1.0%	2.1%	4.6%	0.8%
2014	7.0%	0.9%	2.0%	4.5%	0.9%
2015	6.4%	1.0%	2.0%	4.4%	0.9%
2016	6.1%	1.0%	1.9%	3.9%	0.8%
2017	5.6%	0.9%	1.8%	3.8%	0.9%
საშუალო	5.8%	1.0%	1.9%	5.1%	0.9%


ცხრილი N40

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.0%	5.1%	1.3%	4.0%	12.7%
2003	1.0%	5.2%	1.3%	4.0%	12.7%
2004	0.8%	5.4%	1.4%	4.1%	12.8%
2005	0.8%	5.6%	1.4%	3.9%	12.7%
2006	0.8%	5.6%	1.5%	4.0%	12.7%
2007	0.9%	5.7%	1.6%	4.0%	12.8%
2008	1.1%	6.0%	1.6%	4.2%	13.8%
2009	1.3%	6.8%	1.6%	4.6%	16.0%
2010	0.7%	6.6%	1.7%	4.5%	16.6%
2011	0.6%	6.5%	1.5%	4.4%	16.8%
2012	0.5%	6.2%	1.2%	4.2%	17.6%
2013	0.5%	6.2%	1.2%	4.1%	18.0%
2014	0.5%	6.1%	1.2%	4.1%	17.7%
2015	0.5%	6.1%	1.2%	4.1%	17.1%
2016	0.4%	6.1%	1.1%	4.0%	16.9%
2017	0.4%	6.0%	1.1%	4.0%	16.6%
საშუალო	0.7%	5.9%	1.4%	4.1%	15.2%

დიდი პროცენტული მაჩვენებლებით სოციალური დაცვა და ჯანმრთელობის დაცვა არიან წარმოდგენილი საშუალოდ 15.2%-ით და 5.9%-ით, რაც ასევე ჩამორჩება ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს. რაც შეეხება სიდიდით მესამე კრიტერიუმს საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას, იგი 5.8%-იანი მაჩვენებლით 0.6%-ით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო ნიშნულს. განსხვავებული ტენდენცია ფიქსირდება ეკონომიკურ საქმიანობის ცვლადთან მიმართებით, სადაც თითქმის ერთ პროცენტთან უპირატესობა ფიქსირდება. მსგავსი თითქმის ერთ პროცენტთან განსხვავება ფიქსირდება განათლების ცვლადთან მიმართებით, ოღონდ საპირისპირო ნაკლებობის კუთხით. რაც შეეხება დანარჩენ ხუთ ცვლადს მათი საშუალო მაჩვენებლები ინდივიდუალურად ნაკლებია 2%-ზე.

სწორედ გრაფიკი 7 წარმოგვიდგენს შეჯამების კრებულს და გვიჩვენებს, რომ ესპანეთის მთავრობა გაცილებით ნაკლებად ინტერვენციულია ვიდრე ჯგუფის საშუალო დანახარჯობრივი მაჩვენებლები.

გრაფიკი N7



კვლევაში მონაწილე დანარჩენი მაკროეკონომიკური პარამეტრები მკაფიოდ არიან გამოხატული ცხრილი 41-42, რომლებიც გვიჩვენებენ რომ საკმაოდ დიდი და მძლავრი პარამეტრი 56.7%-ით არის საოჯახო მეურნეობების დანახარჯები, რომელიც 2.2%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს და მიგვითითებს ესპანელი ხალხის მხარჯველი სოციუმის მახასიათებელზე. შემდგომი მნიშვნელოვან ცვლად საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს, თუმცა დეტალური ანალიზი გვიჩვენებს რომ არცთუ სახარბიელო სიტუაციაა ამ კუთხით. რომ არაფერი ვთქვათ მუდმივ ესპანეთის მთავრობის დეფიციტურ ხარჯვაზე საშუალოდ 4.1%-იანი უარყოფითი სალდოთი, ესპანეთის მონაცემები 6.2%-ით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო მაჩვენებელზე. ასევე არასახარბიელო სიტუაცია ფიქსირდება ექსპორტ-იმპორტის 1.1%-იან უარყოფით სალდოში, და მთლიანობაში ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებთან 10.3%-ით და 6.6%-ით ნაკლები მაჩვენებლებით. საკმაოდ იმედის მომცემი სურათი ფიქსირდება თითქმის იდენტური მაჩვენებლების მქონე მთლიანი კაპიტალის ფორმირებასა და წარმოების მაჩვენებლების მიერ, რომლებიც 3.7%-იან და 1.5%-იანი მეტობით გამო-

ცხრილი N41

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	57.6%	26.9%	26.5%	28.5%	38.2%
2003	56.8%	27.8%	25.4%	27.7%	37.9%
2004	57.1%	28.8%	25.2%	29.0%	38.7%
2005	56.8%	30.0%	24.7%	29.7%	39.5%
2006	56.4%	31.3%	24.9%	30.8%	40.5%
2007	56.1%	31.3%	25.7%	31.7%	41.0%
2008	55.8%	29.6%	25.3%	30.4%	36.7%
2009	55.1%	24.6%	22.7%	23.8%	34.8%
2010	56.2%	23.5%	25.5%	26.8%	36.2%
2011	56.8%	21.9%	28.9%	29.2%	36.2%
2012	57.8%	20.0%	30.7%	29.2%	37.6%
2013	57.3%	18.7%	32.2%	29.0%	38.6%
2014	57.6%	19.5%	32.7%	30.3%	38.9%
2015	56.8%	20.4%	32.9%	30.6%	38.5%
2016	56.5%	20.4%	33.1%	30.0%	37.7%
2017	56.5%	21.1%	34.3%	31.4%	37.9%
საშუალო	56.7%	24.7%	28.2%	29.3%	38.1%

ცხრილი N42

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანახოვი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	43.1%	27.8%	24.9%	5.6%	3.6%
2003	43.7%	27.5%	25.6%	2.9%	3.1%
2004	44.6%	27.1%	24.9%	1.8%	3.1%
2005	45.7%	27.3%	25.0%	1.5%	3.4%
2006	46.8%	27.1%	25.4%	1.5%	3.6%
2007	47.5%	26.5%	25.3%	1.3%	2.8%
2008	46.7%	26.6%	24.5%	1.3%	4.1%
2009	43.2%	25.4%	23.4%	1.9%	-0.2%
2010	42.2%	23.8%	22.2%	2.2%	2.0%
2011	41.0%	22.9%	21.7%	3.1%	3.0%
2012	39.2%	22.0%	21.5%	3.8%	2.4%
2013	38.2%	21.2%	22.0%	3.4%	1.5%
2014	38.8%	21.1%	21.9%	3.7%	-0.2%
2015	39.9%	21.1%	22.8%	4.5%	-0.6%
2016	41.0%	21.3%	23.6%	5.1%	-0.3%
2017	41.9%	21.9%	24.0%	5.2%	2.0%
საშუალო	42.7%	24.4%	23.7%	3.1%	2.1%

ირჩევან. ჯგუფის საშუალოსთან თითქმის იდენტური 23.7% ნიშნული ფიქსირდება მთლიანი შიდა დანაზოგის შემთხვევაში. რასაც ვერ ვიტყვით მთლიან რეზერვებზე, რომელიც ჯგუფის საშუალოზე 3.8%-ით ნაკლებია. ასევე 3.4%-ით ნაკლებია ჯგუფის საშუალოზე ესპანეთში დასაქმებულთა რაოდენობის წილი მთლიან პოპულაციაში, ხოლო ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი კი 0.5%-ით მეტია ჯგუფის საშუალოზე, აქვე უნდა აღინიშნოს რომ 2014-2016 წლებში ესპანეთში დეფლაციურ მოვლენებს ქონდა ადგილი.

4.1.1.7 ირლანდია

განვლილი ფისკალური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, ირლანდიამ 2010-11 წლებში წარმოადგინა ეკონომიკის სტრუქტურული და ბიუჯეტის საფუძვლიანი რეფორმები. მას შემდეგ მრავალი დამატებითი ინოვაციური მიდგომა იქნა დანერგილი, განსაკუთრებით საპარლამენტო ჩართულობა და ირლანდიის საბიუჯეტო ოფისის ჩამოყალიბება, რაც დიდ წილად 2015 წლის OECD-ის რეკომენდაციას მოიცავდა. დამატებით, ირლანდიის საბიუჯეტო კალენდარმაც განიცადა პირეული ცვლილება “მთლიანი წლის“ მიდგომის დანერგვით. 2011 წელს ჩამოყალიბებული დანახარჯების პერიოდული განხილვის სისტემა, რომელიც შემდგომ გადაიზარდა მუდმივად განხილვად პროცესში. ასევე, ირლანდიას აქვს თანამედროვე ინტეგრირებული სისტემა საბიუჯეტო სახსრების დისტრიბუციის ანალიზისთვის, რაც შინამეურნეობების ტიპებს შემოსავლის დონეებსაც მოიცავს. რაც შეეხება გენდერულ ბიუჯეტს იგი დაწყებით ეტაპზეა (OECD, 2019).

ირლანდიის შემთხვევაშიც, თუ ცხრილ 43-44 გავაანალიზებთ, დავინახავთ რომ საბიუჯეტო დანახარჯებში წამყვანი პოზიცია სოციალურ დაცვას და ჯანმრთელობის დაცვას უკავია 35.5%-ით და 17.5%-ით. მნიშვნელოვანია, მაშინ როცა ჯგუფის საშუალო შედეგთან შედარებით ირლანდია სოციალურ დაცვაზე 4.2%-ით ნაკლებს ხარჯავს, 2.9%-ით მეტი სახ-

ცხრილი N43

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით						
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა	
2002	11.2%	1.3%	4.4%	11.4%	2.4%	
2003	11.1%	1.3%	4.3%	10.9%	2.4%	
2004	11.2%	1.3%	4.3%	9.9%	2.7%	
2005	11.0%	1.1%	4.2%	9.5%	2.6%	
2006	10.6%	1.1%	4.2%	10.0%	2.8%	
2007	9.4%	1.1%	4.2%	10.0%	2.8%	
2008	9.2%	1.1%	4.2%	12.4%	2.6%	
2009	9.8%	0.9%	3.7%	13.7%	2.2%	
2010	8.0%	0.5%	2.6%	38.5%	1.5%	
2011	12.3%	0.9%	3.4%	16.2%	1.6%	
2012	15.3%	0.9%	3.5%	7.5%	1.7%	
2013	15.8%	0.9%	3.5%	7.5%	1.4%	
2014	15.6%	1.1%	3.6%	7.9%	1.4%	
2015	14.1%	1.1%	3.6%	10.6%	1.4%	
კვიპროსის შემთხვევაშიც, მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში, იხილეთ ცხრილი 109-110, სოციალური დაცვის კომპონენტს ყველაზე დიდი წილობრივი ადგილი უჭირავს 29.1%, თუმცა მოცემული 10.8%-ით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო ნიშნულს. აქვე აღნიშვნის ღირსია, რომ მოცემული წილობრივი გადანაწილება მუდმივად მზარდია. შემდეგ, სრულიად განსხვავებული ტენდენციით, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება წარმოგვიდგება 20.8%-ით, რაც ჯგუფის საშუალო მაჩვენებელზე 5.7%-ით მეტია. მესამე და მეოთხე ადგილებს განათლებაზე 15.3%-ი და ეკონომიკური საქმიანობაზე 10%-ი გაწეული დანახარჯობრივი წილები გვევლინებიან, საიდანაც განათლების ცვლადი 3.9%-ით აღემატება, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის საშუალო მაჩვენებელი კი 2.4%-ით ჩამორჩება ჯგუფის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს. კვიპროსის მთავრობა ჯგუფის საშუალოზე გაცილებით, 5.6%-ით ნაკლებს ხარჯავს ჯანმრთელობის კომპონენტზე, რასაც ვერ ვიტყვით

ცხრილი N109

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	21.6%	5.2%	5.0%	12.1%	0.6%
2003	21.9%	4.9%	5.1%	11.6%	0.6%
2004	21.2%	4.4%	5.1%	11.2%	0.7%
2005	21.6%	4.4%	4.9%	10.3%	0.7%
2006	21.6%	4.7%	4.9%	10.1%	0.7%
2007	22.7%	4.3%	5.0%	9.0%	0.7%
2008	21.8%	4.1%	5.0%	9.0%	0.7%
2009	21.9%	4.0%	4.9%	8.3%	0.7%
2010	19.0%	5.0%	5.2%	8.7%	0.7%
2011	20.0%	4.3%	4.8%	8.5%	0.7%
2012	22.7%	4.2%	4.7%	7.2%	0.7%
2013	18.3%	3.8%	5.1%	9.8%	0.6%
2014	17.6%	3.0%	3.6%	23.2%	0.5%
2015	21.7%	3.4%	4.2%	8.5%	0.9%
2016	20.4%	3.9%	4.4%	6.6%	0.7%
2017	19.5%	5.5%	4.5%	6.3%	0.8%
საშუალო	20.8%	4.3%	4.8%	10.0%	0.7%

ცხრილი N110

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	5.8%	7.7%	2.6%	15.0%	24.3%
2003	6.0%	7.6%	2.6%	15.3%	24.3%
2004	5.3%	7.3%	2.5%	15.5%	26.9%
2005	5.3%	7.0%	2.7%	15.0%	28.1%
2006	5.4%	7.3%	2.7%	15.2%	27.4%
2007	6.1%	7.0%	3.1%	15.6%	26.5%
2008	6.4%	7.0%	3.1%	16.4%	26.6%
2009	6.9%	7.0%	2.9%	16.0%	27.4%
2010	6.1%	7.1%	2.7%	16.4%	29.0%
2011	5.8%	7.3%	2.8%	15.9%	29.9%
2012	5.0%	7.1%	2.4%	15.1%	30.9%
2013	4.6%	7.3%	2.2%	16.2%	32.1%
2014	4.5%	5.4%	1.8%	12.3%	28.1%
2015	4.4%	6.3%	2.3%	14.7%	33.5%
2016	3.9%	6.8%	2.3%	15.5%	35.6%
2017	4.2%	6.9%	2.4%	15.3%	34.8%
საშუალო	5.4%	7.0%	2.6%	15.3%	29.1%

საბინაო - კომუნალური მეურნეობის, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროების და თავდაცვის საშუალო მაჩვენებლებზე, რომელზეც 3.9%-ით, 0.2%-ით და 0.7%-ით მეტი სახსრები მიედინება. ჯგუფის საშუალო მაჩვენებლის ზუსტად იდენტურია დასვენება-კულტურა-რელიგიაზე გაწეული ასიგნებების წილი 2.6%-ით. ხოლო ბოლო გარემოს დაცვის კომპონენტი კი თითქმის 0.9%-ით ჩამორჩება საერთო საშუალო ნიშნულს.

განხილული ცვლადების გადანაწილებით კვიპროსის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, კვლავ სოციალური დაცვის წილი ლიდერობს, რომელიც ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს 3.7%-ით ჩამორჩება. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ცვლადი 1.7%-ით აღემატება საშუალო ნიშნულს. განათლების წილი კვიპროსის მთლიან შიდა პროდუქტში 1.1%-ით მეტია, ჯგუფის საშუალო მაჩვენებელზე. ხოლო ეკონომიკური საქმიანობის და ჯანმრთელ-

ცხრილი N111

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით						
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა	
2002	8.0%	1.9%	1.9%	4.5%	0.2%	
2003	8.9%	2.0%	2.1%	4.7%	0.2%	
2004	8.2%	1.7%	2.0%	4.3%	0.3%	
2005	8.5%	1.7%	1.9%	4.0%	0.3%	
2006	8.4%	1.8%	1.9%	3.9%	0.3%	
2007	8.5%	1.6%	1.9%	3.4%	0.3%	
2008	8.4%	1.6%	1.9%	3.5%	0.3%	
2009	9.2%	1.7%	2.1%	3.5%	0.3%	
2010	8.0%	2.1%	2.2%	3.7%	0.3%	
2011	8.5%	1.8%	2.0%	3.6%	0.3%	
2012	9.5%	1.8%	2.0%	3.0%	0.3%	
2013	7.7%	1.6%	2.1%	4.1%	0.2%	
2014	8.6%	1.4%	1.8%	11.3%	0.3%	
2015	8.8%	1.4%	1.7%	3.5%	0.4%	
2016	7.7%	1.5%	1.7%	2.5%	0.3%	
2017	7.3%	2.0%	1.7%	2.4%	0.3%	
საშუალო	8.4%	1.7%	1.9%	4.1%	0.3%	


ცხრილი N112

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	2.1%	2.9%	1.0%	5.5%	9.0%
2003	2.4%	3.1%	1.1%	6.2%	9.8%
2004	2.0%	2.8%	1.0%	6.0%	10.4%
2005	2.1%	2.8%	1.1%	5.9%	11.0%
2006	2.1%	2.8%	1.1%	5.9%	10.6%
2007	2.3%	2.6%	1.2%	5.9%	10.0%
2008	2.4%	2.7%	1.2%	6.3%	10.2%
2009	2.9%	3.0%	1.2%	6.7%	11.5%
2010	2.5%	3.0%	1.2%	6.9%	12.2%
2011	2.4%	3.1%	1.2%	6.7%	12.6%
2012	2.1%	3.0%	1.0%	6.3%	12.9%
2013	1.9%	3.1%	0.9%	6.8%	13.4%
2014	2.2%	2.6%	0.9%	6.0%	13.7%
2015	1.8%	2.6%	0.9%	6.0%	13.6%
2016	1.5%	2.6%	0.9%	5.9%	13.5%
2017	1.6%	2.6%	0.9%	5.7%	13.0%
საშუალო	2.2%	2.8%	1.0%	6.2%	11.7%

ობის დაცვის კომპონენტები 1.4%-ით და 2.8%-ით ჩამორჩებიან ჯგუფის საშუალო შესაბამის ნიშნულებს. ჯგუფის საშუალო ნიშნულზე 1.4%-იანი მეტობით, აღსანიშნავია საბინაო - კომუნალური მეურნეობის წილობრივი გადანაწილება. ხოლო დანარჩენი ცვლადების გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტში, ინდივიდუალურად ორ პროცენტზე ნაკლებია.

მთლიანობაში, კვიპროსის მთავრობა საშუალოდ 4%-ით ნაკლებს ხარჯავს ეკონომიკაში ვიდრე კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელია. თუმცა გრაფიკი 16 გვიჩვენებს, რომ 2014 წელი საკმაოდ ტურბულენტური იყო კვიპროსის მთავრობისთვის ვინაიდან საპირისპირო ტენდენცია ფიქსირდება.

გრაფიკი N19



რაც შეეხება კვლევის დანარჩენ პარამეტრებს, იხილეთ ცხრილი 113-114, საოჯახო მეურნეობების წილი ლიდერობს 64.1%-ით, რაც ჯგუფის საშუალო მაჩვენებელზე 4.8%-ით მეტია. შემდეგ პოზიციას იმპორტი და ექსპორტი იკავებენ დაახლოებით ჯგუფურ მაჩვენებელზე ათ პროცენტის მეტი ნიშნულებით, თუმცა მათ შორის 2.3%-იანი უარყოფითი სალდოთი. მეოთხე პოზიციაზეა საგადასახადო შემოსავლები საშუალოდ 37.3%-ით, რაც 2.6%-ით ნაკლებია ჯგუფის საშუალო მაჩვენებელზე. ასვე ჯგუფის საშუალოსთან მიმართებით ნაკლები პროცენტული გადანაწილებები უფიქსირდებათ მთლიანი კაპიტალის ფორმირების 2.6%-ით, მთლიანი შიდა დანაზოგის 2.7%-ით, წარმოების 11.6%-ით და მთლიანი რეზერვების 3.9%-ით ცვლადებს. დასაქმებულთა წილით მთლიან პოპულაციაში კვიპროსი 4.9%-ით აღემატება, ხოლო ინფლაციის კუთხით კი 1.1%-ით ნაკლებია საშუალო მაჩვენებლებზე.

ცხრილი N113

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	60.7%	20.5%	62.4%	61.2%	32.9%
2003	60.0%	19.7%	57.8%	56.2%	34.6%
2004	60.6%	22.1%	56.9%	57.0%	34.9%
2005	60.7%	22.4%	55.7%	56.2%	37.1%
2006	60.6%	24.6%	53.4%	56.4%	37.7%
2007	63.1%	24.4%	53.3%	58.0%	40.8%
2008	65.9%	28.9%	50.1%	62.9%	39.3%
2009	62.9%	22.9%	48.7%	54.1%	36.7%
2010	64.1%	23.8%	50.2%	57.5%	37.3%
2011	64.3%	18.8%	52.9%	55.7%	36.7%
2012	65.7%	16.1%	53.4%	54.7%	36.4%
2013	66.3%	13.2%	58.6%	57.2%	36.7%
2014	68.5%	12.3%	62.0%	60.3%	39.8%
2015	68.4%	14.2%	64.5%	64.3%	39.3%
2016	67.6%	16.6%	64.5%	65.1%	38.3%
2017	66.9%	20.6%	64.8%	68.3%	39.1%
საშუალო	64.1%	20.1%	56.8%	59.1%	37.3%

ცხრილი N114

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანაზოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	46.5%	17.9%	21.6%	27.3%	2.8%
2003	47.7%	18.0%	21.2%	23.3%	4.0%
2004	48.9%	18.1%	21.9%	23.6%	1.9%
2005	50.0%	17.9%	21.9%	24.0%	2.0%
2006	50.2%	17.8%	21.7%	28.7%	2.2%
2007	51.4%	18.2%	19.6%	26.6%	2.2%
2008	52.0%	17.9%	16.2%	3.7%	4.4%
2009	50.6%	16.0%	17.5%	4.9%	0.2%
2010	49.5%	14.7%	16.6%	4.5%	2.6%
2011	48.3%	12.7%	16.0%	4.3%	3.5%
2012	45.6%	11.4%	14.9%	4.7%	3.1%
2013	42.7%	10.0%	14.6%	3.8%	0.4%
2014	42.3%	9.4%	14.1%	3.9%	-0.3%
2015	43.5%	9.7%	14.4%	4.1%	-1.5%
2016	45.4%	10.3%	16.0%	4.0%	-1.2%
2017	47.0%	11.4%	17.0%	3.9%	0.7%
საშუალო	47.6%	14.5%	17.8%	12.2%	1.7%

4.1.2.4 ლატვია

ლატვიამ, სანამ 2014 წელს გახდებოდა ევროკავშირის და 2016 წელს OECD-ის წევრი ქვეყანა, წინასწარ გაათანამედროვა თავისი საბიუჯეტო პროცესირება ძირფესვიანი რეფორმების გატარებით, როგორცაა: ფისკალური წესების დახვეწა, საშუალოვადიანი ბიუჯეტირება და ფინანსური რისკ მენეჯმენტის აღმოჩენის და ინოვაციური მიდგომების დანერგვა. უახლოეს წარსულში ლატვიამ დიდი ძალისხმევა დაუთმო სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტების დაკავშირებას საბიუჯეტო რესურსებთან. ლატვიის ღია მთავრობის მყარი ტრადიცია ფართოდ აისახება ბიუჯეტის ტრანსპარენტულობის მიდგომებთან, რომელიც მოიცავს აქტიურ საბიუჯეტო კომუნიკაციებს, სოციალური მედიის გამოყენებას, მონაცემთა ბაზების ვიზუალიზაციის ტექნიკის გამოყენებას. 2016 წლიდან ასევე დანერგილი იქნა ეგრეთ წოდებულ „აღმნიშვნელი ბარათი“, რომელიც საბიუჯეტო პოლიტიკის მიზნებს და რესურსებს შორის კავშირს გვიჩვენებს (OECD, 2019).

ლატვიის მთავრობის დანახარჯობრივ პრიორიტეტშიც, იხილეთ ცხრილი 115-116, სოციალური დაცვა ლიდერობს 29.4%-ით და საერთო ჯგუფურ მაჩვენებელს 4.8%-ით ჩამორჩება. თითქმის იდენტური პროცენტული გადანაწილება გვევლინება სიდიდით შემდგომ პოზიციაზე მყოფ განათლების 15.5% და ეკონომიკური საქმიანობის 15.3% ცვლადებზე, რომლებიც 4.6%-ით და 2.9%-ით აღემატებიან ჯგუფის საერთო საშუალო ნიშნულებს. ჯგუფის საშუალო შედეგთან 3.5%-ით და 2.3%-ით ნაკლები ალოკაცია მიემართება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე. თუმცა ლატვიის მთავრობა საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროებაზე და დასვენება-კულტურა-რელიგიაზე, სეგმენტის საშუალოსთან შედარებით 1.2%-ით და 1.5%-ით მეტს მიმართავს. საბინაო-კომუნალური მეურნეობაზე გაწეული ხარჯებიც მნიშვნელოვანია ლატვიის მთავრობისთვის, რაზეც 1.3%-ით მეტს ხარჯავს. რასაც ვერ ვიტყვით თავდაცვის და გარემოს დაცვის ნიშნულებზე.

ცხრილი N115

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	10.9%	3.1%	6.5%	12.6%	0.9%
2003	11.5%	3.2%	6.7%	13.9%	0.9%
2004	12.2%	3.6%	6.7%	13.3%	1.4%
2005	11.1%	3.4%	6.5%	15.0%	2.0%
2006	11.4%	4.0%	7.1%	15.1%	1.8%
2007	11.4%	4.1%	7.3%	14.5%	2.6%
2008	10.0%	3.9%	5.8%	17.7%	2.2%
2009	10.5%	2.7%	4.7%	18.0%	0.4%
2010	10.6%	2.3%	4.2%	21.3%	0.7%
2011	11.7%	2.4%	4.5%	17.3%	1.7%
2012	12.6%	2.4%	4.7%	15.8%	1.9%
2013	12.8%	2.4%	5.1%	15.1%	1.8%
2014	13.0%	2.3%	5.3%	14.8%	1.8%
2015	13.5%	2.7%	5.2%	13.6%	1.7%
2016	12.0%	4.4%	5.8%	12.8%	1.5%
2017	10.7%	4.4%	6.2%	14.7%	1.5%
საშუალო	11.6%	3.2%	5.8%	15.3%	1.5%

ცხრილი N116

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	3.8%	10.3%	3.8%	16.2%	32.0%
2003	3.6%	9.6%	3.5%	15.9%	31.1%
2004	3.5%	9.7%	3.6%	17.1%	29.1%
2005	3.5%	11.9%	3.8%	15.5%	27.2%
2006	3.9%	11.8%	4.5%	15.7%	24.6%
2007	3.6%	11.9%	5.0%	16.4%	23.4%
2008	3.2%	11.5%	4.8%	16.8%	24.1%
2009	2.4%	10.4%	4.0%	15.2%	31.7%
2010	3.3%	9.2%	3.6%	13.7%	31.2%
2011	3.2%	10.2%	4.3%	14.5%	30.2%
2012	3.2%	10.2%	4.0%	15.1%	30.0%
2013	3.2%	9.7%	4.2%	15.2%	30.6%
2014	2.9%	10.0%	4.4%	15.5%	30.0%
2015	2.6%	9.8%	4.2%	15.5%	31.1%
2016	2.4%	10.1%	3.9%	14.8%	32.4%
2017	2.9%	9.3%	4.4%	15.2%	30.8%
საშუალო	3.2%	10.3%	4.1%	15.5%	29.4%

რაც შეეხება იგივე პარამეტრების, იხილეთ ცხრილი 117-118, წილობრივ გადანაწილებას ლატვიის მთლიან შიდა პროდუქტთან, კვლავ სოციალური დაცვა ლიდერობს 11.1%-ით, რაც მთლიანი ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს ზუსტად ოთხი პროცენტით ჩამორჩება. მსგავსი 5.8%-იანი წილობრივი გადანაწილებებით განათლების და ეკონომიკური საქმიანობის ნიშნულები მცირედით აღემატებიან სეგმენტის საშუალო მაჩვენებლებს. ჯგუფის საერთო მაჩვენებლებს ასევე ჩამორჩებიან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება 2.3%-ით და ჯანმრთელობის დაცვა 1.7%-ით. ხოლო რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფო დანახარჯების საშუალო წილობრივ გადანაწილებებს, მთლიან შიდა პროდუქტში, 2%-ის ფარგლებში ვარიირებენ.

ცხრილი N117


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	3.8%	1.1%	2.3%	4.4%	0.3%
2003	3.8%	1.1%	2.2%	4.6%	0.3%
2004	4.2%	1.2%	2.3%	4.6%	0.5%
2005	3.8%	1.2%	2.2%	5.1%	0.7%
2006	4.1%	1.4%	2.6%	5.5%	0.7%
2007	3.9%	1.4%	2.5%	4.9%	0.9%
2008	3.8%	1.5%	2.2%	6.7%	0.8%
2009	4.6%	1.2%	2.1%	8.0%	0.2%
2010	4.8%	1.1%	1.9%	9.7%	0.3%
2011	4.7%	1.0%	1.8%	7.0%	0.7%
2012	4.8%	0.9%	1.8%	6.0%	0.7%
2013	4.8%	0.9%	1.9%	5.7%	0.7%
2014	4.9%	0.9%	2.0%	5.6%	0.7%
2015	5.1%	1.0%	2.0%	5.2%	0.7%
2016	4.4%	1.6%	2.2%	4.7%	0.5%
2017	4.1%	1.7%	2.3%	5.5%	0.6%
საშუალო	4.4%	1.2%	2.1%	5.8%	0.6%

ცხრილი N118

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.3%	3.6%	1.3%	5.7%	11.2%
2003	1.2%	3.2%	1.2%	5.3%	10.4%
2004	1.2%	3.3%	1.2%	5.9%	10.1%
2005	1.2%	4.1%	1.3%	5.3%	9.3%
2006	1.4%	4.3%	1.6%	5.7%	8.9%
2007	1.2%	4.0%	1.7%	5.6%	7.9%
2008	1.2%	4.3%	1.8%	6.3%	9.1%
2009	1.1%	4.6%	1.8%	6.7%	14.0%
2010	1.5%	4.2%	1.6%	6.2%	14.2%
2011	1.3%	4.1%	1.7%	5.9%	12.2%
2012	1.2%	3.9%	1.5%	5.7%	11.4%
2013	1.2%	3.7%	1.6%	5.7%	11.5%
2014	1.1%	3.8%	1.7%	5.9%	11.4%
2015	1.0%	3.8%	1.6%	5.9%	11.9%
2016	0.9%	3.7%	1.4%	5.5%	12.0%
2017	1.1%	3.5%	1.7%	5.8%	11.7%
საშუალო	1.2%	3.9%	1.6%	5.8%	11.1%

ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულება 17-იც ნათლად გვიჩვენებს, რომ ლატვიის მთავრობაც საშუალოდ 6.7%-ით ნაკლებს ხარჯავს, ვიდრე ჯგუფის საშუალო მაჩვენებელია. ცოტა გადახრები პოსტ ფინანსური კრიზისის პერიოდს ეხება, თუმცა მისი ფაქტორების გაუვნებელყოფის შემდგომ ისევ ჩვეულ რეჟიმს უბრუნდება.

გრაფიკი N20



კვლევაში მონაწილე დანარჩენი ლატვიის მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივ გადანაწილებაში, იხილეთ ცხრილი 119-120, საოჯახო მეურნეობების დანახარჯები ლიდერობს 60.2%-ით, რაც ოდნავ უსწრებს ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. შემდეგ პოზიციას იმპორტი და ექსპორტი იკავებენ დაახლოებით ჯგუფურ მაჩვენებლებზე შვიდ და სამ პროცენტიათი მეტი ნიშნულებით, თუმცა მათ შორის საკმაოდ დიდი 7.7%-იანი უარყოფითი სალდოთი. მეოთხე პოზიციაზე საგადასახადო შემოსავლები გვევლინება საშუალოდ 35.4%-ით, რაც მთლიანი ჯგუფის მაჩვენებელს 4.7%-ით ჩამორჩება, ხოლო საბიუჯეტო დანახარჯებთან მიმართებით კვლევის პერიოდში, 2.4%-იან დეფიციტურ ხარჯვას აქვს ადგილი. შემდეგი მაკროეკონომიკური ცვლადი მთლიანი კაპიტალის ფორმირება 7.2%-ით აღემატება საერთო ნიშნულს. რაც შეეხება წარმოების ცვლადს იგი 5.3%-ით ჩამორჩება საერთო ნიშნულს. თითქმის იდენტურია მთლიანი შიდა დანაზოგის ნიშნული ჯგუფის საერთოსი. ხოლო მთლიანი რეზერვების 2.2%-ით აღემატება საერთო მაჩვენებელს. მასიური 15.6%-იანი ნიშნულით ჩამორჩება სეგმენტის საშუალოს, დასაქმებულთა რაოდენობის წილობრივი გადანაწილება მთლიან პოპულაციაში, ხოლო ინფლაციური პროცესები ლატვიის ქვეყანაში ჯგუფის საშუალოსთან შედარებით 1.1%-ით მაღალია.

ცხრილი N119

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	61.3%	28.2%	36.6%	46.7%	32.8%
2003	61.1%	30.2%	36.1%	48.7%	31.9%
2004	61.5%	33.0%	39.1%	54.6%	33.8%
2005	60.2%	35.1%	43.2%	57.7%	33.8%
2006	63.0%	39.2%	40.0%	60.6%	35.5%
2007	58.9%	41.5%	38.5%	57.5%	33.5%
2008	57.1%	35.1%	39.5%	52.5%	33.4%
2009	59.5%	22.0%	42.6%	44.2%	35.0%
2010	62.7%	19.3%	53.7%	55.1%	36.8%
2011	60.5%	25.2%	57.8%	62.8%	36.2%
2012	59.7%	26.2%	61.3%	65.8%	36.8%
2013	60.5%	24.3%	60.3%	63.9%	36.6%
2014	60.0%	22.7%	60.7%	62.2%	36.6%
2015	59.2%	22.2%	60.4%	60.9%	36.9%
2016	58.9%	20.7%	60.0%	58.8%	37.0%
2017	58.6%	22.2%	61.1%	61.0%	37.2%
საშუალო	60.2%	27.9%	49.4%	57.1%	35.2%

ცხრილი N120

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანახოვი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	41.0%	22.7%	18.0%	13.5%	2.0%
2003	41.7%	21.4%	17.6%	12.7%	2.9%
2004	42.2%	21.6%	17.5%	13.8%	6.2%
2005	43.1%	20.3%	20.7%	14.0%	6.9%
2006	46.0%	20.9%	18.6%	20.5%	6.6%
2007	48.2%	21.7%	22.5%	18.2%	10.1%
2008	48.1%	21.8%	22.2%	14.9%	15.3%
2009	41.8%	21.1%	20.4%	26.3%	3.3%
2010	39.8%	20.8%	17.8%	32.5%	-1.2%
2011	41.3%	21.0%	20.2%	22.7%	4.2%
2012	42.5%	21.0%	21.7%	26.4%	2.3%
2013	43.9%	20.4%	20.7%	26.0%	0.0%
2014	43.8%	19.7%	21.2%	10.5%	0.7%
2015	44.8%	19.6%	21.7%	12.9%	0.2%
2016	45.0%	18.8%	21.9%	12.7%	0.1%
2017	45.4%	19.7%	22.3%	14.8%	2.9%
საშუალო	43.7%	20.8%	20.3%	18.3%	3.9%

4.1.2.5 ლიტვა

ლიტვაში ბიუჯეტის ფორმულირება ეფექტური თანამედროვე პრაქტიკაა და როგორც იკვეთება გადაწყვეტილებები შესაბამის დონეზე კეთდება პროგრამებზე და შესრულებაზე ყურადღების გამახვილებით. სისტემა ზოგადად გამჭვირვალე ინფორმაციას ქმნის, რომელის იმპლემენტაციაც ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშებით ხორციელდება. არსებული რეფორმები, როგორც ჩანს, აძლიერებს პოლიტიკის შინაარსს და ბიუჯეტის ფოკუსირებას და აგრეთვე აძლევს მეტ კონტროლს მთავრობის მინისტრებს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ სისტემა არ იყოს ძალიან პროცესირებაზე ორიენტირებული და არ იქონიოს მავნე გავლენა, ამჟამინდელი სისტემის ზემოდან ქვემოთ მიდგომის ბიუჯეტირების ელემენტებზე (Hawkesworth et. al. 2010).

ლიტვის სახელმწიფოსთვის საბიუჯეტო პრიორიტეტებს, იხილეთ ცხრილი 121-122, სოციალური დაცვა 31,6%-ით და ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენენ, თუმცა პირველ შემთხვევაში თუ საშუალო ნიშნული ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს 2.6%-ით ჩამოუვარდება, მეორე შემთხვევაში ნიშნული 2.8%-ით აღემატება. ასევე დიდი ყურადღება ექცევა განათლების დონეს და მისი მაჩვენებელი ჯგუფის საერთო მაჩვენებელზე 4.4%-ით მეტია. მცირედით საპირისპირო სიტუაცია ფიქსირდება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების და ეკონომიკური ცვლადების მიმართებით, სადაც ნიშნულები ჯგუფის საერთო მაჩვენებლებს 2.8%-ით და 2.4%-ით ჩამორჩებიან. თითქმის იდენტური მაჩვენებლები ფიქსირდება საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროების, თავდაცვის, დასვენება-კულტურა-რელიგიის და გარემოს დაცვის პროცენტული წილების გადანაწილების მიმართულებით. მაშინ როცა ლიტვის მთავრობა საბინაო - კომუნალური მეურნეობის მიმართულებით 1%-ით ნაკლებ დაფინანსებას მიმართავს.

ცხრილი N121

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	12.7%	4.2%	5.4%	12.1%	0.3%
2003	12.9%	4.2%	5.5%	11.5%	0.3%
2004	14.7%	4.1%	5.5%	12.4%	1.2%
2005	14.9%	4.2%	5.2%	11.2%	1.7%
2006	12.4%	4.7%	5.3%	12.1%	2.2%
2007	11.5%	5.2%	4.8%	11.8%	2.5%
2008	10.4%	3.7%	4.9%	12.1%	2.2%
2009	9.9%	3.0%	4.3%	8.8%	2.6%
2010	10.8%	2.8%	4.5%	10.6%	3.2%
2011	11.2%	2.4%	4.5%	18.1%	1.7%
2012	12.4%	2.8%	5.0%	9.0%	2.2%
2013	14.9%	2.7%	4.7%	9.7%	1.3%
2014	13.5%	2.9%	4.8%	9.2%	1.6%
2015	12.4%	3.8%	4.7%	10.2%	1.5%
2016	11.9%	4.6%	4.3%	8.9%	1.4%
2017	10.6%	5.1%	4.5%	8.4%	1.3%
საშუალო	12.3%	3.8%	4.9%	11.0%	1.7%

ცხრილი N122

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.2%	14.4%	2.6%	17.2%	29.9%
2003	1.0%	14.9%	2.5%	17.0%	30.2%
2004	0.8%	12.1%	2.3%	17.0%	29.9%
2005	0.9%	14.5%	2.6%	15.9%	28.8%
2006	0.9%	15.5%	2.9%	15.6%	28.5%
2007	0.8%	14.9%	2.9%	15.1%	30.4%
2008	1.0%	14.7%	2.9%	16.1%	31.9%
2009	1.1%	14.9%	2.7%	16.1%	36.6%
2010	0.8%	16.4%	2.3%	15.2%	33.4%
2011	0.7%	15.6%	2.2%	14.3%	29.3%
2012	0.7%	16.3%	2.3%	16.1%	33.1%
2013	0.7%	15.9%	2.3%	15.8%	32.0%
2014	1.0%	15.9%	2.6%	15.5%	33.0%
2015	0.9%	16.5%	2.7%	15.5%	31.8%
2016	1.1%	17.0%	3.0%	15.1%	32.8%
2017	1.3%	17.1%	3.2%	14.8%	33.9%
საშუალო	0.9%	15.4%	2.6%	15.8%	31.6%

მთლიან შიდა პროდუქტთან გადანაწილების კუთხითაც, იხილეთ ცხრილი 123-124, სოციალური დაცვა ლიდერობს 11.5%-ით, რაც საკმაოდ ჩამორჩება ჯგუფის საშუალო ნიშნულს 3.6%-ით. შემდეგი თითქმის იდენტური გადანაწილებით განათლება და ჯანმრთელობის დაცვა წარმოგვიდგებიან. ჯგუფის საშუალო ნიშნულებს 2.2%-ით და 1.5%-ით ჩამორჩებიან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების და ეკონომიკური საქმიანობის წილობრივი დანახარჯები. ხოლო რაც შეეხება დანარჩენი ხუთი სახელმწიფო დანახარჯების საშუალო წილობრივ გადანაწილებებს, ისინი ინდივიდუალურად 2%-იან ნიშნულებში გვევლინებიან.

ცხრილი N123


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	4.5%	1.5%	1.9%	4.2%	0.1%
2003	4.3%	1.4%	1.9%	3.9%	0.1%
2004	5.0%	1.4%	1.9%	4.2%	0.4%
2005	5.1%	1.4%	1.8%	3.8%	0.6%
2006	4.2%	1.6%	1.8%	4.1%	0.8%
2007	4.0%	1.8%	1.7%	4.2%	0.9%
2008	4.0%	1.4%	1.9%	4.6%	0.8%
2009	4.4%	1.4%	1.9%	3.9%	1.2%
2010	4.6%	1.2%	1.9%	4.5%	1.3%
2011	4.7%	1.0%	1.9%	7.7%	0.7%
2012	4.5%	1.0%	1.8%	3.3%	0.8%
2013	5.3%	1.0%	1.7%	3.4%	0.5%
2014	4.7%	1.0%	1.7%	3.2%	0.6%
2015	4.3%	1.3%	1.6%	3.5%	0.5%
2016	4.0%	1.6%	1.5%	3.0%	0.5%
2017	3.5%	1.7%	1.5%	2.8%	0.4%
საშუალო	4.5%	1.4%	1.8%	4.0%	0.6%

ცხრილი N124

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	0.4%	5.1%	0.9%	6.0%	10.5%
2003	0.3%	5.0%	0.8%	5.7%	10.1%
2004	0.3%	4.1%	0.8%	5.8%	10.2%
2005	0.3%	4.9%	0.9%	5.4%	9.8%
2006	0.3%	5.3%	1.0%	5.4%	9.8%
2007	0.3%	5.2%	1.0%	5.3%	10.7%
2008	0.4%	5.6%	1.1%	6.1%	12.1%
2009	0.5%	6.7%	1.2%	7.2%	16.4%
2010	0.3%	6.9%	1.0%	6.4%	14.1%
2011	0.3%	6.6%	1.0%	6.1%	12.4%
2012	0.3%	5.9%	0.8%	5.8%	12.0%
2013	0.3%	5.6%	0.8%	5.6%	11.4%
2014	0.3%	5.5%	0.9%	5.4%	11.4%
2015	0.3%	5.8%	0.9%	5.4%	11.1%
2016	0.4%	5.8%	1.0%	5.1%	11.2%
2017	0.4%	5.7%	1.1%	4.9%	11.2%
საშუალო	0.3%	5.6%	1.0%	5.7%	11.5%

გრაფიკი 21-ის ანალიზიც თვალნათლივ გვიჩვენებს ლიტვის სახელმწიფო დანახარჯების მიმდინარეობის ტენდენციას წლების მიხედვით, რომელიც საშუალოდ 7.9%-ით ჩამორჩება კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს.

გრაფიკი N21



ცხრილი N125

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	64.2%	20.6%	47.3%	53.0%	33.3%
2003	64.2%	21.8%	46.2%	52.0%	32.3%
2004	64.9%	22.7%	47.3%	54.4%	32.6%
2005	56.2%	21.0%	47.0%	53.3%	29.4%
2006	64.2%	26.7%	55.6%	65.9%	34.0%
2007	63.3%	32.1%	50.4%	63.5%	34.4%
2008	64.8%	27.9%	57.1%	68.7%	35.0%
2009	67.9%	12.4%	51.9%	53.6%	35.8%
2010	63.8%	18.0%	65.3%	67.2%	35.4%
2011	62.3%	21.7%	75.0%	77.5%	33.5%
2012	62.0%	19.4%	81.6%	80.8%	33.0%
2013	62.3%	19.5%	84.1%	82.8%	32.9%
2014	62.0%	19.0%	81.1%	79.0%	34.0%
2015	62.4%	20.6%	75.8%	76.3%	34.6%
2016	63.8%	17.7%	74.1%	72.8%	34.4%
2017	62.7%	17.9%	80.9%	78.1%	33.6%
საშუალო	63.2%	21.2%	63.8%	67.4%	33.6%

ცხრილი N126

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანახოვი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	40.4%	26.2%	15.0%	16.5%	0.3%
2003	41.5%	27.8%	16.0%	17.9%	-1.1%
2004	41.5%	29.6%	15.6%	15.7%	1.2%
2005	42.3%	25.8%	14.7%	12.9%	2.7%
2006	43.0%	30.0%	16.5%	18.8%	3.8%
2007	44.5%	29.6%	19.0%	19.1%	5.8%
2008	44.4%	29.2%	16.3%	13.7%	11.1%
2009	41.3%	25.1%	10.7%	17.6%	4.2%
2010	39.7%	26.1%	16.1%	17.9%	1.2%
2011	41.0%	28.0%	19.2%	18.9%	4.1%
2012	42.4%	27.8%	20.2%	19.8%	3.2%
2013	43.5%	27.3%	20.7%	17.4%	1.2%
2014	44.8%	27.5%	21.1%	18.4%	0.2%
2015	45.7%	26.6%	20.1%	4.1%	-0.7%
2016	47.1%	25.8%	19.0%	6.1%	0.7%
2017	47.5%	26.0%	20.6%	9.2%	3.7%
საშუალო	43.2%	27.4%	17.6%	15.2%	2.6%

საკმაოდ საინტერესო ინფორმაციის ამოკითხვა შეგვიძლია, იხილეთ ცხრილი 125-126, დანარჩენი მაკროეკონომიკური ცვლადების ანალიზისას. შესაბამისად, მიუხედავად საოჯახო მეურნეობების დანახარჯების საკმაოდ მაღალი 63.2%-იან ნიშნულისა, რომელიც ამავე დროს თითქმის ოთხი პროცენტით აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს. მოწინავე პოზიციებზე იმპორტი 67.4% და ექსპორტი 63.8% წარმოგვიდგებიან, რაც ორივე შემთხვევაში თითქმის ოც პროცენტის მეტობის გამომსახველია. შემდეგ პოზიციაზე საგადასახადო შემოსავლები წარმოგვიდგება ჯგუფის საშუალოზე 6.3%-ით ნაკლები. სეგმენტის საშუალოზე 1.3%-ით მეტს აფიქსირებს წარმოების ნიშნული. ხოლო მთლიანი კაპიტალის ფორმირება, მთლიანი შიდა დანახოგი და მთლიანი რეზერვები მცირედით ჩამორჩებიან ჯგუფის საშუალო ნიშნულებს.

საკმაოდ პოზიტიური შედეგები აქვთ დასაქმებულთა რაოდენობას მთლიან პოპულაციაში, რომელიც მცირედით მაგრამ მაინც აღემატება საშუალო ნიშნულს და ინფლაციას რომელიც ასევე მცირედით ჩამორჩება საერთო ნიშნულს.

4.1.2.6 მალტა

მალტის მთავრობის მთავარ პრიორიტეტსაც, იხილეთ ცხრილი 127-128, სოციალური დაცვის ინდიკატორი წარმოადგენს 31.8%-ით, რაც ჯგუფურ საშუალო ნიშნულს 2.4%-ით ჩამორჩება. სიდიდით მეორე დანახარჯობრივ კატეგორიას კი 16.8%-ით საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება წარმოადგენს, რაც ჯგუფის საშუალოზე 1.7%-ით მეტია. შემდეგ კომპონენტებს ჯანმრთელობის დაცვას და განათლებას თითქმის იდენტური პროცენტული გადანაწილება უკავიათ საერთო ხარჯებში და ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებსაც 1%-ით და 1.9%-ით აღემატებიან. საერთო ხარჯებში ასევე მნიშვნელოვანი წილი უკავია ეკონომიკურ საქმიანობას 12.7%-ით, რაც ოდნავ აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს. მალტის მთავრობა საშუალოსთან შედა-

ცხრილი N127

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	17.0%	1.7%	3.7%	12.8%	2.1%
2003	14.4%	1.8%	3.5%	19.7%	3.0%
2004	18.1%	2.2%	3.7%	11.6%	3.2%
2005	16.6%	2.0%	3.5%	13.1%	3.4%
2006	17.1%	1.6%	3.3%	12.8%	3.6%
2007	16.9%	1.5%	3.4%	12.8%	3.9%
2008	17.2%	1.5%	3.3%	15.6%	3.6%
2009	18.7%	2.1%	3.5%	10.5%	3.7%
2010	16.6%	1.9%	3.4%	10.8%	4.7%
2011	17.5%	2.0%	3.4%	10.7%	3.1%
2012	16.6%	1.6%	3.2%	11.3%	3.1%
2013	16.7%	1.5%	3.3%	12.1%	3.3%
2014	16.6%	1.8%	3.2%	12.4%	3.6%
2015	16.1%	2.0%	3.0%	12.5%	4.9%
2016	16.5%	1.6%	3.1%	12.0%	2.6%
2017	15.9%	1.4%	3.1%	12.7%	2.6%
საშუალო	16.8%	1.8%	3.3%	12.7%	3.4%

ცხრილი N128

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	2.2%	13.1%	1.5%	14.1%	31.7%
2003	2.0%	12.3%	1.3%	13.0%	29.0%
2004	2.0%	13.4%	1.6%	13.1%	31.2%
2005	1.8%	14.2%	1.5%	12.8%	31.1%
2006	1.8%	14.3%	1.3%	12.9%	31.3%
2007	1.6%	13.3%	1.3%	12.7%	32.5%
2008	1.7%	12.4%	1.5%	12.1%	31.2%
2009	0.8%	12.3%	1.7%	12.8%	33.9%
2010	0.8%	12.8%	1.9%	13.7%	33.4%
2011	0.8%	13.1%	2.1%	13.9%	33.5%
2012	1.0%	12.3%	2.1%	13.0%	31.3%
2013	0.8%	13.6%	2.1%	13.8%	32.9%
2014	0.8%	13.9%	2.5%	13.4%	31.8%
2015	0.9%	14.1%	2.9%	13.3%	30.2%
2016	0.7%	14.7%	2.6%	14.3%	31.8%
2017	0.6%	15.1%	3.0%	13.9%	31.7%
საშუალო	1.3%	13.4%	1.9%	13.3%	31.8%

რებით თითქმის ჯგუფის საშუალოზე ორჯერ მეტ სახსრებს მიმართავს გარემოს დაცვაზე. მაშინ როცა თავდაცვაზე ჯგუფის საშუალოზე ზუსტად ორჯერ ნაკლებს. ასევე საშუალოსთან შედარებით ნაკლები სახსრები მიედინება საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროებაზე 1.3%-ით, დასვენება-კულტურა-რელიგიაზე 0.7%-ით და საბინაო - კომუნალური მეურნეობა 0.6%-ით.

რაც შეეხება იგივე კომპონენტების გადანაწილებას წილობრივად მალტის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, იხილეთ ცხრილი 129-130, კვლავ სოციალური დაცვის კომპონენტი ლიდერობს 13.1%-ით, თუმცა ჯგუფის საშუალოზე ზუსტად ორი პროცენტით ნაკლები. ჯგუფის საშუალოსთან თითქმის იდენტური გადანაწილება უფიქსირდებათ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას და ეკონომიკურ საქმიანობას. ხოლო დანარჩენი ხუთი კომპონენტის წილი ნაკლებ-

ცხრილი N129

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	7.0%	0.7%	1.5%	5.3%	0.9%
2003	6.5%	0.8%	1.6%	8.9%	1.3%
2004	7.7%	0.9%	1.6%	4.9%	1.3%
2005	7.0%	0.8%	1.5%	5.5%	1.4%
2006	7.2%	0.7%	1.4%	5.4%	1.5%
2007	6.9%	0.6%	1.4%	5.3%	1.6%
2008	7.3%	0.6%	1.4%	6.7%	1.5%
2009	7.9%	0.9%	1.5%	4.4%	1.6%
2010	6.8%	0.8%	1.4%	4.4%	1.9%
2011	7.2%	0.8%	1.4%	4.4%	1.3%
2012	7.4%	0.7%	1.4%	5.1%	1.4%
2013	7.0%	0.6%	1.4%	5.1%	1.4%
2014	6.8%	0.7%	1.3%	5.1%	1.5%
2015	6.4%	0.8%	1.2%	4.9%	1.9%
2016	6.0%	0.6%	1.1%	4.4%	1.0%
2017	5.7%	0.5%	1.1%	4.5%	0.9%
საშუალო	6.9%	0.7%	1.4%	5.3%	1.4%


ცხრილი N130

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	0.9%	5.4%	0.6%	5.8%	13.1%
2003	0.9%	5.5%	0.6%	5.9%	13.1%
2004	0.8%	5.7%	0.7%	5.5%	13.2%
2005	0.8%	6.0%	0.6%	5.4%	13.2%
2006	0.8%	6.0%	0.5%	5.5%	13.3%
2007	0.6%	5.5%	0.5%	5.2%	13.4%
2008	0.7%	5.3%	0.6%	5.2%	13.3%
2009	0.3%	5.1%	0.7%	5.4%	14.2%
2010	0.3%	5.3%	0.8%	5.6%	13.7%
2011	0.3%	5.4%	0.9%	5.7%	13.8%
2012	0.4%	5.5%	0.9%	5.8%	14.0%
2013	0.3%	5.7%	0.9%	5.8%	13.8%
2014	0.3%	5.7%	1.0%	5.5%	13.1%
2015	0.4%	5.6%	1.2%	5.3%	11.9%
2016	0.3%	5.4%	1.0%	5.2%	11.6%
2017	0.2%	5.4%	1.1%	4.9%	11.3%
საშუალო	0.5%	5.5%	0.8%	5.5%	13.1%

ია 1.5%-ზე და მცირედით ჩამორჩებიან ჯგუფის საშუალო ნიშნულებს.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი 22 ნათლად გვიჩვენებს, რომ 2003 წლის გარდა მალტის მთავრობის დანახარჯები საშუალოდ 2.1%-ით ჩამორჩება მთლიანი ჯგუფის საშუალო დანახარჯს და რაც მთავარია ორივე კომპონენტი დაღმავალი ტენდენციით გამოირჩევიან.

გრაფიკი N22



ასევე საინტერესო მიმართულებები იკვეთება დანარჩენი მაკროეკონომიკური ცვლადების ანალიზისას, იხილეთ ცხრილი 131-132, სადაც თუ დავაკვირდებით შთამბეჭდავი ადგილი უკავია ექსპორტს და იმპორტს მთლიან შიდა პროდუქტთან 138.6%-იან და 134.5%-იანი ნიშნულებით, სადაც ექსპორტი არამარტო 4.1%-იან დადებით ბალანსს აფიქსირებს, არამედ ჯგუფის საშუალო ნიშნულებს, ორივე ცვლადთან მიმართებით თითქმის სამჯერ აღემატება. შემდეგ პოზიციაზე 55.4%-ით საოჯახო მეურნეობების დანახარჯი წარმოგვიდგება, რომელიც საერთო მაჩვენებელს 3.9%-ით ჩამორჩება. ასევე 0.6 პროცენტით ჩამორჩება საგადასახადო შემოსავლების საშუალო წილი და მთლიანობაში, თუ არ გავითვალისწინებთ ბოლო ორი წლის ბიუჯეტის პროფიციტული ხარჯვის მაჩვენებლებს, საშუალოდ მალტის მთავრობა კვლევის პერიოდში 2.7%-იანი დეფიციტური ხარჯვა უფიქსირდება. მთლიანი კაპიტალის ფორმირებით მალტა ჯგუფის საშუალოს 1.7%-ით ჩამორჩება. ასევე

ცხრილი N131

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	59.4%	15.7%	111.6%	107.2%	36.0%
2003	59.6%	19.1%	107.7%	106.9%	36.2%
2004	61.5%	19.1%	103.5%	104.8%	37.9%
2005	61.3%	21.3%	104.4%	106.8%	39.6%
2006	61.8%	21.3%	123.5%	126.8%	39.8%
2007	58.9%	21.0%	129.5%	129.0%	39.0%
2008	57.3%	21.7%	148.5%	148.7%	38.5%
2009	59.5%	20.8%	147.7%	149.2%	38.6%
2010	56.3%	23.6%	153.3%	154.2%	38.7%
2011	57.2%	19.4%	160.5%	158.2%	38.9%
2012	55.7%	18.0%	165.3%	160.6%	39.2%
2013	53.8%	19.1%	157.0%	150.7%	39.5%
2014	49.7%	17.8%	148.9%	136.5%	39.3%
2015	46.7%	24.9%	153.8%	144.2%	38.5%
2016	44.9%	23.9%	152.0%	138.2%	37.4%
2017	43.0%	19.3%	150.8%	129.7%	39.2%
საშუალო	55.4%	20.4%	138.6%	134.5%	38.5%

ცხრილი N132

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანაზოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	37.9%	24.3%	20.1%	48.4%	2.6%
2003	37.5%	24.5%	19.9%	49.4%	1.9%
2004	37.4%	21.8%	17.8%	44.9%	2.7%
2005	37.6%	20.4%	18.9%	40.8%	2.5%
2006	37.9%	19.5%	17.9%	43.5%	2.6%
2007	38.7%	18.5%	21.5%	47.4%	0.7%
2008	39.5%	19.4%	21.4%	4.2%	4.7%
2009	39.2%	17.7%	19.3%	6.3%	1.8%
2010	39.6%	17.6%	22.7%	6.2%	2.0%
2011	40.6%	16.9%	21.6%	5.4%	2.5%
2012	41.5%	15.3%	22.7%	7.6%	3.2%
2013	42.6%	14.9%	25.4%	5.9%	1.0%
2014	44.1%	13.6%	30.1%	5.6%	0.8%
2015	44.9%	12.3%	34.4%	5.4%	1.2%
2016	45.7%	11.8%	37.7%	5.9%	0.9%
2017	48.3%	12.0%	40.4%	6.4%	1.3%
საშუალო	40.8%	17.5%	24.5%	20.8%	2.0%

სავალალო სიტუაცია ფიქსირდება წარმოების კუთხით 17.5%, რომლის დრამატულად შემცირების ტენდენცია ფაქტიურად ჯგუფის საშუალოსთან 8.6%-ით ჩამორჩენის გამომწვევია. შედარებით კარგი სიტუაციაა მთლიანი შიდა დანაზოგის კუთხით, რომელიც მზარდი ტენდენციით გამოირჩევა და ოთხი პროცენტით აღემატება საშუალო ნიშნულს. მიუხედავად 4.7%-იან მეტობით ჯგუფურ ნიშნულთან, მთლიანი რეზერვები დრამატულ კლებას განიცდის წლების მანძილზე და 2002 წელთან შედარებით მისი მოცულობა 41.8%-ით არის შემცირებული. 19.5%-ით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო ნიშნულს, მალტის დასაქმებულთა რაოდენობრივი წილი მთლიან პოპულაციაში, ხოლო რაც შეეხება ინფლაციას, მისი საშუალო ნიშნული ჯგუფის საშუალოსთან მიმართებით 0.8%-ით ნაკლებად ინფლაციურია.

4.1.2.7 პოლონეთი

დანახარჯების სტაბილიზაციის წესი, რომელიც მთლიან ცენტრალურ მთავრობას მოიცავდა, 2013 წლიდან შევიდა ძალაში და პირველად 2015 წელს იქნა გამოყენებული ბიუჯეტთან მიმართებით. დანერგილი წესის მიზანს საჯარო ფინანსების სტაბილიზაციის მიღწევა წარმოადგენდა, თვითონ მთავრობის საბიუჯეტო ხარჯვითი დაბალანსებით, საშუალოვადიან პერსპექტივაში (მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ს არ უნდა აღემატებოდეს სტრუქტურული დეფიციტი, რაც ევროკავშირის კანონმდებლობასთანაც თანხვედრაშია). დანერგილი წესი აღჭურვილია შესწორების მექანიზმით, მაგალითად: დანახარჯების ზრდის განაკვეთი მყისიერად იწევს თუ საჯარო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით მერყეობს 43%-იდან 48%-მდე.

2016 წელს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საბიუჯეტო რეფორმების საფუძვლები. მთავარი მიზანი დაგეგმილი რეფორმების იყო, რომ დანერგილიყო პასუხისმგებლიანი ფისკალური პოლიტიკის აღსრულების და კოორდინაციის მექანიზმები, რაც გამოიწვევდა დანახარჯების გრძელვადიან ეფექტურ მართვას, კერძოდ: 1) შემოღებულ იქნა საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩო; 2) წლიური და მრავალწლიანი დაგეგმარების პროცესების ინტეგრაცია; 3) საბიუჯეტო პროცესში მინისტრთა საბჭოს, ფინანსთა მინისტრის და სხვა საბჭოს წევრების ვალდებულებების რედეფინიცია; 4) დანახარჯობრივი კლასიფიკაციების არსებული დუალური თვისებების აღმოფხვრა და ახალი სახელმწიფო ბიუჯეტის სამმართველოს და გაერთიანებული შედეგზე ორიენტირებული კლასიფიკაციების ჩამოყალიბება; 5) გაუმჯობესებული მონაცემთა შეგროვების სიტემების დანერგვა (ბიუჯეტის და ფინანსური ანგარიშების მომზადებისთვის); 6) საბიუჯეტო დანახარჯების განხილვის ინსტიტუციალიზაცია და ჩართვა საბიუჯეტო პროცესებში, სხვა დამატებით პროცედურებთან ერთად, საბიუჯეტო დანახარჯების ეფექტურობის გაზრდა (OECD, 2019).

პოლონეთის მთავრობა გაცილებით მეტს ხარჯავს, იხილეთ ცხრილი 133-134, სოციალურ დაცვაზე 37.9%-ს, ვიდრე ჯგუფის საშუალო მაჩვენებელია და მას 3.7%-ით აღემატება. საბიუჯეტო ასიგნებების ექვივალენტური გადანაწილება მოდის განათლების და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე, საიდანაც პირველი 1.3%-ით აღემატება, ხოლო მეორე შემთხვევაში 20.5%-ით ჩამორჩება ჯგუფის შესაბამის საერთო ნიშნულს. 1.3%-ით და 2%-ით ჩამორჩებიან ეკონომიკური საქმიანობის და ჯანმრთელობის დაცვის პარამეტრები საერთო ნიშნულს. ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ხუთ დანახარჯობრივ კომპონენტების საშუალო პროცენტულ წილებს, მცირედი გადახვევებით, ჯგუფის საშუალო ნიშნულებთან თანხვედრაშია.

ცხრილი N133

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	13.3%	3.6%	4.4%	7.6%	1.4%
2003	13.5%	3.6%	4.8%	7.6%	1.3%
2004	14.3%	3.7%	4.7%	8.1%	1.3%
2005	13.2%	3.5%	4.9%	9.4%	1.5%
2006	12.7%	3.7%	5.0%	10.6%	1.5%
2007	12.6%	4.5%	5.2%	11.4%	1.4%
2008	12.0%	4.4%	5.3%	12.6%	1.5%
2009	12.3%	3.4%	5.3%	13.2%	1.6%
2010	12.3%	3.6%	5.3%	13.9%	1.6%
2011	12.7%	3.6%	5.2%	13.7%	1.6%
2012	13.4%	3.4%	5.3%	12.2%	1.4%
2013	13.4%	3.9%	5.2%	10.7%	1.5%
2014	11.9%	3.5%	5.3%	12.4%	1.5%
2015	11.7%	3.7%	5.3%	11.8%	1.4%
2016	11.4%	3.8%	5.3%	10.6%	1.0%
2017	10.8%	4.1%	5.2%	11.3%	0.9%
საშუალო	12.6%	3.7%	5.1%	11.1%	1.4%

ცხრილი N134

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	3.1%	9.8%	2.5%	13.6%	40.8%
2003	2.9%	9.5%	2.2%	13.3%	41.3%
2004	2.8%	9.7%	2.3%	13.0%	40.3%
2005	3.0%	9.9%	2.5%	13.7%	38.5%
2006	2.6%	10.3%	2.7%	13.3%	37.6%
2007	2.5%	10.4%	2.7%	13.2%	36.1%
2008	2.4%	11.2%	3.0%	12.7%	35.0%
2009	2.4%	11.1%	2.9%	12.0%	35.8%
2010	1.7%	10.9%	3.1%	12.1%	35.6%
2011	1.9%	10.6%	3.0%	12.4%	35.3%
2012	1.9%	10.8%	2.8%	12.5%	36.4%
2013	1.7%	10.9%	2.7%	12.4%	37.6%
2014	1.7%	10.9%	2.9%	12.4%	37.6%
2015	1.7%	11.2%	2.7%	12.7%	37.7%
2016	1.5%	11.3%	2.6%	12.1%	40.5%
2017	1.4%	11.4%	2.9%	11.9%	40.0%
საშუალო	2.2%	10.6%	2.7%	12.7%	37.9%

მსგავსი კომპონენტების გადანაწილებების ანალიზისას, იხილეთ ცხრილი 135-136, პოლონეთის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, კვლავ სოციალური დაცვის მაჩვენებელი ლიდერობს 16.5%-ით, რაც 1.4%-ით მეტია ჯგუფის საშუალო საერთო მაჩვენებელზე. ჯგუფის საშუალოსთან შედარებით 1.2%-იანი ნაკლებობა ფიქსირდება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების პროცენტულ გადანაწილებაზე. ხოლო დანარჩენი პარამეტრები, თითქმის იდენტურ წილობრივ თანხვედრაში მოდიან ჯგუფის საშუალო ნიშნულებთან, მხოლოდ მცირედი პროცენტის მეთავედური გადახვევებით.

ცხრილი N135


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	6.0%	1.6%	2.0%	3.4%	0.6%
2003	6.2%	1.6%	2.2%	3.5%	0.6%
2004	6.2%	1.6%	2.0%	3.5%	0.6%
2005	5.9%	1.6%	2.2%	4.2%	0.6%
2006	5.7%	1.6%	2.2%	4.7%	0.7%
2007	5.4%	1.9%	2.3%	4.9%	0.6%
2008	5.3%	1.9%	2.4%	5.6%	0.7%
2009	5.5%	1.5%	2.4%	6.0%	0.7%
2010	5.6%	1.6%	2.4%	6.4%	0.7%
2011	5.6%	1.6%	2.3%	6.0%	0.7%
2012	5.7%	1.5%	2.3%	5.2%	0.6%
2013	5.7%	1.7%	2.2%	4.6%	0.6%
2014	5.0%	1.5%	2.2%	5.3%	0.6%
2015	4.9%	1.6%	2.2%	4.9%	0.6%
2016	4.7%	1.6%	2.2%	4.4%	0.4%
2017	4.4%	1.7%	2.1%	4.7%	0.4%
საშუალო	5.5%	1.6%	2.2%	4.8%	0.6%

ცხრილი N136

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.4%	4.4%	1.1%	6.2%	18.5%
2003	1.3%	4.3%	1.0%	6.1%	18.9%
2004	1.2%	4.2%	1.0%	5.6%	17.6%
2005	1.3%	4.4%	1.1%	6.1%	17.1%
2006	1.2%	4.6%	1.2%	5.9%	16.8%
2007	1.1%	4.5%	1.2%	5.7%	15.6%
2008	1.1%	5.0%	1.3%	5.6%	15.5%
2009	1.1%	5.0%	1.3%	5.4%	16.1%
2010	0.8%	5.0%	1.4%	5.5%	16.3%
2011	0.8%	4.7%	1.3%	5.4%	15.5%
2012	0.8%	4.6%	1.2%	5.4%	15.6%
2013	0.7%	4.6%	1.1%	5.3%	16.0%
2014	0.7%	4.6%	1.2%	5.3%	15.9%
2015	0.7%	4.7%	1.1%	5.3%	15.7%
2016	0.6%	4.6%	1.1%	5.0%	16.6%
2017	0.6%	4.7%	1.2%	4.9%	16.4%
საშუალო	1.0%	4.6%	1.2%	5.5%	16.5%

მთლიანი შეჯამებისთვის, გრაფიკი N23 საკმაოდ კარგად ასახავს დანახარჯების ტურბულენტურ გადანაწილებას. ზოგადად პოლონეთის მთავრობა ჯგუფის საშუალოსთან მიმართებით ძალიან უმნიშვნელოდ 0.7%-ით ნაკლებს ხარჯავს, თუმცა ეს მეტწილად 2009 წლიდან დაწყებული ხარჯების თითქმის ყოველწლიური შეკვეცის დამსახურებაა.

გრაფიკი N23



რაც შეეხება კვლევის დანარჩენ მთავარ მაკროეკონომიკურ ცვლადებს, იხილეთ ცხრილი 137-138, ლიდერ პოზიციაზე საოჯახო მეურნეობების დანახარჯები გვევლინება საშუალოდ 60.7%-ით, რაც 1.4%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს. შემდეგ პოზიციაზე ურთიერთ უმნიშვნელო უარყოფითი ბალანსით ექსპორტი და იმპორტი გვევლინება, რომლებიც დაახლოებით ოთხი-შვიდი პროცენტებით ჩამორჩებიან ჯგუფის საშუალო ნიშნულებს. ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს ოდნავ ჩამორჩება პოლონეთის საგადასახადო შემოსავლები, რომელიც მთლიანობაში დანახარჯებთან მიმართებით საშუალოდ 4.1%-იან დეფიციტურია. მზარდი ტენდენციით, საკმაოდ კარგ სურათს გვიჩვენებს წარმოების ნიშნული 29.1%, რომელიც საშუალო ნიშნულს 3%-ით აღემატება. რაც შეეხება მთლიანი კაპიტალის ფორმირების, მთლიანი შიდა დანაზოგის და მთლიანი რეზერვების ცვლადებს, ისინი მცირედი ვარიაციით განირჩევიან ჯგუფის საერთო საშუალო ნიშნულებს.

ცხრილი N137

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	65.6%	18.4%	28.8%	32.2%	40.6%
2003	64.2%	18.8%	33.4%	36.0%	39.7%
2004	63.5%	20.2%	34.3%	36.9%	38.5%
2005	62.1%	19.9%	34.6%	35.7%	40.4%
2006	61.1%	21.7%	37.9%	39.9%	41.1%
2007	59.4%	25.2%	38.6%	42.1%	41.4%
2008	60.9%	24.7%	37.9%	42.9%	40.7%
2009	60.7%	20.6%	37.2%	38.0%	37.8%
2010	60.6%	21.3%	40.1%	42.1%	38.5%
2011	60.5%	22.4%	42.6%	44.5%	39.1%
2012	60.6%	21.0%	44.4%	44.9%	39.1%
2013	60.1%	19.0%	46.3%	44.4%	38.5%
2014	59.3%	20.4%	47.6%	46.1%	38.7%
2015	57.7%	20.5%	49.5%	46.4%	39.0%
2016	57.7%	19.6%	52.2%	48.2%	38.9%
2017	57.6%	19.8%	54.3%	50.2%	39.7%
საშუალო	60.7%	20.8%	41.2%	41.9%	39.5%

ცხრილი N138

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანაზოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	36.0%	26.7%	15.0%	14.7%	1.9%
2003	35.6%	27.5%	16.2%	15.3%	0.7%
2004	36.0%	29.0%	17.5%	14.2%	3.6%
2005	36.8%	28.8%	18.8%	14.1%	2.2%
2006	38.0%	29.0%	19.6%	13.9%	1.3%
2007	39.8%	29.0%	21.7%	15.0%	2.6%
2008	41.3%	29.1%	19.6%	11.8%	4.2%
2009	41.4%	29.8%	19.7%	17.9%	4.0%
2010	40.4%	29.2%	19.3%	19.6%	2.6%
2011	40.6%	29.8%	20.5%	18.5%	3.9%
2012	40.7%	29.7%	20.6%	21.6%	3.7%
2013	40.6%	28.6%	20.9%	20.3%	0.8%
2014	41.4%	29.4%	21.8%	18.8%	0.1%
2015	42.0%	30.3%	23.6%	20.1%	-0.7%
2016	42.4%	29.6%	23.6%	24.3%	-0.2%
2017	43.0%	29.5%	24.0%	21.1%	1.6%
საშუალო	39.7%	29.1%	20.2%	17.6%	2.0%

პოლონეთის დასაქმებულთა წილის პროცენტული გადანაწილება მთლიან პოპულაციაში, თითქმის იდენტურია ჯგუფის საერთო მაჩვენებლის. ხოლო რაც შეეხება ინფლაციას იგი საერთო ნიშნულს 0.8%-ით ჩამორჩება.

4.1.2.8 პორტუგალია

ახალი საბიუჯეტო კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წელს, ითვალისწინებდა დარიცხვის მეთოდის გამოყენებას და იგი თანხვედრაში მოვიდა ევროპული ქვეყნების საზედამხედველო ფუნქციების დამატებით. ახალი კანონი მოიცავს მინისტრების პასუხისმგებლობის ზრდას საბიუჯეტო სახსრების განკარგვისას და პროგრამული და შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტების დანერგვას. 2017 წელს დანერგილ იქნა პორტუგალიის მონაწილეობრივი ბიუჯეტი, სადაც საზოგადოების ჩართულობით 3 მილიონი ევროს საბიუჯეტო სახსრები გადანაწილებული იქნა საზოგადოების მიერ არჩეულ და პრიორიტიზირებულ საგანმანათლებლო, კულტურულ, მეცნიერულ, აგრო-კულტურულ და სამართლებრივ მიმართულებებით (OECD, 2019).

პორტუგალიის სახელმწიფოს დანახარჯების უდიდესი წილი, იხილეთ ცხრილი 139-140, სოციალური დაცვის კომპონენტზე მოდის 34.8%, რაც უმნიშვნელოდ აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს. ზუსტად ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების წილობრივ გადანაწილების მიმართაც. ხოლო რაც შეეხება სიდიდით მესამე კომპონენტს ჯანმრთელობის დაცვას 14.4%, იგი 1.8%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულს. მაშინ როცა განათლების 13.1%-იანი ნიშნული, 1.7%-ით უსწრებს ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს, ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ასიგნებები მთლიანი ჯგუფის საშუალო შედეგს, 2.3%-ით ჩამორჩება. პოლონეთის მთავრობა 0.4%-ით და 1%-ით ნაკლებს ხარჯავს საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროებაზე და თავდაცვაზე ვიდრე ჯგუფის საშუალოა. ასევე შედარებით ნაკლები დაფინანსება მიემართება დარჩენილ სამ კომპონენტზე.

ცხრილი N139

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	13.6%	3.1%	4.1%	11.6%	1.5%
2003	14.0%	2.9%	4.3%	11.1%	1.3%
2004	13.9%	2.9%	4.1%	11.3%	1.2%
2005	14.2%	2.9%	4.1%	10.9%	1.3%
2006	14.5%	2.8%	4.1%	9.6%	1.4%
2007	15.7%	2.6%	3.9%	9.2%	1.4%
2008	14.0%	2.8%	4.0%	10.1%	1.4%
2009	14.6%	3.0%	3.9%	9.4%	1.2%
2010	14.4%	3.8%	3.9%	12.1%	1.4%
2011	17.5%	2.5%	3.9%	8.8%	1.4%
2012	18.8%	2.3%	3.8%	7.4%	1.2%
2013	18.7%	2.2%	4.1%	7.3%	1.3%
2014	17.5%	2.0%	3.7%	13.5%	1.1%
2015	18.2%	2.1%	3.8%	10.2%	1.3%
2016	18.5%	1.9%	3.9%	7.1%	1.3%
2017	16.6%	1.9%	3.7%	11.4%	1.2%
სამუდლო	15.9%	2.6%	4.0%	10.1%	1.3%

ცხრილი N140

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	2.4%	14.9%	3.0%	15.6%	30.3%
2003	1.9%	15.4%	2.7%	14.9%	31.5%
2004	1.7%	15.8%	2.5%	14.9%	31.6%
2005	1.6%	15.7%	2.5%	14.8%	32.0%
2006	1.8%	15.6%	2.4%	14.7%	33.2%
2007	1.8%	15.9%	2.4%	13.9%	33.2%
2008	1.9%	15.9%	2.4%	14.1%	33.3%
2009	1.9%	15.8%	2.4%	13.9%	33.9%
2010	1.2%	14.3%	2.2%	13.7%	33.1%
2011	1.2%	13.7%	2.2%	13.2%	35.5%
2012	1.3%	13.5%	2.0%	12.0%	37.6%
2013	1.3%	12.9%	2.0%	11.8%	38.5%
2014	1.3%	12.0%	1.6%	11.0%	36.3%
2015	1.3%	12.7%	1.7%	10.5%	38.1%
2016	1.2%	13.5%	1.9%	10.7%	40.1%
2017	1.1%	13.1%	1.8%	10.9%	38.2%
სამუდლო	1.6%	14.4%	2.2%	13.1%	34.8%

რაც შეეხება იგივე სახელმწიფო დანახარჯების წილობრივ გადანაწილებას პორტუგალიის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, იხილეთ ცხრილი 141-142, სოციალური დაცვის და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების საშუალო წილები 1.1%-ით და 0.9%-ით აღემატება ჯგუფის საშუალო ნიშნულებს. ასევე 1.2%-იან და 1.1%-იან წილობრივ მეტობას აფიქსირებენ ჯანმრთელობის დაცვის და განათლების კომპონენტები. ეკონომიკური საქმიანობის კუთხით კი, მასზე პოლონეთის მთავრობის მიერ გაწეული დანახარჯები მცირედით ჩამორჩება ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, დანარჩენი ცვლადების წილობრივი გადანაწილებები ორ პროცენტთან დიაპაზონში ვარიირებენ.

ცხრილი N141


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით						
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა	
2002	5.9%	1.3%	1.8%	5.1%	0.6%	
2003	6.3%	1.3%	2.0%	5.0%	0.6%	
2004	6.4%	1.3%	1.9%	5.2%	0.6%	
2005	6.6%	1.3%	1.9%	5.1%	0.6%	
2006	6.5%	1.3%	1.8%	4.3%	0.6%	
2007	7.0%	1.2%	1.8%	4.1%	0.6%	
2008	6.4%	1.3%	1.8%	4.6%	0.6%	
2009	7.3%	1.5%	2.0%	4.7%	0.6%	
2010	7.5%	1.9%	2.0%	6.3%	0.7%	
2011	8.8%	1.3%	2.0%	4.4%	0.7%	
2012	9.1%	1.1%	1.9%	3.6%	0.6%	
2013	9.3%	1.1%	2.1%	3.6%	0.6%	
2014	9.0%	1.0%	1.9%	7.0%	0.6%	
2015	8.8%	1.0%	1.9%	4.9%	0.6%	
2016	8.3%	0.8%	1.8%	3.2%	0.6%	
2017	7.6%	0.9%	1.7%	5.2%	0.6%	
საშუალო	7.6%	1.2%	1.9%	4.8%	0.6%	

ცხრილი N142

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.0%	6.5%	1.3%	6.8%	13.3%
2003	0.9%	7.0%	1.2%	6.7%	14.3%
2004	0.8%	7.3%	1.2%	6.9%	14.6%
2005	0.8%	7.3%	1.2%	6.9%	14.9%
2006	0.8%	7.0%	1.1%	6.6%	15.0%
2007	0.8%	7.1%	1.1%	6.2%	14.8%
2008	0.9%	7.2%	1.1%	6.4%	15.1%
2009	0.9%	7.9%	1.2%	7.0%	17.0%
2010	0.6%	7.4%	1.1%	7.1%	17.1%
2011	0.6%	6.9%	1.1%	6.6%	17.7%
2012	0.6%	6.5%	0.9%	5.8%	18.3%
2013	0.6%	6.4%	1.0%	5.9%	19.2%
2014	0.7%	6.2%	0.8%	5.7%	18.8%
2015	0.6%	6.1%	0.8%	5.1%	18.4%
2016	0.5%	6.0%	0.9%	4.8%	18.0%
2017	0.5%	6.0%	0.8%	5.0%	17.4%
საშუალო	0.7%	6.8%	1.1%	6.2%	16.5%

გრაფიკული გამოსახულება 24 ნათლად წარმოგვიჩენს, რომ სხვა აქამდე განხილულ ქვეყნებისგან განსხვავებით, პორტუგალიის მთავრობა გაცილებით ინტერვენციულია ქვეყნის ეკონომიკაში და საშუალოდ 3.1%-ით მეტ სახსრებს მიმართავს ვიდრე კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელია.

გრაფიკი N24



ჩეხეთის მთავრობის საბიუჯეტო დანახარჯობრივ პრიორიტეტებშიც, იხილეთ ცხრილი 175-176, სოციალური დაცვა და ჯანმრთელობის დაცვა ლიდერობენ. თუმცა თუ სოციალური დაცვის შემთხვევაში მისი მაჩვენებელი საერთო ჯგუფურ მაჩვენებელს 4.7%-ით ჩამორჩება, ჯანმრთელობის დაცვის ნიშნული ანალოგიურ 4.7%-ით მეტობას აფიქსირებს. შემდეგ პოზიციებზე ეკონომიკური საქმიანობა და განათლება წარმოგვიდგებიან საშუალო ნიშნულებზე ასევე ოდნავ მეტი ნიშნულებით. ჯგუფურ მაჩვენებელთან 4.4%-იანი ნიშნულით ნაკლები ფიქსირდება საერთო დანიშნულების სახელმწიფო

ცხრილი N175

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	9.5%	4.0%	4.5%	18.5%	2.0%
2003	9.2%	4.0%	4.3%	23.0%	2.1%
2004	10.7%	3.0%	4.7%	16.2%	2.4%
2005	11.1%	3.2%	4.4%	13.5%	2.3%
2006	10.4%	2.8%	4.9%	15.7%	2.6%
2007	10.6%	2.7%	4.8%	15.7%	2.4%
2008	10.5%	2.5%	4.7%	16.4%	2.2%
2009	10.5%	2.3%	4.5%	16.4%	1.5%
2010	10.2%	2.3%	4.5%	15.2%	2.3%
2011	10.2%	2.1%	4.1%	14.9%	3.0%
2012	14.3%	1.8%	3.9%	13.8%	3.0%
2013	11.1%	1.8%	4.1%	13.7%	2.4%
2014	11.1%	1.6%	4.0%	14.8%	2.5%
2015	10.3%	2.2%	4.4%	15.6%	2.6%
2016	10.7%	1.8%	4.4%	15.1%	1.9%
2017	10.0%	2.1%	4.5%	14.6%	2.1%
საშუალო	10.7%	2.5%	4.4%	15.8%	2.3%

ცხრილი N176

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.7%	16.3%	3.1%	11.0%	29.6%
2003	2.4%	15.0%	2.9%	10.6%	26.6%
2004	3.3%	16.9%	3.3%	11.3%	28.2%
2005	2.9%	14.8%	2.9%	10.2%	25.1%
2006	2.9%	16.9%	3.6%	11.9%	28.3%
2007	2.4%	16.8%	3.5%	11.6%	29.5%
2008	2.2%	17.0%	3.5%	11.5%	29.3%
2009	2.3%	17.6%	3.7%	11.4%	29.7%
2010	2.1%	17.9%	3.5%	11.6%	30.4%
2011	2.0%	17.9%	3.3%	11.8%	30.7%
2012	1.6%	17.4%	3.1%	11.3%	29.9%
2013	1.9%	17.9%	3.2%	12.0%	31.8%
2014	2.0%	17.9%	3.2%	12.1%	30.8%
2015	1.6%	18.1%	3.2%	11.8%	30.1%
2016	1.5%	18.9%	3.3%	11.3%	31.2%
2017	1.5%	19.2%	3.4%	11.9%	30.7%
საშუალო	2.1%	17.3%	3.3%	11.5%	29.5%

ცხრილი N177

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	4.2%	1.8%	2.0%	8.3%	0.9%
2003	4.5%	2.0%	2.1%	11.3%	1.1%
2004	4.6%	1.3%	2.0%	6.9%	1.0%
2005	5.2%	1.5%	2.1%	6.3%	1.1%
2006	4.3%	1.1%	2.0%	6.5%	1.1%
2007	4.3%	1.1%	1.9%	6.4%	1.0%
2008	4.3%	1.0%	1.9%	6.7%	0.9%
2009	4.6%	1.0%	2.0%	7.3%	0.7%
2010	4.5%	1.0%	2.0%	6.6%	1.0%
2011	4.4%	0.9%	1.8%	6.4%	1.3%
2012	6.3%	0.8%	1.7%	6.1%	1.3%
2013	4.7%	0.8%	1.7%	5.9%	1.0%
2014	4.7%	0.7%	1.7%	6.3%	1.0%
2015	4.3%	0.9%	1.8%	6.5%	1.1%
2016	4.2%	0.7%	1.7%	5.9%	0.7%
2017	3.9%	0.8%	1.8%	5.7%	0.8%
საშუალო	4.6%	1.1%	1.9%	6.8%	1.0%

ცხრილი N178


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	0.7%	7.3%	1.4%	4.9%	13.3%
2003	1.2%	7.4%	1.4%	5.2%	13.1%
2004	1.4%	7.2%	1.4%	4.8%	12.0%
2005	1.3%	6.9%	1.3%	4.8%	11.7%
2006	1.2%	7.0%	1.5%	4.9%	11.7%
2007	1.0%	6.8%	1.4%	4.7%	11.9%
2008	0.9%	6.9%	1.4%	4.7%	11.9%
2009	1.0%	7.8%	1.6%	5.1%	13.1%
2010	0.9%	7.8%	1.5%	5.1%	13.2%
2011	0.9%	7.7%	1.4%	5.1%	13.2%
2012	0.7%	7.7%	1.4%	5.0%	13.3%
2013	0.8%	7.6%	1.4%	5.1%	13.5%
2014	0.9%	7.6%	1.4%	5.1%	13.1%
2015	0.7%	7.6%	1.3%	4.9%	12.5%
2016	0.6%	7.4%	1.3%	4.5%	12.3%
2017	0.6%	7.5%	1.3%	4.6%	12.0%
საშუალო	0.9%	7.4%	1.4%	4.9%	12.6%

მომსახურების ცვლადთან მიმართებით. რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფო დანახარჯებს, მათი წილობრივი გადანაწილება უმნიშვნელო ვარიაციას განიცდის შესაბამის მაჩვენებლებთან მიმართებით, თავდაცვის ასიგნებების გარდა, რომელიც 1.1%-ით ნაკლებია.

განხილული ცვლადები ჩეხეთის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, იხილეთ ცხრილი 177-178, თითქმის იდენტური სურათი ფიქსირდება სოციალური დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. ეკონომიკური საქმიანობის წილი 1.3%-ით მეტია, ხოლო განათლების და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების 0.2%-ით და 2.1%-ით ჩამორჩებიან. ხოლო დანარჩენი ცვლადები ორი პროცენტის ქვემოთ წარმოგვიდგებიან ინდივიდუალურად.

ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულება 30 გვიჩვენებს, რომ ჩეხეთის მთავრობა, თუ არ ჩავთვლით კვლევის პირველ ორ წელს, ჩამორჩება ჯგუფის საშუალო დანახარჯობრივ ნიშნულს.

გრაფიკი N30



კვლევაში მონაწილე ჩეხეთის დანარჩენი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან, იხილეთ ცხრილი 179-180, ექსპორტი 67.4% და იმპორტი 63.8% ლიდერობენ. აღსანიშნავია, რომ ექსპორტ-იმპორტის დადებითი ბალანსის გარდა, ისინი საკმაოდ აღემატებიან კვლევაში მონაწილე ჯგუფების

ანალოგიურ საშუალო მონაცემებს. შემდეგია საოჯახო მეურნეობების დანახარჯები საშუალოსთან 11.7%-ით ნაკლები და საგადასახადო შემოსავლები, თითქმის იდენტური მაჩვენებლით. რაც შეეხება საბიუჯეტო ხარჯვით ბალანსს, ჩეხეთის ბიუჯეტი კვლევის მანძილზე დაახლოებით 2.6%-იან დეფიციტს განიცდის. რაც შეეხება მთლიანი კაპიტალის ფორმირების, წარმოების, მთლიანი შიდა დანახარჯის და მთლიანი რეზერვების საშუალო წილობრივ ნიშნულებს, საკმაოდ აღემატებიან ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს.

მსგავსად, კარგი სურათის მომცველია დასაქმებულთა რაოდენობის წილობრივი გადანაწილება მთლიან პოპულაციაში, რომელიც 6%-ით აღემატება ჯგუფის ანალოგიურ საშუალო ნიშნულს. ხოლო ინფლაციური მაჩვენებლები საკმაოდ სტაბილურ და დაბალ ნიშნულზე იმყოფება და საშუალოდ ერთი პროცენტით ჩამორჩება შესაბამის საერთო ნიშნულს.

ცხრილი N179

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	49.3%	30.1%	45.1%	46.4%	38.5%
2003	49.3%	29.0%	46.9%	48.1%	42.5%
2004	48.3%	29.3%	57.3%	56.5%	40.2%
2005	47.2%	29.1%	62.2%	59.8%	39.3%
2006	46.3%	30.0%	65.2%	62.4%	39.2%
2007	45.4%	32.1%	66.4%	64.0%	39.7%
2008	46.7%	31.1%	63.2%	61.1%	38.7%
2009	47.9%	26.5%	58.7%	54.8%	38.7%
2010	48.3%	27.1%	66.0%	62.9%	39.3%
2011	48.4%	27.0%	71.3%	67.5%	40.3%
2012	48.5%	26.2%	76.2%	71.4%	40.5%
2013	48.7%	24.7%	76.9%	71.1%	41.4%
2014	47.4%	25.9%	82.5%	76.2%	40.3%
2015	46.2%	28.0%	81.0%	75.1%	41.1%
2016	46.4%	26.0%	79.6%	71.8%	40.2%
2017	46.8%	25.9%	79.7%	72.2%	40.5%
საშუალო	47.6%	28.0%	67.4%	63.8%	40.0%

ცხრილი N180

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანაზოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	47.8%	33%	29%	28%	1.4%
2003	47.5%	33%	28%	26%	-0.1%
2004	47.4%	34%	30%	24%	2.6%
2005	48.3%	34%	31%	22%	1.6%
2006	48.8%	35%	33%	20%	2.1%
2007	49.7%	35%	35%	18%	2.9%
2008	50.3%	34%	33%	16%	6.3%
2009	49.0%	33%	30%	20%	0.6%
2010	48.3%	33%	30%	21%	1.2%
2011	48.1%	33%	31%	18%	2.2%
2012	48.2%	33%	31%	21%	3.5%
2013	48.3%	33%	30%	27%	1.4%
2014	48.6%	34%	32%	27%	0.4%
2015	49.2%	34%	34%	35%	0.3%
2016	49.9%	34%	34%	44%	0.6%
2017	50.5%	33%	33%	67%	2.4%
საშუალო	48.7%	33.7%	31.6%	27.1%	1.8%

4.1.2.15 ხორვატია

ხორვატიის მთავრობის საბიუჯეტო ასიგნების, იხილეთ ცხრილი 181-182, 31.5% სოციალური დაცვის კომპონენტზე მოდის, რაც გაცილებით 2.7%-ით ჩამორჩება საკვლევითი ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. შემდეგ პოზიციებს საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება 19.9%-ით, ეკონომიკური საქმიანობა 15%-ით და ჯანმრთელობის დაცვა 13.4%-ით იკავებენ, რომლებიც 0.8%-ით, 2.6%-ით და 0.8%-ით აღემატებიან შესაბამის საშუალო ნიშნულებს. ჯგუფის საშუალო ნიშნულთან მიმართებით 0.9%-ით ნაკლები ასიგნებებს მიმართავს ხორვატია განათლებაზე. თითქმის იდენტური პროცენტული გადანაწილება უკავიათ საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროებას 4.6%-ით და დასვენება-კულტურა-რელიგიას 2.7%-ით. 0.7%-ით და 0.4%-ით ჩამორჩება

ცხრილი N181

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	14.2%	3.1%	4.5%	15.3%	1.3%
2003	15.1%	2.8%	4.5%	17.9%	1.2%
2004	10.7%	3.3%	4.3%	17.5%	1.3%
2005	14.4%	2.9%	4.4%	16.4%	1.2%
2006	14.8%	2.9%	4.3%	15.7%	1.1%
2007	15.3%	3.0%	4.6%	17.7%	1.2%
2008	15.1%	3.4%	4.8%	17.8%	1.2%
2009	16.0%	3.1%	4.5%	16.8%	1.2%
2010	17.4%	3.0%	4.7%	13.9%	1.0%
2011	19.7%	3.0%	5.3%	13.0%	0.8%
2012	15.2%	3.0%	4.6%	14.4%	1.2%
2013	16.5%	2.8%	4.4%	14.0%	1.2%
2014	18.3%	2.6%	4.2%	12.9%	1.1%
2015	17.7%	2.7%	4.6%	12.4%	1.3%
2016	17.3%	2.4%	4.9%	12.6%	1.3%
2017	16.9%	2.4%	4.9%	12.0%	1.3%
საშუალო	15.9%	2.9%	4.6%	15.0%	1.2%

ცხრილი N182

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება საერთო ხარჯებში წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	2.5%	12.1%	2.2%	10.4%	34.5%
2003	2.4%	12.9%	3.2%	10.6%	29.4%
2004	2.7%	16.2%	3.0%	10.8%	30.2%
2005	2.6%	13.5%	2.2%	10.7%	31.6%
2006	2.5%	12.3%	2.2%	11.2%	33.1%
2007	2.4%	12.7%	2.3%	10.6%	30.2%
2008	2.3%	13.3%	2.3%	10.2%	29.6%
2009	2.2%	12.8%	2.2%	10.1%	31.0%
2010	2.5%	12.8%	2.2%	11.5%	31.0%
2011	1.9%	12.8%	2.0%	9.9%	31.5%
2012	2.1%	15.0%	2.6%	10.3%	31.7%
2013	2.0%	13.4%	3.2%	10.4%	32.0%
2014	2.1%	13.6%	2.6%	10.0%	32.5%
2015	1.8%	13.5%	3.5%	10.0%	32.5%
2016	2.3%	13.7%	3.9%	10.2%	31.1%
2017	2.0%	14.0%	4.0%	10.5%	31.9%
საშუალო	2.3%	13.4%	2.7%	10.5%	31.5%

თავდაცვაზე და გარემოს დაცვაზე გაწეული დანახარჯები. ხოლო ბოლო განსახილველი ცვლადი საბინაო - კომუნალური მეურნეობა 0.4%-ით აღემატება შესაბამის ჯგუფის საშუალო ნიშნულს.

თითქმის იდენტური საშუალო პროცენტული გადანაწილება უჭირავს, იხილეთ ცხრილი 183-184, სოციალურ დაცვას 15% ხორვატიის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე, ეკონომიკური საქმიანობაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული პროცენტული ნიშნულები 0.9%-ით, 1.6%-ით და 0.8%-ით აღემატებიან შესაბამის საშუალო ნიშნულს. ხოლო დანარჩენი ექვსი სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება, მცირედი ვარიაციების გარდა, თითქმის იდენტურია საკვლევი ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებისა.

ცხრილი N183


სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	თავდაცვა	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	ეკონომიკური საქმიანობა	გარემოს დაცვა
2002	7.1%	1.6%	2.3%	7.7%	0.7%
2003	7.5%	1.4%	2.2%	8.9%	0.6%
2004	5.2%	1.6%	2.1%	8.5%	0.6%
2005	6.8%	1.4%	2.1%	7.7%	0.6%
2006	6.9%	1.3%	2.0%	7.3%	0.5%
2007	7.0%	1.4%	2.1%	8.0%	0.6%
2008	6.8%	1.5%	2.2%	8.1%	0.6%
2009	7.7%	1.5%	2.2%	8.1%	0.6%
2010	8.4%	1.4%	2.2%	6.7%	0.5%
2011	9.6%	1.5%	2.6%	6.3%	0.4%
2012	7.3%	1.4%	2.2%	6.9%	0.6%
2013	7.9%	1.3%	2.1%	6.7%	0.6%
2014	8.8%	1.2%	2.0%	6.2%	0.5%
2015	8.5%	1.3%	2.2%	6.0%	0.6%
2016	8.1%	1.1%	2.3%	5.9%	0.6%
2017	7.6%	1.1%	2.2%	5.4%	0.6%
საშუალო	7.6%	1.4%	2.2%	7.1%	0.6%

ცხრილი N184

სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	ჯანმრთელობის დაცვა	დასვენება, კულტურა, რელიგია	განათლება	სოციალური დაცვა
2002	1.3%	6.1%	1.1%	5.2%	17.4%
2003	1.2%	6.5%	1.6%	5.3%	14.7%
2004	1.3%	7.9%	1.5%	5.3%	14.8%
2005	1.2%	6.3%	1.0%	5.0%	14.8%
2006	1.2%	5.7%	1.0%	5.2%	15.4%
2007	1.1%	5.8%	1.0%	4.8%	13.7%
2008	1.1%	6.0%	1.0%	4.6%	13.4%
2009	1.0%	6.2%	1.1%	4.9%	15.0%
2010	1.2%	6.1%	1.0%	5.5%	14.9%
2011	0.9%	6.2%	1.0%	4.8%	15.3%
2012	1.0%	7.2%	1.2%	4.9%	15.1%
2013	1.0%	6.4%	1.5%	5.0%	15.2%
2014	1.0%	6.6%	1.2%	4.8%	15.6%
2015	0.9%	6.5%	1.7%	4.8%	15.7%
2016	1.1%	6.4%	1.8%	4.8%	14.6%
2017	0.9%	6.3%	1.8%	4.7%	14.3%
საშუალო	1.1%	6.4%	1.3%	5.0%	15.0%

თუ ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულება 31-ს გავანალიზებთ დავინახავთ, რომ ხორვატიის მთავრობის მიერ გაწეული დანახარჯების წილობრივი გადანაწილების ზოგადი ტენდენცია, თანხვედრაშია საკვლევის ჯგუფის ანალოგიურ საერთო მაჩვენებლებთან. თუმცა კვლევის თექვსმეტი წლის მანძილზე, ხორვატიის მთავრობა საშუალოზე 3.3%-ით მეტს ხარჯავს.

გრაფიკი N31



კვლევაში მონაწილე დანარჩენი მაკროეკონომიკური ცვლადების განხილვისას, იხილეთ ცხრილი 185-186, ხორვატიის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით საოჯახო მეურნეობების დანახარჯი ლიდერობს 58.2%-იანი ნიშნულით, რომელიც ჯგუფის საშუალოს უმნიშვნელოდ ჩამორჩება. შემდეგ პოზიციაზე იმპორტი წარმოგვიდგება 44.1%, რომელიც 3.7%-ით აღემატება ხორვატიის ექსპორტის მონაცემს, თუმცა ამავე დროს საშუალოდ 5%-ით და ექსპორტის შემთხვევაში 5.5%-ით ჩამორჩებიან ჯგუფის საშუალო ნიშნულს. ასევე, ერთერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია საგადასახადო შემოსავლებს 43.6%-ით, რომელიც მართალია 3.7%-ით აღემატება ჯგუფის საერთო საშუალო ნიშნულს, მთლიანობაში ხორვატიას საშუალოდ 4%-იან საბიუჯეტო დეფიციტური ხარჯვა უფიქსირდება. ჯგუფის საშუალო ნიშნულზე მეტ წილობრივ გადანაწილებებს აფიქსირებენ მთლიანი რეზერვები 8.6%-ით, მთლიანი კაპიტალის ფორმირება 1.4%-ით და მთლიანი შიდა დანახოვი 0.9%-ით. რასაც ვერ ვიტყვით წარმოების წილზე, რომელიც საკმაოდ 2.9%-ით ჩამო-

ცხრილი N185

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	საოჯახო მეურნეობების დანახარჯი	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	ექსპორტი	იმპორტი	საგადასახადო შემოსავლები
2002	62.2%	25.8%	37.7%	45.6%	47.0%
2003	60.1%	28.0%	38.9%	46.3%	45.2%
2004	59.3%	27.4%	39.5%	45.5%	43.6%
2005	59.2%	27.8%	39.4%	45.5%	43.0%
2006	57.9%	29.7%	39.7%	46.4%	43.1%
2007	57.7%	29.7%	39.0%	46.2%	43.0%
2008	57.2%	31.4%	38.5%	46.5%	42.5%
2009	57.4%	25.1%	34.5%	38.2%	42.3%
2010	57.8%	21.4%	37.6%	38.0%	41.7%
2011	58.6%	20.7%	40.3%	40.8%	40.6%
2012	59.1%	19.2%	41.5%	41.1%	42.5%
2013	59.0%	19.4%	42.7%	42.3%	42.4%
2014	57.7%	18.8%	45.3%	43.4%	42.9%
2015	56.6%	20.0%	48.1%	45.8%	45.2%
2016	55.9%	20.8%	48.7%	46.0%	46.3%
2017	56.2%	20.9%	51.1%	48.8%	46.1%
საშუალო	58.2%	24.1%	41.4%	44.1%	43.6%

ცხრილი N186

მაკროეკონომიკური ცვლადების წილობრივი გადანაწილება მთლიან შიდა პროდუქტთან, მთლიან პოპულაციასთან და საშუალო ინფლაციასთან მიმართებით წლების მიხედვით					
წელი	დასაქმებულთა წილი მთლიან პოპულაციაში	წარმოება	მთლიანი შიდა დანაზოგი	მთლიანი რეზერვები	ინფლაცია
2002	36.4%	23.4%	17.9%	21.4%	2.5%
2003	37.3%	24.1%	20.6%	23.1%	2.4%
2004	37.6%	25.1%	21.4%	20.9%	2.1%
2005	38.0%	24.5%	21.7%	19.6%	3.0%
2006	39.2%	24.1%	23.0%	22.5%	3.3%
2007	40.4%	23.7%	22.5%	22.3%	2.7%
2008	41.3%	23.5%	23.4%	18.6%	5.8%
2009	41.0%	23.6%	21.4%	23.6%	2.2%
2010	39.5%	22.9%	21.0%	23.8%	1.1%
2011	38.1%	23.1%	20.2%	23.2%	2.2%
2012	36.8%	22.9%	19.6%	26.0%	3.4%
2013	36.0%	22.3%	19.9%	30.5%	2.3%
2014	37.1%	22.4%	20.7%	27.4%	0.2%
2015	37.7%	22.2%	22.4%	30.5%	-0.3%
2016	38.2%	22.1%	23.6%	27.7%	-0.6%
2017	39.3%	21.6%	23.2%	33.4%	1.3%
საშუალო	38.4%	23.2%	21.4%	24.7%	2.1%

რჩება ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს. რაც შეეხება დასაქმებულთა წილს მთლიან პოპულაციაში 4.3%-ით ჩამორჩება საკვლევი ჯგუფის საერთო საშუალო ნიშნულს. ხოლო ზოგადად ხორვატიის ინფლაციური მაჩვენებელი საშუალოდ 0.7%-ით ნაკლებია.

4.1.3 კვლევის პირველი და მეორე ჯგუფების შედარებითი ანალიტიკური ანალიზი

მოცემული ქვეთავი დეტალურად აჯამებს კვლევის მიერ იდენტიფიცირებული ჯგუფების ჯამურ წილობრივ გადანაწილებებს. რომელიც, წინამდებარედ განხილული ქვეყნების მსგავსად ჯერ დანახარჯების საერთო და წილობრივ ნიშნულებს განიხილავს ინდივიდუალურად, ხოლო შემდგომ კი მათ ყველა მონაწილე ცვლადის გადანაწილებას მთლიან შიდა პროდუქტში.

აღსანიშნავია, რომ შედარებითობის ანალიზის დროს კვლევა იხელმძღვანელებს პირველი ჯგუფის შემთხვევაში ცხრლ 1-დან ცხრილი 6-ის ჩავლით, ხოლო მეორე ჯგუფის შემთხვევაში ცხრლ 91-დან ცხრილი 96-ის ჩავლით. აქვე აღსანიშნავია, რომ თვალსაჩინოებისთვის სახელმწიფო დანახარჯების ათი ჯამური მაჩვენებლები, როგორც ინდივიდუალური ქვეყნების ანალიზის დროს, გაანალიზებულია როგორც ჯამურ მთლიანი დანახარჯების ჭრილშია, ასევე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. ხოლო რაც შეეხება კვლევაში მონაწილე დანარჩენ მაკროეკონომიკურ ცვლადებს, დასაქმებულთა რაოდენობის და ინფლაციის გარდა, მხოლოდ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით არის განხილული.

პირველ რიგში განვიხილოთ საშუალო სახელმწიფო დანახარჯების წილობრივი გადანაწილებები, როგორც საერთო ხარჯებში ასევე ჯამურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით და შესაბამისად შევადაროთ მათი დინამიკა ინდივიდუალურად. რაც შეეხება რიგითობას დავიწყებთ ყველაზე დიდი წილობრივი ნიშნულით.

ამგვარად, სიდიდით პირველი კომპონენტი ორივე საკვლევი ჯგუფისთვის არის სოციალური დაცვა, რომელიც პირველი საკვლევი ჯგუფის შემთხვევაში მთლიანი ხარჯების 39.7%-ს მოიცავს, ხოლო მეორე ჯგუფის წილი 34.2%-იანი ნიშნულით, 5.5%-ით ჩამორჩება პირველ ჯგუფს. მსგავსად, თუ

პირველი ჯგუფის შემთხვევაში სოციალური დაცვის კომპონენტს ჯამურ მთლიან შიდა პროდუქტის 18.6%-ი უკავია, მეორე ჯგუფის შემთხვევაში იგი 15.1%-ს შეადგენს ანუ 3.5%-ით ნაკლებს.

მეორე განსახილველ ნიშნულს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვა, რომელიც პირველი ჯგუფის შემთხვევაში მთლიან ხარჯებში 14.6%-ს მოიცავს, ხოლო მეორე ჯგუფის შემთხვევაში კი 12.6%-ს ანუ ზუსტად 2%-ით ნაკლებს. მთლიანი შიდა პროდუქტის ჯამურ გადანაწილებებშიც 6.8%-ით და 5.6%-ით წარმოგვიდგებიან, რაც 1.2%-იან სხვაობის მომცემია.

მესამე ცვლადს საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება წარმოადგენს და განსხვავებულ შედეგს გვიჩვენებს, თუ მთლიანი ხარჯების მიმართებით პირველი ჯგუფის შემთხვევაში მას 13.7%-ი უკავია, მეორე საკვლევი ჯგუფის საერთო საშუალო წილობრივი ნიშნული 15.1%-ს შეადგენს და 1.4%-ით აღემატება მას. თუმცა ჯამურად, მთლიან შიდა პროდუქტთან გათვალისწინებით, მოცემული სხვაობა, 6.4% და 6.7%, მხოლოდ 0.3%-ს შეადგენს.

მეოთხე კომპონენტად შეგვიძლია განვიხილოთ განათლების წილი. ამგვარად, მთლიან ხარჯებთან მიმართებით პირველი საკვლევი ჯგუფი განათლებაზე საშუალოდ საბიუჯეტო სახსრების 10.6%-ს მიმართავს, მაშინ როცა მეორე ჯგუფის შემთხვევაში ის 11.4%-ია და 0.8%-ით აღემატება. აღნიშნული, სხვაობა თითქმის მინიმუმადე 0.1%-მდე დადის თუ მთლიანი შიდა პროდუქტის კონტექსტში განვიხილავთ, 5% და 5.1%.

სიდიდით მეხუთე ცვლადი კი ეკონომიკური საქმიანობაა, რომელზეც პირველი საკვლევი ჯგუფის გათვალისწინებით საშუალოდ 9% მოდის, ხოლო მეორე ჯგუფის შემთხვევაში იგი უფრო პრიორიტეტულად აღიქმება და მასზე 12.4% მიემართება, რაც 3.4%-ით მეტია. ხოლო იგივე ნიშნულების წილობრივ გადანაწილების შემთხვევაში ჯამურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით პირველ ჯგუფს 4.2% და მეორე ჯგუფს 5.5% შორის სხვაობა 1.3%-ს აღწევს.

მექვესე წილობრივ გადანაწილებას საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროების კომპონენტი წარმოადგენს და მისი პროცენტული წილი მთლიან ხარჯებში პირველი ჯგუფის შემთხვევაში 3.7%-ს შეადგენს, ხოლო იგივე ცვლადი საკვლევი მეორე ჯგუფისთვის 0.9%-ით მეტს ანუ 4,6%-ს შეადგენს. შედარებით ნაკლები ბალანსი გვხვდება 0.3%, როდესაც მოცემული ცვლადების წილობრივ მაჩვენებლებს განვიხილავთ ჯამურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, სადაც პირველი და მეორე ჯგუფები საშუალოდ 1.7%-ს და 2%-ს წილს იკავებენ.

შემდეგ მეშვიდე პოზიციაზე თავდაცვაზე გაწეული დანახარჯობრივი წილი წარმოგვიდგება, რომლი პროცენტული მაჩვენებელი პირველი საკვლევი ჯგუფისთვის 3%-ია, ხოლო მეორე ჯგუფის მონაცემი კი 3.6% ანუ შედარებით დაბალ შემოსავლიანი ქვეყნები 0.6%-ით მეტს ხარჯავენ ეროვნულ უსაფრთხოებაზე ვიდრე შედარებით მაღალ შემოსავლიანი ქვეყნები. თუმცა მოცემული წილობრივი განსხვავება, უფრო ნაკლები პროცენტულობით წარმოგვიდგება 0.2%-ით, როდესაც მას მთლიან შიდა პროდუქტთან განვიხილავთ. სადაც პირველი ჯგუფის მონაცემია 1.4%, ხოლო მეორესი კი 1.6%.

მერვე პოზიციაზე დასვენება-კულტურა-რელიგიაზე გაწეული ხარჯების ჯამური პროცენტულობა წარმოგვიდგება, 2.3%-იანი და 2.6%-იანი ნიშნულებით. როგორც ვხედავთ მეორე საკვლევი ჯგუფისთვის აღნიშნული დანახარჯობრივი კომპონენტი უფრო მნიშვნელოვანია და მასზე 0.3%-ით მეტს მიმართავს. თუმცა, თუ მოცემულებს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით განვიხილავთ, ორივე ჯგუფისთვის იდენტური 1.1%-იანი წილებით წარმოგვიდგებიან.

მეცხრე პოზიციაზე გარემოს დაცვის წილობრივი ნიშნული წარმოგვიდგება და ორივე საკვლევი ჯგუფს შორის, როგორც მთლიან ხარჯებთან მიმართებით, 1.7% და 1.6%, ასევე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართების,

0.8% და 0.7%, პირველი საკვლევის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ნიშნულები 0.1%-ით აღემატება.

მეათე, საბინაო - კომუნალური მეურნეობის დანახარჯობრივი კომპონენტს, პირველი ჯგუფის შემთხვევაში მთლიან ხარჯებში 1.6% უკავია, რაც 0.3%-ით ჩამორჩება მეორე ჯგუფის 1.9%-იან წილობრივ ნიშნულს. ხოლო მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ორივე ჯგუფის ნიშნულები იდენტურია და 0.8%-ს შეადგენენ.

მეთერთმეტე კომპონენტს, საოჯახო მეურნეობების დანახარჯების წილობრივი მაჩვენებლები წარმოადგენენ, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. პირველი საკვლევი ჯგუფის წილობრივი მაჩვენებელი 54.5%-ია, ხოლო მეორე ჯგუფის კი 59.3%, რაც გვაფიქრებინებს რომ მიუხედავად შედარებით დაბალ შემოსავლიანობისა მეორე ჯგუფი უფრო მხარჯველობითი სოციალურ გარემოში და საშუალოდ 4.8%-ით მეტს ხარჯავს.

რაც შეეხება მეთორმეტე ცვლადს საგადასახადო შემოსავლებს, იგი პირველი საკვლევი ჯგუფის შემთხვევაში 44.3%-ია და 4.4%-ით აღემატება მეორე საკვლევი ჯგუფის 39.9%-იან წილობრივ ნიშნულს. აქვე ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ როდესაც საშუალოდ მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების ბალანსს განვიხილავთ, მიუხედავად ორივე ჯგუფის დეფიციტურ ხარჯვისა, შედარებით დაბალ შემოსავლიან ჯგუფის საშუალო დეფიციტური ხარჯვის 4.4% ნიშნული, 1.9%-ით აღემატება მაღალ შემოსავლიან ჯგუფის საშუალო 2.5%-იან დეფიციტურ ნიშნულს.

მეცამეტე და მეთოთხმეტე კომპონენტებს ექსპორტი და იმპორტის მაჩვენებლები წარმოადგენენ და თვალსაჩინოებისთვის უკეთესი იქნება მათი ერთ კონტექსტში განხილვა. პირველი ჯგუფის შემთხვევაში ექსპორტის წილი 38.5%-ია, ხოლო იმპორტის კი 35.9%, რაც შედარებით მაღალ შემოსავლიან ქვეყნებში საშუალოდ 2.6%-იან დადებითი ბალანსის მაჩვენებელია. რაც შეეხება

მეორე საკვლევ ჯგუფს, ექსპორტის წილობრივი მაჩვენებელია 46.9% და იმპორტის კი 49.1% ანუ მოცემულ შემთხვევაში 2.2%-იან უარყოფითი ბალანსი ფიქსირდება. ხოლო მთლიანობაში, მეორე საკვლევ ჯგუფის ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები 8.4%-ით და 13.2%-ით აღემატებიან პირველი ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ საშუალო წილებზე.

მეთხუთმეტე პოზიციაზე წარმოება წარმოგვიდგება და პირველი ჯგუფის შემთხვევაში საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის 22.9%-ს შეადგენს. ანალოგიური ნიშნული გაცილებით მეტია მეორე საკვლევ ჯგუფის შემთხვევაში 26.1%, რაც 3.2%-ით მეტია პირველ ჯგუფის პროცენტულ ნიშნულზე.

მეთექვსმეტე ნიშნულზე მთლიანი შიდა დანახოვის წილობრივი გადანაწილება წარმოგვიდგება, სადაც პირველი ჯგუფის ნიშნულს 23.6%-ი უკავია ჯამურ მთლიან შიდა პროდუქტში, ხოლო მეორე საკვლევის ჯგუფის წილობრივ გადანაწილებას 20.5%, რაც 3.1%-ით ნაკლებია.

კვლევის მეჩვიდმეტე ცვლადი მთლიანი კაპიტალის ფორმირება, ოდნავ განსხვავებულ შედეგს გვიჩვენებს და პირველი საკვლევ ჯგუფის 21%-იანი წილობრივი მაჩვენებელი, 1.7%-ით ჩამორჩება მეორე საკვლევ სეგმენტის 22.7%-იან ნიშნულს.

მსგავსი ტენდენცია ნარჩუნდება, მთლიანი რეზერვების მეთვრამეტე ცვლადთან მიმართებით, სადაც პირველი (6.9%) და მეორე (16.1%) საკვლევ ჯგუფებს შორის განსხვავება 9.2%-ს შეადგენს.

როგორც აღინიშნა, მეცხრამეტე ცვლადის საშუალო ნიშნულის ჯამურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით გამოსახვა არა პრაქტიკული იქნებოდა და თვალსაჩინოებისთვის მთლიანი პოპულაციის რაოდენობით იქნა ჩანაცვლებული. ამგვარად, შედარებით მაღალ შემოსავლიანი ქვეყნების შემთხვევაში მთლიანი მოსახლეობის 46.1%-ია დასაქმებული, რაც 3.4%-ით

აღმატება შედარებით დაბალ შემოსავლიან ევროპული ქვეყნების 42.7%-იან მაჩვენებელს.

მსგავსად, ინფლაციის მეოცე ცვლადის შემთხვევაშიც, თვალსაჩინოებისთვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ინფლაციის საშუალო მაჩვენებლებით იქნა ჩანაცვლებული. ამგვარად, შედარებით მაღალ შემოსავლიანი ქვეყნების შემთხვევაში საშუალო ინფლაციის მაჩვენებელი 1.6%-ს შეადგენს, რაც 1.2%-ით ჩამორჩება შედარებით დაბალ შემოსავლიან ევროპული ქვეყნების საშუალო ინფლაციის 2.8%-იან მაჩვენებელს.

4.2 მონაცემთა ეკონომეტრიკული ანალიზი

როგორც წინამდებარედ აღინიშნა, მოცემული კვლევის ერთერთ მთავარ მიზანს სწორედ ეკონომეტრიკული მოდელის შექმნა და თითოეული დამოუკიდებელი ცვლადის ინდივიდუალური ეფექტის განსაზღვრა წარმოადგენს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ კვლევის მიზნებისთვის **კვლევაში მონაწილე დამოუკიდებელი ცვლადები** მოიცავენ წლიური მშპ-ს ზრდის 5 წლიანი პერიოდს, გამოსახული პროცენტებში, რომელიც გამოიანგარიშება მცოცავი საშუალოს მიხედვით და კვლევაში წარმოდგენილნი არიან ორი პროცენტული რიცხვითი ცვლადებით, თითოეული ჯგუფისთვის.

რაც შეეხება **დამოუკიდებელ ცვლადებს**, მათი უდიდესი მნიშვნელობა ცხრამეტი ერთეული გამოხატულია აბსოლუტური სიდიდით მილიონ ევროში. ხოლო, მეოცე ინფლაციის ცვლადი წარმოდგენილი არის პროცენტული ნიშნულით. ამგვარად, კვლევაში შემდეგი დამოუკიდებელი ცვლადები იღებენ მონაწილეობას, შესაბამისი თანმიმდევრობით: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება; თავდაცვა; საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება; ეკონომიკური საქმიანობა; გარემოს დაცვა; საბინაო-კომუნალური მეურნეობა; ჯამრთელობის დაცვა; დასვენება, კულტურა, რელიგია; განათლება; სოციალური დაცვა; წარმოება (მანუფაქტურა); ექსპორტი; იმპორტი; საოჯახო მეურნეობების დანახარჯი; მთლიანი კაპიტალის ფორმირება; დასაქმებულთა რაოდენობა; საგადასახადო შემოსავლები; მთლიანი შიდა დანაზოგი; მთლიანი რეზერვები და ინფლაცია;

დამატებით, კვლევისთვის შერჩეული იქნა 29 ევროპული ქვეყანა, 16 წლიან 2002-2017 წლების პერიოდით, რომელიც შემდგომ სტრატეგიცირებული იქნა ორ ჯგუფად, მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე (ევროში) მიმართებით, სადაც შერჩეული ქვეყნების დაყოფა მოხდა შედარებით დაბალ და მაღალ შემოსავლიან ქვეყნებად, კვლევის ბოლო ხუთი წლის მონაცემების

გეომეტრიული საშუალოზე დაყრდნობით, ხოლო შემდგომ მედიანის ნიშნულის გამოყვანით, ქვეყნების უფრო მეტი სიღრმისეული შერჩევის პრინციპის დასადგენად, გთხოვთ იხილოთ კვლევის 1.6 ქვეთავი.

4.2.1 პირველი ჯგუფის ეკონომეტრიკული ანალიზი

ამგვარად, შედარებით მაღალ შემოსავლიან ქვეყნებად განისაზღვრა შემდეგი 14 ქვეყანა: ავსტრია, ბელგია, დანია, გერმანია, ირლანდია, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, ფინეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, ნორვეგია და შვეიცარია. ხოლო, მას შემდეგ რაც ჰაუსმანის სპეციფიკური ტესტი იქნა ჩატარებული სტატას პროგრამული უზრუნველყოფით, სადაც ნულოვანი ჰიპოთეზას შერჩევითი მეთოდის უპირატესობა წარმოადგენდა. როგორც ტესტი 1-ი გვიჩვენებს P -ს მნიშვნელობა ნაკლებია 5%-ზე და შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია ვუარყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და დავასკვნათ, რომ ფიქსირებული მოდელი უფრო ოპტიმალურია კვლევის მოცემული ჯგუფის მიზნებისთვის. დეტალური ტესტის სანახავად გთხოვთ იხილოთ დანართი 1.

ჰაუსმენის ტესტი 1

```

b = consistent under Ho and Ha; obtained from xtreg
B = inconsistent under Ha, efficient under Ho; obtained from xtreg

Test: Ho: difference in coefficients not systematic

      chi2(20) = (b-B)' [(V_b-V_B)^(-1)] (b-B)
              =      156.87
Prob>chi2 =      0.0000
(V_b-V_B is not positive definite)

```

შემდგომში, თუ ტესტი 2-ის შედეგებს გავანალიზებთ რომელიც მთლიანი კვლევის პროცესში 95%-იანი ნდობის ინტერვალს მოიცავს, დავინახავთ რომ მოდელის F სტატისტიკა, რომელიც გამოიყენება მოდელის ყველა ცვლადის

ერთობლივი მნიშვნელოვნების შესამოწმებლად, გაცილებით ნაკლებია 5%-ზე და შესაბამისად სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება R^2 , რომლებიც ძირითადად გამოიყენება გასაზომად თუ დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის რა ნაწილს ხსნის მოდელის ვარიაცია, რომელიც ტესტ 2-ში წარმოდგენილი სამი ნიშნულიდან მხოლოდ პირველის ნიშნული შეესაბამება უმცირეს კვადრატთა მეთოდის მსგავს დაშვებას (Vijayamohanan, N.P. 2016), როგორც ვხედავთ საკმაოდ მაღალია და 81%-ს შეადგენს. დამატებით, ასევე მეტად მნიშვნელოვანია ინდივიდუალური დამოუკიდებელი ცვლადების P -ს მნიშვნელობები, რომელთა უმეტესობაც ორ კუდა ტესტის პირობებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. თუმცა, როგორც კვლევის მთავარი ჰიპოთეზის დაშვებისას აღინიშნა, ჩვენ მხოლოდ გვინტერესებს მონაწილე ცვლადების ერთობლივი სტატისტიკური მნიშვნელობა.

ცვლადების ერთობლივი მნიშვნელოვნება, ტესტი 2

მშპ ზრდა	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
ლოგსანმომს	-2.705147	1.132109	-2.39	0.018	-4.938263	-.4720309
ლოგთავდაცვა	2.979254	1.437128	2.07	0.040	.1444781	5.814031
ლოგსაზწუ	-6.505934	2.60051	-2.50	0.013	-11.63551	-1.376354
ლოგექსაქმიანობა	1.160771	.5381603	2.16	0.032	.0992348	2.222307
ლოგგარდაცვა	-2.028705	.7671935	-2.64	0.009	-3.542016	-.5153944
ლოგსაბკომ	.2794889	.3757622	0.74	0.458	-.4617126	1.02069
ლოგჯანდაცვა	3.519794	1.973495	1.78	0.076	-.3729798	7.412567
ლოგფერ	-.4533479	1.170417	-0.39	0.699	-2.762028	1.855333
ლოგგანათლება	1.135538	2.679508	0.42	0.672	-4.149868	6.420943
ლოგსოფდაცვა	-18.21068	2.118656	-8.60	0.000	-22.38979	-14.03158
ლოგშმ	18.85605	3.724202	5.06	0.000	11.50996	26.20215
ლოგმკვ	6.049527	2.396897	2.52	0.012	1.321581	10.77747
ლოგექსპორტი	9.533613	3.979828	2.40	0.018	1.68329	17.38394
ლოგიმპორტი	-15.33847	3.540419	-4.33	0.000	-22.32205	-8.354897
ლოგსაგუმ	.7792636	3.071166	0.25	0.800	-5.278697	6.837224
ლოგდასაქმება	6.458775	4.881586	1.32	0.187	-3.170291	16.08784
ლოგწარმოება	11.8276	2.387231	4.95	0.000	7.118716	16.53648
ლოგმშდ	-8.147769	2.870398	-2.84	0.005	-13.80971	-2.485827
ლოგრეზერვები	1.099566	.2573933	4.27	0.000	.5918507	1.607282
ინფლაცია	-.2595838	.0941902	-2.76	0.006	-.4453766	-.073791
_cons	-80.53685	16.54097	-4.87	0.000	-113.1644	-47.90932
sigma_u	13.408914					
sigma_e	1.1157637					
rho	.99312361	(fraction of variance due to u_i)				

Fixed-effects (within) regression
Group variable: მედიკამენტი
Number of obs = 224
Number of groups = 14
R-sq: within = 0.8055 between = 0.2599 overall = 0.0068
Obs per group: min = 16 avg = 16.0 max = 16
corr(u_i, Xb) = -0.9831
F(20,190) = 39.33
Prob > F = 0.0000

F test that all u_i=0: F(13, 190) = 15.32 Prob > F = 0.0000

4.2.2 პირველი ჯგუფის ეკონომეტრიკული მოდელი

მას შემდეგ რაც წინამდებარე ქვეთავში განხილული დაშვებები გულდასმით იქნა შესწავლილი, შეგვიძლია აღვნიშნოთ და ვამტკიცოთ ჩვენი ეკონომეტრიკული მოდელის სტატისტიკურ მნიშვნელობა, ხოლო თვითონ მოდელი კი შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

*სემშზრდა = -2.71 * საერთოსახელმწიფომომსახურეობა +2.98 * თავდაცვა -6.51 * საზოგადოებრივიწესრიგიუშიშროება +1.16 * ეკონომიკურისაქმინაობა -2.03 * გარემოსდაცვა +0.28 * საბინაოკომუნალურიმეურნეობა +3.52 * ჯამრთელობისდაცვა -0.45 * დასვენებაკულტურარელიგია +1.14 * განათლება -18.21 * სოციალურიდაცვა +18.86 * საოჯახო მეურნეობების დანახარჯები +6.05 * მთლიანიკაპიტალისფორმირება +9.53 * ექსპორტი -15.34 * იმპორტი +0.78 * საგადასახადომემოსავლები +6.46 * დასაქმებულთარაოდენობა +11.83 * წარმოება -8.15 * მთლიანიშიდადანაზოგი +1.1 * მთლიანირეზერვები -0.26 * ინფლაცია*

(მოდელი 1)

სანამ დამუშავებულ და მიღებულ მონაცემთა სიღრმისეულ ანალიზზე გადავალთ, აუცილებელია მოდელ 1-ში შემავალი ცვლადების ინტერპრეტირების განმარტება. კერძოდ კი, როგორც ვხედავთ უმეტესი ცვლადების სიდიდეები ნატურალურ ლოგარითმებად იქნა გარდაქმნილი, რაც კვლევის მიზნებისთვის უკეთესი და საერთოდ აპრობირებულიც არის, რაც ზემოთ დეტალურად იქნა განმარტებული, შესაბამისად წარმოდგენილი დამოუკიდებელი ცვლადის სიდიდის ერთი პროცენტული ცვლილება, ვინაიდან დამოკიდებული ცვლადი კვლევაში პროცენტული რიცხვითი სიდიდით არის წარმოდგენილი, იწვევს დამოუკიდებელი ცვლადის შესაბამისი კოეფიციენტის პროცენტულ ზრდას, რომელიც გააჩნიათ კვლევისას გალოგარითმებული ცხრამეტ დამოუკიდებელ ცვლადებს და ამ შემთხვევაშიც

პროცენტული რიცხვით სიდიდეში გამოსახულ ინფლაციის დამოუკიდებელ ცვლადს, სხვა თანაბარ პირობებში.

მოდელის 1-ის შეფასებისას თვალსაჩინოა, რომ კვლევაში მონაწილე 20 ეგზოგენური ცვლადების კოეფიციენტებიდან რვა ნეგატიურის, ხოლო თორმეტი კი დადებითი ეფექტის მატარებელია ეკონომიკაზე, საშუალოვადიან ასპექტში.

კერძოდ, ყველაზე დიდი ნეგატიური ეფექტით სოციალური დაცვის ცვლადი გვევლინება, რომელსაც სხვა ყველა თანაბარ პირობებში მასზე გაწეული დანახარჯების ერთი პროცენტით ზრდა საშუალოვადიან მთლიანი ეკონომიკის 18.2%-იან შემცირებას იწვევს. შემდგომი ცვლადი, რომელსაც ასევე მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი აქვს ეკონომიკაზე არის იმპორტი, რომლის ერთ პროცენტთან ზრდაც, სხვა ყველა თანაბარ პირობებში, ეკონომიკის საშუალოვადიან 15.3%-იანი კლების გამოიწვევია. მსგავსი უარყოფითი ეფექტები აქვთ მთლიანი შიდა დანაზოგის და საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროების ცვლადებს, რომლებზე გაწეული დანახარჯების ერთ პროცენტთან ზრდა საშუალოვადიან პერსპექტივაში ეკონომიკის 8.1%-იან და 6.5%-იანი კლების გამოიწვევია, სხვა ყველა თანაბარ პირობებში. დანარჩენი ოთხი უარყოფითი ეფექტის მქონე ცვლადებია საერთო სახელმწიფო მომსახურეობა, გარემოს დაცვა, დასვენება-კულტურა-რეკრეაცია და ინფლაცია 2.7%, 2%, 0.45% და 0.26%-იანი უარყოფითი ეფექტებით, სხვა ყველა თანაბარ პირობებში შესაბამისი თანმიმდევრობით.

რაც შეეხება დადებითი ეფექტის მქონე თორმეტი ცვლადის კოეფიციენტებს, პირველ ადგილზე საოჯახო მეურნეობების დანახარჯების ცვლადი ლიდერობს 18.9%-იანი ზრდის ეფექტის ნიშნულით, სხვა ყველა თანაბარ პირობებში. მეორე და მესამე ადგილზე წარმოება და ექსპორტი წარმოგვიდგებიან, სადაც აღნიშნული ცვლადების ერთ პროცენტთან ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის 11.8%-იან და 9.5%-იანი ზრდის გამოიწვევება,

სხვა ყველა თანაბარ პირობებში. მეოთხე და მეხუთე ადგილებზე 6.5%-იანი და 6%-იანი პოზიტიური ეფექტის კოეფიციენტებით დასაქმებულთა რაოდენობა და მთლიანი კაპიტალის ფორმირება წარმოგვიდგება. მნიშვნელოვანია, რომ მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე ადგილებს საბიუჯეტო დანახარჯების ცვლადები, კერძოდ კი ჯამრთელობის დაცვა, თავდაცვა, ეკონომიკური საქმიანობა და განათლება იკავებენ, რომლებიც სხვა ყველა თანაბარ პირობებში მათზე გაწეული დანახარჯების ერთ პროცენტთან ზრდა, მთლიანი შიდა პროდუქტის 3.5%-იანი, 3%-იანი, 1.2%-იანი და 1.1%-იანი ზრდის განმსაზღვრელია საშუალოვადიან პერსპექტივაში, მსგავსი თანმიმდევრობით. სიის ბოლო სამეულს კი შიდა რეზერვების, საგადასახადო შემოსავლების და საბინაო კომუნალური მეურნეობის ცვლადები ასრულებენ, სადაც ყველა თანაბარ პირობებში აღნიშნული კვლევის კომპონენტების ერთ პროცენტთან ზრდა 1.1%-ის, 0.78%-ის და 0.28%-ის პოზიტიური ეფექტების გამომწვევია.

4.2.3 მეორე ჯგუფის ეკონომეტრიკული ანალიზი

შესაბამისად, შედარებით დაბალ შემოსავლიან ქვეყნებად განისაზღვრა შემდეგი 15 ქვეყანა: ბულგარეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და ხორვატია. ხოლო, მას შემდეგ რაც ჰაუსმანის სპეციფიკური ტესტი იქნა ჩატარებული სტატას პროგრამული უზრუნველყოფით, სადაც ნულოვანი ჰიპოთეზას შერჩევითი მეთოდის უპირატესობა წარმოადგენდა. როგორც ტესტი 3-ი გვიჩვენებს P -ს მნიშვნელობა ნაკლებია 5%-ზე და შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია ვუარყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და დავასკვნათ, რომ ფიქსირებული მოდელი უფრო ოპტიმალურია კვლევის მოცემული ჯგუფის მიზნებისთვის. დეტალური ტესტის სანახავად გთხოვთ იხილოთ დანართი 2.

ჰაუსმენის ტესტი 3

```

b = consistent under Ho and Ha; obtained from xtreg
B = inconsistent under Ha, efficient under Ho; obtained from xtreg

Test: Ho: difference in coefficients not systematic

      chi2(20) = (b-B)'[(V_b-V_B)^(-1)](b-B)
              =      85.54
Prob>chi2 =      0.0000
(V_b-V_B is not positive definite)

```

შემდგომში, თუ ტესტ 4-ის შედეგებს გავაანალიზებთ რომელიც მთლიანი კვლევის პროცესში 95%-იანი ნდობის ინტერვალს მოიცავს, დავინახავთ რომ მოდელის F სტატისტიკა, რომელიც გამოიყენება მოდელის ყველა ცვლადის ერთობლივი მნიშვნელოვნების შესამოწმებლად, გაცილებით ნაკლებია 5%-ზე და შესაბამისად სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება R^2 , რომლებიც ძირითადად გამოიყენება გასაზომად თუ დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის რა ნაწილს ხსნის მოდელის ვარიაცია, რომელიც ტესტ 4-ში წარმოდგენილი სამი ნიშნულიდან მხოლოდ პირველის ნიშნული შეესაბამება უმცირეს კვადრატთა მეთოდის მსგავს დაშვებას (Vijayamohanan, N.P. 2016), როგორც ვხედავთ საკმაოდ მაღალია და 72,3%-ს შეადგენს. დამატებით, ასევე მეტად მნიშვნელოვანია ინდივიდუალური დამოუკიდებელი ცვლადების P -ს მნიშვნელობები, სადაც ორ კუდა ტესტის პირობებში რიგი ცვლადების სტატისტიკურად მნიშვნელოვნება შეინიშნება. თუმცა, როგორც მრავალჯერ კვლევის მთავარი ჰიპოთეზის დაშვებისას აღინიშნა, ჩვენ მხოლოდ გვინტერესებს მონაწილე ცვლადების ერთობლივი სტატისტიკური მნიშვნელობა.

ცვლადების ერთობლივი მნიშვნელოვნება, ტესტი 4

მნიშვნელობა	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
ლგსახმომს	-1.787473	1.375247	-1.30	0.195	-4.498915	.9239677
ლგთავდაცვა	1.068771	.9659817	1.11	0.270	-.8357621	2.973304
ლგსაზწუ	.4373035	2.287905	0.19	0.849	-4.073539	4.948146
ლგექსაქმიანობა	1.153431	.7768167	1.48	0.139	-.3781431	2.685006
ლგგარდაცვა	-.4308118	.6069395	-0.71	0.479	-1.627456	.7658322
ლგსაბკომ	-1.310472	.5450718	-2.40	0.017	-2.385137	-.2358061
ლგჯანდაცვა	-6.499876	2.142855	-3.03	0.003	-10.72474	-2.275015
ლგფერ	2.069749	1.275076	1.62	0.106	-.444196	4.583694
ლგგანათლება	5.157986	2.713943	1.90	0.059	-.1928329	10.5088
ლგსოფდაცვა	.2148959	2.648276	0.08	0.935	-5.006453	5.436245
ლგშმ	12.60373	5.0142	2.51	0.013	2.717714	22.48974
ლგმკვ	6.206803	2.881231	2.15	0.032	.5261581	11.88745
ლგექსპორტი	-12.78047	5.739868	-2.23	0.027	-24.09721	-1.463725
ლგიმპორტი	-.0189285	6.302309	-0.00	0.998	-12.44458	12.40673
ლგსაგშემ	-8.882054	4.356467	-2.04	0.043	-17.47128	-.2928286
ლგდასაქმება	3.804141	5.311537	0.72	0.475	-6.668104	14.27639
ლგწარმოება	2.124592	2.312053	0.92	0.359	-2.433861	6.683044
ლგმშდ	4.127316	2.448126	1.69	0.093	-.6994171	8.954049
ლგრეზერვები	.0252931	.3219373	0.08	0.937	-.6094396	.6600258
ინფლაცია	.2215364	.0754753	2.94	0.004	.072729	.3703438
_cons	-23.50538	15.94743	-1.47	0.142	-54.94739	7.936641
sigma_u	12.758517					
sigma_e	2.3782516					
rho	.96641997	(fraction of variance due to u_i)				

Fixed-effects (within) regression
 Group variable: მედნაკლები
 Number of obs = 240
 Number of groups = 15
 R-sq:
 within = 0.7233
 between = 0.0014
 overall = 0.0500
 Obs per group:
 min = 16
 avg = 16.0
 max = 16
 F(20,205) = 26.79
 Prob > F = 0.0000
 corr(u_i, Xb) = -0.9406

F test that all u_i=0: F(14, 205) = 6.17
 Prob > F = 0.0000

4.2.4 მეორე ჯგუფის ეკონომეტრიკული მოდელი

ანალოგიურად, მას შემდეგ რაც წინამდებარე ქვეთავში განხილული დაშვებები გულდასმით იქნა შესწავლილი, შეგვიძლია აღვნიშნოთ და ვამტკიცოთ რომ ჩვენი ეკონომეტრიკული მოდელი სტატისტიკურ მნიშვნელოვანია, ხოლო თვითონ მოდელი კი შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

$$\begin{aligned} \text{სემშზრდა} = & -1.79 * \text{საერთოსახელმწიფომომსახურეობა} + 1.07 * \text{თავდაცვა} + 0.44 * \\ & \text{საზოგადოებრივიწესრიგიუშიშროება} + 1.15 * \text{ეკონომიკურისაქმინაობა} - 0.43 * \\ & \text{გარემოსდაცვა} - 1.31 * \text{საბინაოკომუნალურიმეურნეობა} - 6.5 * \\ & \text{ჯამრთელობისდაცვა} + 2.07 * \text{LII დასვენებაკულტურარელიგია} + 5.16 * \text{განათლება} \\ & + 0.21 * \text{სოციალურიდაცვა} + 12.6 * \text{საოჯახო მეურნეობების დანახარჯები} + 6.21 * \\ & \text{მთლიანიკაპიტალისფორმირება} - 2.78 * \text{ექსპორტი} - 0.02 * \text{იმპორტი} - 8.88 * \\ & \text{საგადასახადომემოსავლები} + 3.8 * \text{დასაქმებულთა რაოდენობა} + 2.12 * \text{წარმოება} \\ & + 4.13 * \text{მთლიანიშიდადანაზოგი} + 0.03 * \text{მთლიანირეზერვები} + 0.22 * \text{ინფლაცია} \end{aligned}$$

(მოდელი 2)

მსგავსად, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ საწინამდებარე დამუშავებულ და მიღებულ მონაცემთა სიღრმისეულ ანალიზზე გადავალთ, აუცილებელია მოდელ 2-ში შემავალი ცვლადების ინტერპრეტირების განმარტება. კერძოდ კი, როგორც ვხედავთ უმეტესი ცვლადების სიდიდეები ნატურალურ ლოგარითმებად იქნა გარდაქმნილი, რაც კვლევის მიზნებისთვის უკეთესი და საერთოდ აპრობირებულიც არის, რაც ზემოთ დეტალურად იქნა განმარტებული, შესაბამისად აქაც წარმოდგენილი დამოუკიდებელი ცვლადის სიდიდის ერთი პროცენტული ცვლილება, ვინაიდან დამოკიდებული ცვლადი კვლევაში პროცენტული რიცხვითი სიდიდით არის წარმოდგენილი, იწვევს დამოუკიდებელი ცვლადის შესაბამისი კოეფიციენტის პროცენტულ ზრდას, რომელიც გააჩნიათ კვლევისას გალოგარითმებული ცხრამეტ დამოუკიდებელ

ცვლადებს და ამ შემთხვევაშიც პროცენტული რიცხვით სიდიდეში გამოსახულ ინფლაციის დამოუკიდებელ ცვლადს, სხვა თანაბარ პირობებში.

მსგავსად, **მოდელი 2**-ის მოკლე შეფასებისას თვალსაჩინოა რომ კვლევაში მონაწილე 20 ეგზოგენური ცვლადების კოეფიციენტებიდან ეკონომიკაზე შვიდი ნეგატიურის, ხოლო ცამეტი კი დადებითი ეფექტის მატარებელია საშუალოვადიან პერსპექტივაში.

საინტერესოა, რომ ყველაზე დიდი ნეგატიური ეფექტით ექსპორტის ცვლადი გვევლინება, რომელსაც სხვა ყველა თანაბარ პირობებში მასზე გაწეული დანახარჯების ერთი პროცენტით ზრდა მთლიანი ეკონომიკის 12.8%-იან შემცირებას იწვევს. შემდგომი ცვლადი, რომელსაც ასევე მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი აქვს ეკონომიკაზე არის საგადასახადო შემოსავლები, რომლის ერთ პროცენტთან ზრდაც, სხვა ყველა თანაბარ პირობებში, ეკონომიკის საშუალოვადიან 8.9%-იანი კლების გამომწვევია. მსგავსი უარყოფითი ეფექტები აქვთ ჯამრთელობის დაცვის და საერთო სახელმწიფო მომსახურების ცვლადებს, რომლებზე გაწეული დანახარჯების ერთ პროცენტთან ზრდა საშუალოვადიან პერსპექტივაში ეკონომიკის 6.5%-იანი და 1.8%-იანი კლების გამომწვევია, სხვა ყველა თანაბარ პირობებში. დანარჩენი სამი უარყოფითი ეფექტის მქონე ცვლადებია საბინაო კომუნალური მეურნეობა, გარემოს დაცვა და იმპორტი 1.3%, 0.43% და 0.02%-იანი უარყოფითი ეფექტებით, სხვა ყველა თანაბარ პირობებში შესაბამისი თანმიმდევრობით.

რაც შეეხება ცამეტ დადებითი ეფექტის მქონე ცვლადის კოეფიციენტებს, პირველ ადგილზე კვლევის პირველი ჯგუფის მსგავსად აქაც საოჯახო მეურნეობების დანახარჯების ცვლადი ლიდერობს 12.6%-იანი ზრდის ეფექტის ნიშნულით, სხვა ყველა თანაბარ პირობებში. მეორე და მესამე ადგილზე მთლიანი კაპიტალის ფორმირება და განათლება წარმოგვიდგებიან, სადაც აღნიშნული ცვლადების ერთ პროცენტთან ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის 6.2%-იან და 5.2%-იანი ზრდის გამომწვევებია, სხვა ყველა თანაბარ პირობებში.

მეოთხე და მეხუთე ადგილებზე 4.1%-იანი და 3.8%-იანი პოზიტიური ეფექტის კოეფიციენტებით მთლიანი შიდა დანაზოგი და დასაქმება წარმოგვიდგება. მნიშვნელოვანია, რომ თითქმის მსგავსი პოზიტიური შედეგი აქვს ეკონომიკის ზრდაზე დაახლოებით 2.1%-ის ფარგლებში მეექვსე და მეშვიდე ადგილზე მყოფ წარმოების და დასვენება-კულტურა-რეკრეაციის ეგზოგენურ ცვლადებს. პოზიტიურ მერვე და მეცხრე ადგილებს საბიუჯეტო დანახარჯების ცვლადები, ეკონომიკური საქმიანობა და თავდაცვა იკავებენ, რომლებიც სხვა ყველა თანაბარ პირობებში მათზე გაწეული დანახარჯების ერთ პროცენტთან ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის 1.2%-იანი და 1.1%-იანი ზრდის განმსაზღვრელია, საშუალოვადიან პერსპექტივაში. სიის ბოლო ოთხეული კი, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგი-უსაფრთხოება, ინფლაცია, სოციალური დაცვა და მთლიანი რეზერვების ცვლადები, სხვა ყველა თანაბარ პირობებში, ერთ პროცენტთან ნიშნულში მდებარეობენ 0.44%-ის, 0.22%-ის, 0.21%-ის და 0.03%-ის პოზიტიური ეფექტების გამომწვევია მსგავსი თანმიმდევრობით.

4.2.5 კვლევის პირველი და მეორე ჯგუფების მოდელების შედარებითი ანალიზი

აღნიშნული ქვეთავი ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი პირდაპირ დაკავშირებულია კვლევის ერთერთ მთავარ კითხვასთან და შესაბამისად აიდენტიფიცირებს იმ მსგავსებებს და განსხვავებებს, რაც მონაცემთა კომპლექსური ეკონომეტრიკული ანალიზის დროს მიღებულ ორ მოდელს შორის არსებობს.

უფრო მეტიც, მოცემული შედარებითი ანალიზი ხელს უწყობს როგორც პირველი ჯგუფის ანუ მაღალ შემოსავლიან ევროპულ ქვეყნებთან მიმართებაში არსებული რესურსების და მაკროეკონომიკური პარამეტრების უფრო ოპტიმალურად დაგეგმვა გადანაწილებას, ასევე მეორე ჯგუფის ანუ შედარებით დაბალშემოსავლიან ევროპული ქვეყნების მაკროეკონომიკური პოლიტიკის და, რაც მნიშვნელოვანია, საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების ეფექტური მიდგომების ჩამოყალიბებას.

თვალსაჩინოებისთვის, აღნიშნული ნაშრომი იდენტიფიცირებულ მაკროეკონომიკური ცვლადების ეფექტის განსაზღვრის, როგორც მსგავს ისე განსახვავებულ კონტექსტში, დეტალურ ანალიზს მოიცავს. დამატებით, მეტად საგულისხმოა რომ სწორედ აღნიშნული ანიჭებს მოცემული კვლევას ფართო მნიშვნელოვნებას და რეზონანსულობას, ვინაიდან იგი მკაფიოდ ხაზს უსვამს კვლევის ერთერთ მთავარ მიზანს, რომ დატოვოს სამომავლოდ საკვლევი საინტერესო და აქტუალური კითხვები.

ამგვარად, თუ ორ წინამდებარე თავში იდენტიფიცირებულ ორ ეკონომეტრიკულ მოდელს განვიხილავთ, ჩვენ შევნიშნავთ რომ არსებობს რიგი დამოუკიდებელი ცვლადების თანხვედრა საშუალოვადიან პერსპექტივაში ეკონომიკაზე, როგორც დადებითი ეფექტის ქონის კუთხით, ასევე უარყოფითიც. კერძოდ, მსგავსება რომელიც გამოვლენილი იქნა კვლევის დროს

დადებითი კოეფიციენტებთან მიმართებით რვა დამოუკიდებელ ცვლადს მოიცავს და რიგითობით შემდეგ ნაირად გადანაწილდებიან: თავდაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, განათლება, საოჯახო მეურნეობების დანახარჯები, მთლიანი კაპიტალის ფორმირება, დასაქმებულთა რაოდენობა, წარმოება და მთლიანი რეზერვები. მსგავსად, ცვლადების კოეფიციენტების დეტალური შედარებითობისთვის გთხოვთ იხილოთ **მოდელი 1-2**.

დამატებით, რაც შეეხება ეგზოგენური ცვლადების კოეფიციენტების უარყოფით ეფექტთან თანხვედრასთან დაკავშირებით, შემდეგი სამი დამოუკიდებელი ცვლადით წარმოგვიდგება, რიგითობით ესენია: საერთო სახელმწიფო მომსახურეობა, გარემოს დაცვა და იმპორტი. ცვლადების კოეფიციენტების დეტალური შედარებითობისთვის, აქაც გთხოვთ იხილოთ **მოდელი 1-2**.

როგორც აღინიშნა, მოცემული ქვეთავის ეს პარაგრაფი ძალზედ მნიშვნელოვანია ვინაიდან იგი დეტალურად განიხილავს იმ ეგზოგენურ ცვლადებს შორისი განსხვავებებს, რაც ეკონომეტრიკული მოდელირებისას იქნა აღმოჩენილი. ფაქტი ბევრად საგულისხმოა ვინაიდან, როგორც აღინიშნა იგი საინტერესო და საჭირობო იქნება კვლევაში მონაწილე ორივე ჯგუფისთვის, რათა ყველაზე ოპტიმალურად და ნაყოფიერად იქნეს დაგეგმარებული და მიმართული კვლევაში მონაწილე ქვეყნების ფისკალური და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა.

შესაბამისად, აღნიშნული განმასხვავებელი მაკროეკონომიკური ცვლადები საინტერესოა და დამატებით კვლევას საჭიროების, რადგან ფუნდამენტალურად მოხდეს განსხვავებების მიღმა არსებული მიმართულებების იდენტიფიცირება და შემდგომი ღრმა ანალიზი. მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ კვლევაში მონაწილე ორივე ჯგუფისთვის, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას სწორედ მოცემული

განსხვავებული შედეგების ურთიერთ ანალიზის საფუძველზე იქნეს დაფუძნებული.

ამგვარად, მთავარი განსხვავებები რომელიც გამოვლენილი იქნა კვლევის დროს ცხრა დამოუკიდებელ ცვლადს მოიცავს: პირველი განმასხვავებელი ცვლადია საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, სადაც მაღალ შემოსავლიან ჯგუფში, საშუალოვადიან პერსპექტივაში სხვა ყველა თანაბარ პირობებში, 6.5%-იან უარყოფითი ნიშნული დაფიქსირდა, ხოლო შედარებით დაბალ შემოსავლიან ჯგუფთან მიმართებით კი იგივე კომპონენტი დადებითი 0.44%-იანი ზრდის ნიშნულით ფიქსირდება; მეორე განმასხვავებელს საბიუჯეტო ასიგნებების საბინაო კომუნალური მეურნეობა ცვლადი წარმოადგენს, სადაც შედარებით მაღალ შემოსავლიანი ევროპული ქვეყნების ჯგუფის დადებითი 0.28%-იანი კოეფიციენტი, საკვლევი მეორე ჯგუფის უარყოფით 1.3% ნიშნულით განირჩევა; რიგით მესამე განმასხვავებელი ფაქტორი ჯამრთელობის დაცვის ეგზოგენური ცვლადით წარმოგვიდგება, სადაც სხვა ყველა თანაბარ პირობებში, შედარებით მაღალ შემოსავლიანი ჯგუფის დადებითი 3.52%-იანი ზრდა, მეორე საკვლევი ჯგუფის უარყოფით 6.5%-იანი კოეფიციენტით არის წარმოდგენილი; შემდგომი მეოთხე განმასხვავებელი ცვლადი არის დასვენება-კულტურა-რეკრეაცია, სადაც აღნიშნული დამოუკიდებელი ცვლადი პირველ ჯგუფში უარყოფითი ნიშნულის 0.45%-ით არის წარმოდგენილი, მაშინ როცა იგივე ცვლადი მეორე ჯგუფში დადებითი 2.1%-იანი ზრდის ეფექტის განმსაზღვრელია, სხვა ყველა თანაბარ პირობებში; მეხუთე განმასხვავებელ ცვლადს სოციალური დაცვა წარმოადგეს მართლაც შთამბეჭდავი 18.9%-იანი უარყოფითი ეფექტით ეკონომიკაზე საშუალოვადიან პერსპექტივაში, მაშინ როცა ანალოგიური ცვლადის ეფექტი მეორე ჯგუფთან მიმართებით არც ისე დიდი ნიშნულით თუმცა დადებითი 0.21%-იანი ეფექტით წარმოგვიდგება, სხვა ყველა თანაბარ პირობებში; საკმაოდ საინტერესო მიდგომა დაფიქსირდა კვლევის მეექვსე

